

ვაჟა შუბითიძე

ედიშერ ჯაფარიძე

იგორ კვესელავა

**ევროკავშირის შექმნა და  
ქართული პოლიტიკური  
ემიგრაცია**

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2020



**ნაშრომი გამოცემულია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ევროკავშირის შექმნა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია“ ფარგლებში.**

წინამდებარე ნაშრომი ეხება ევროკავშირის შექმნასა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობას, ქართველთა წვლილს ევროპოლოგიასა და ევროინტეგრაციის პროცესების განვითარებაში და იგი განკუთვნილია საერთაშორისო ურთიერთობების, ევროპეისტიკის, საქართველოს ახალი ისტორიით დაინტერესებული სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, დიპლომატიური კორპუსისა და სახელმწიფო მოხელეთათვის.

**რედაქტორი:** მურმან თავდიშვილი, პროფესორი

**რეცენზენტები:** ანა ფუტკარაძე  
სალომე ფიფია

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2020

© სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

ISBN 978-9941-25-732-2

## სარჩევი

1. წინასიტყვაობა .....	5
2. ქართული ემიგრაციის ისტორიულ-პოლიტიკური წინამძღვრები .....	6
3. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის განმაპირობებელი მიზეზები .....	10
4. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია - ქართული ემიგრაცია და ბოლშევეკები .....	14
5. გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი და ქართული ემიგრაცია .....	25
6. საქართველო - როგორც ევროპის ნაწილი და ევროპული ქვეყანა (ნ. ნიკოლაძე და ი. ჭავჭავაძე ევროპული ფასეულობების შესახებ).....	52
7. დავით სარაჯიშვილი – ევროპული ტიპის პირველი ბიზნესმენი საქართველოში .....	65
8. ნოე ჟორდანიას ევროპეიზაციის კონცეფცია .....	75
9. მიხეილ მუსხელიშვილი - ევროპული თანამეგობრობისა და ერთიანი ევროპული კავშირის კონცეფციის პირველი იდეური დამაარსებელი .....	85
10. სახელმწიფოთა კონფედერაციული და ფედერაციული კავშირი, როგორც ევროკავშირის სამართლის წყაროები .....	94
11. ალექსანდრე ნიკურაძე - ევროპოლოგიისა და კავკასიის კონფედერაციის შესახებ .....	106
12. Summary .....	115



## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი გახლავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე შესრულებული მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც განხორციელდა მკვლევართა ჯგუფის მიერ ადგილობრივი გრანტის ფარგლებში.

დღეს გენეტიკური, ლინგვისტური და არქეოლოგიური საერთაშორისო გამოკვლევებით დადგენილია, რომ ევროპის კონტინენტის უმეტეს ტერიტორიას, ხმელთაშუაზღვისპირეთის, მცირე აზიას და ინდოეთის ზედა ნაწილს დაახლოებით ათი ათასი წლის წინ აკონტროლებდნენ და ამ არეალში ცივილიზაციას ქმნიდნენ იბერიულ-კავკასიური ტომები. ისინი 5-6 ათასი წლის წინ ჯერ შეავიწროვეს, მერე კი განდევნეს, მოსპეს ან მათი ასიმილაცია მოახდინეს ინდოევროპულმა ტომებმა, რომელთა მიერ შექმნილი ცივილიზაცია სრულად ეყრდნობოდა იბერიულ-კავკასიური ტომების მიერ შექმნილ ცივილიზაციას. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენ კვლავ ვბრუნდებით იმ არეალში (პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით), საიდანაც ათასწლეულების წინ გამოგვდევნეს, თუმცა ცალკეული ფრაგმენტები იმ დიდი ცივილიზაციისა დღესაც სიცოცხლისუნარიანია (ბასკები, ჩვენ, კელტიბერთა შთამომავლები და სხვა).

გამოკვლევაში ვეხებით ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოკლე ისტორიას, ქართულ-ევროპულ პარალელებს და საერთო მახასიათებლებს, ევროპის ფაქტორს ქართველთა ცხოვრებაში, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებს ევროპული ღირებულებების შესახებ, ნოე ჟორდანიას ევროპეიზაციის თეორიას, ქართველთა წვლილს ევროინტეგრაციისა და ევროპოლოგიის განვითარებაში (მიხეილ მუსხელიშვილი და ალექსანდრე ნიკურაძე).

ავტორები სიამოვნებით მიიღებენ არგუმენტირებულ და ობიექტურ შენიშვნებს.

## ქართული ემიგრაციის ისტორიულ-პოლიტიკური წანამკვრავი

ქართული ემიგრაციის ფენომენის შესწავლა ადრეული პერიოდებიდან დღემდე რჩება მნიშვნელოვან აქტუალურ პრობლემად თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში, ვინაიდან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორია ძალზედ მასშტაბური და მრავალფეროვანია. ემიგრაციის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს მისი შინაარსი. სიტყვა ემიგრაცია ნიშნავს (ლათ. *Emigrare*-გადასახლება) პოლიტიკური, ეკონომიკური (სოციალური) ან პირადი მიზეზებით უცხო ქვეყანაში მცირე ხნით ან მუდმივად საცხოვრებლად გადასვლას. პოლიტიკური მიზეზებით ემიგრაცია, როგორც წესი, რეპრესიული რეჟიმების თანმხლები მოვლენაა, როდესაც რეპრესიის შიში ან გაბატონებული რეჟიმისთვის ლოიალობის გამოცხადების აუცილებლობა მოქალაქეებს აიძულებს უცხო ქვეყანას შეაფარონ თავი. ხოლო ეკონომიკური და „სოციალური“ მიზეზებით ემიგრაცია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. კაპიტალიზმის ეპოქაში, მას შემდეგ, რაც სამუშაო ძალამ საქონლის სახე შეიძინა, კაპიტალის სხვა ფორმების მსგავსად, მუშახელი ერთი ქვეყნიდან მეორეში შედარებით თავისუფლად გადაადგილდება [1].

ემიგრაციის დღევანდელი, თანამედროვე გაგება სიტყვა „დიასპორიდან“ მომდინარეობს (ბერძ. *Diaspora*-გაბნევა) და იგი გულისხმობს ეთნიკური უმცირესობის ჯგუფს, რომელიც გადასახლდა, ცხოვრობს და მოღვაწეობს მიმღებ ქვეყანაში. ამასთან, აქვს ძლიერი სენტიმენტალური და მატერიალური კავშირები სამშობლოსთან. დიასპორას იწვევს იძულებითი გადასახლება, რომელიც პირველად გამოყენებულ იქნა პალესტინის გარეთ მცხოვრები ებრაელების მიმართ და რომელმაც შემდგომ პოვა ფართო გავრცელება და გამოიყენებოდა გადასახლებულ პირთა აღსანიშნავად [2].

თანამედროვე ემიგრაციის გაგება უძველესი დიასპორის გაგების ევოლუციის შედეგია. დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (მსოფლიოში 32 დიასპორაა) სხვადასხვა დიასპორა არსებობს.

გამონაკლისი არც საქართველოა, თუმცა ქართული დიასპორების არსებობა წლებს არ ითვლის, ვინაიდან ადამიანთა გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე სხვადასხვა მიზეზით საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. საქართველო კი ამ კუთხით მართლაც რომ მნიშვნელოვანი მაგალითია. ჩვენმა ქვეყანამ ემიგრაციის კულტურული, პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა. აქედან კულტურული ყოველთვის ნებაყოფლობით და უმტკივნეულოდ ხორციელდებოდა, ხოლო პოლიტიკური და სოციალური (ეკონომიკური, შემდგომ შრომითი) იძულების წესით, რაც ყოველთვის ესოდენ მძიმე და მტკივნეული იყო. კულტურული ემიგრაცია ყოველთვის დაკავშირებული იყო ქართველი ერის რელიგიურ, კულტურულ და საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან მოკავშირე და მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის პალესტინასთან, სირიასთან, საბერძნეთთან, თურქეთთან, ბულგარეთთან, რუსეთთან და სხვა.

პოლიტიკური ემიგრაცია კულტურული ემიგრაციისაგან დიდად განსხვავდება, ის უფრო რადიკალური ფორმაა და გულისხმობს საკუთარი ნების უგულვებლყოფას, რომელიც პიროვნების ან სახელმწიფოს იძულებას და ტრაგედიასთან ასოცირდება. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია მასშტაბურობით გამოირჩევა. ის ქვეყნის ისტორიის ბორბლის ბედუკუღმართმა ტრიალმა გამოიწვია გამოიყოფა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის რამდენიმე ეტაპის წარმოშობა.

პირველი მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ემიგრაცია განხორციელდა ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის დროს - 1724 წლის ივლისში, როდესაც ირანის შემოტევის შედეგად ქართლის მეფე იძულებული გახდა სამშობლოდან წასულიყო ცხინვალის გავლით რუსეთში 1214 კაციანი ამალით. მეფე კულტურის წარმომადგენლები და ინტელიგენცია თან გაჰყვა, მათ შორის იყვნენ; სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი, დედოფალი რუსუდანი, ანტონ პირველი კათალიკოსი და მრავალი სხვ. არც ერთი მათგანი უკან აღარ დაბრუნებულა, ქართველი მეფე ასტრახანში გარდაიცვალა.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მეორე ეტაპი დაიწყო

1801 წელს, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის და შემდეგ დასავლეთ საქართველოს დაპყრობით. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1801 წელს ტახტზე ასვლის შემდგომ ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, მან გასცა ბრძანება, რომ არც ერთი ბატონიშვილი არ დარჩენილიყო საქართველოში, ვინაიდან არ სურდა რომ მომხდარიყო ქართული სამეფო ტახტის რეგენერაცია. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პავლე ციციანოვისადმი დავით ბატონიშვილის მიერ მიწერილი წერილი, რომელიც თარიღდება 1803 წლის 11 თებერვლით, სადაც წერს, რომ: „მივიღე თქვენი წერილი, მებრძანა გადასახლება, 1200 წლის წინ ავიდა ჩვენი გვარი სამეფო ტახტზე, ახლა კი ასე უსამართლოდ გვისტუმრებენ სამშობლოდან“ [3. 173]. რუსოფილი ქართველი გენერლის უშუალო ხელმძღვანელობით იძულებით გადასახლეს რუსეთში მეფე ერეკლესა და გიორგი მეთორმეტის ქვრივი დედოფლები, ბატონიშვილები, მათი შთამომავლები და მოწინავე ინტელიგენცია, რომელიც მათ გარემოცვად ითვლებოდა.

ასევე, მძლავრი ტალღა წარმოიშვა 1811-1814 წლებში, რომელიც იმერეთის ემიგრაციის სახელითაა ცნობილი და იგი პირველად თავს დაატყდა საქართველოს ტახტის კანონიერ მემკვიდრე ბატონიშვილებს, თავადაზნაურობასა და სასულიერო პირებს, რომელიც გამოიწვია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ. პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ იმერეთის მეფე სოლომონ მეორე იძულებული გახდა 25 კაციანი ამალით ტრაპიზონში გადასულიყო და იქ შეეფარებინა თავი. მას თან ახლდნენ ქაიხოსრო, როსტომ და სიმონ წერეთლები, გრიგოლ და დავით ერისთავები, აზნაური გაბაშვილი, ბერი ლორთქიფანიძე, მალხაზ ანდრონიკაშვილი და სხვ.

მესამე დიდი პოლიტიკური ემიგრაცია 1921 წლის თებერვალ-მარტში მოხდა და იგი გამოწვეული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით. უკანასკნელი წინა ორისაგან ის იმით განსხვავდება, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტის და შემდგომი პერიოდის პოლიტიკური ემიგრაციის ნაკადების კომპლექსურად შესწავლა და გაანალიზება სრულფასოვნად არ მომხდარა და შესა-

ბამისად საჭიროებს მეცნიერულად ახლებურ გააზრებას, ვინაიდან დროის ამ პერიოდში დაგროვდა უამრავი საარქივო და ახალი დოკუმენტური მასალა, რაც საინტერესოს ხდის XIX-XX საუკუნეების პოლიტიკურ ემიგრაციაზე მუშაობას.

უკანასკნელი წლების ქართული ემიგრაცია უფრო მეტად სოციალური მიმართულებით გამოირჩეოდა, რაც გამონვეული იყო საქართველოში პოლიტიკური კრიზისებით, ეთნიკური კონფლიქტებით და, ასევე, გარდამავალი ეტაპის რთული და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ქართული მოსახლეობის 97% სამშობლოში ცხოვრობდა. საქართველო ამ დროისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მონინავე „კონსოლიდირებულ“ ერად ითვლებოდა. მოგვიანებით კი აღნიშნული ვითარება რადიკალურად შეიცვალა და დღეს 2 მილიონამდე ქართველი გავიდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში - მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გამო. აღსანიშნავია შემდეგი: ემიგრანტთა საერთო რაოდენობა დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 3,2% შეადგენს, ხოლო საქართველოს მაგალითი მეტად სავალალოა: მისი მოსახლეობის 20-25%-მდე უცხოეთშია ემიგრირებული.

### **ლიტერატურა:**

1. განმარტებითი ლექსიკონი, უკანასკნელად გადამონმებულია 21. 02. 2017[https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90;);
2. განმარტებითი ლექსიკონი, უკანასკნელად გადამონმებულია 21. 20. 2017. [https://ka.wikipedia.org/wiki/დიასპორა№](https://ka.wikipedia.org/wiki/დიასპორა№;);
3. საქართველოს ცენტრალური არქივი, ბ. II, ყ., 173.

## ქართული პოლიტიკური ემიგრაციის განმაპირობებელი მიზეზები

ქართველი ერის მშობლიური წიაღიდან იძულებით მონყვეტა ძირითადად განპირობებული იყო ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით და იმით, რომ საქართველო ოდითგანვე წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის გზად და ხიდად გადებულ ინტერესთა გზაჯვარედინს. ამიტომაც მუდამ იყო მოქცეული მსოფლიო დამპყრობთა ყურადღების ცენტრში.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო და დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდა, რამაც ლახვარი ჩასცა ქვეყნის დამოუკიდებლობას და საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ტერიტორიული რღვევის პროცესს.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვსა და ლონდონში ერთდროულად ორ ისტორიულ დოკუმენტს მოეწერა ხელი. რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებით დადგინდა ორი სახელმწიფოს საზღვრები, რომლებიც დღემდე უცვლელია. 1959 წლის „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებში“ წერია, რომ თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი განისაზღვრება ხაზით, რომელიც იწყება შავ ზღვასთან მდებარე სოფელ სარფთან, გაივლის ხედის მთას, შავშეთისა და ჯანიგადის მთების წყალგამყოფი ხაზით, ის მიემართება შემდეგ არდაგანისა და ყარსის სანჯაყების ჩრდილოეთი ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ - მდინარეების: არპა-ჩაისა და არაქსის დინების მიმართულებით ქვემო ყარასუს შესართავამდე. აქედან გამომდინარე, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთის ნაწილისაგან საქართველოს საზღვრებში დარჩა მხოლოდ აჭარა. ბოლშევიკებმა გადასცეს თურქებს ის ტერიტორიებიც კი, რომელებიც 1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით დაუბრუნდა საქართველოს. ესენია: ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყველა მხარე, გარდა აჭარისა [1, 598].

1921 წლის 16 მარტს ლონდონში დაიდო „სავაჭრო ხელშეკრულება“ მისი უდიდებულესობა ბრიტანეთის მთავრობასა და

რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის”, რითაც მოსკოვმა და ლონდონმა ფაქტობრივად გამიჯნეს გავლენის სფეროები აღმოსავლეთში. რუსეთს თავი უნდა შეეკავებინა ბრიტანეთის იმპერიის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებაზე ინდოეთსა და ავღანეთში. ბრიტანეთის მთავრობა კისრულობს იმავე და განსაკუთრებულ ვალდებულებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინაშე იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც შეადგენდნენ რუსეთის იმპერიის ნაწილს და ამჟამად გახდნენ დამოუკიდებლები [1. 608].

აღნიშნული ვალდებულება საქართველოსთან მიმართებით კონკრეტულად ნიშნავდა თვალის დახუჭვას რუსეთ-თურქეთის აგრესიაზე ამ ქვეყნების მიმართ და მისი ტერიტორიების განაწილების ფაქტობრივ ცნობას. საქართველომ ამით კიდევ ერთხელ დაკარგა ბათუმის რეგიონის არტაან-ოლთისის ოლქები, დღევანდელი ართვინის, ყარსის, არზრუმისა და რიზეს ისტორიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვისა და იმპერიალისტური რეჟიმების გავლენისაგან თავის დაღწევის სამი რეალური გზა არსებობდა, ქვეყნის ისტორიიდან გამომდინარე ა) ძლიერი თავდაცვისუნარიანი სახელმწიფო, ბ) დასავლეთევროპული ორიენტაცია და გ) საერთო კავკასიური სახელმწიფო. სამიდან თუნდაც ერთ-ერთი ფენომენის არსებობა გლობალურ და რეგიონულ ხელსაყრელ საგარეო-პოლიტიკურ პირობებში სავსებით საკმარისი იქნებოდა თითქმის ოთხსაუკუნოვანი ბრძოლის საბოლოოდ დასაგვირგვინებლად. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საამისოდ სწორედ რომ არაჩვეულებრივი ისტორიული ვითარება დადგა. გამოუცდელი ქართველი სოციალ-დემოკრატების „კომისარიატმა“ და „სეიმმა“ ვერ გაუძლეს პირველივე ურთულეს ისტორიულ რყევებს, ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა ინტერნაციონალის იდეებთან კეკლუცობით ვერ მოხერხდებოდა, ხოლო ევროპულმა საგარეო-პოლიტიკურმა ორიენტაციამ იმ დროისთვის ვერ გაამართლა [2, 75-79].

ქართული ემიგრაციის ძირითად მიმართულებას ყოველთ-

ვის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფონი ქმნიდა. იგი ძირითადად განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო თანდათან შეუერთდა თანამედროვე გლობალურ მიგრაციულ პროცესებს. ამან ემიგრაციის მახასიათებლების, მოცულობის, ხარისხისა და მიმართულებების შესაბამისი შეცვალა განაპირობა. რამაც მკვეთრად გამოიწვია ადრინდელი პოლიტიკური ემიგრაცია თანამედროვე ეკონომიკური შრომითი მიგრაციისაგან. დღეს ქართველი მიგრანტების ჯგუფების პოვნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია შესაძლებელი და მათი ნაკადებიც შესაბამისად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისკენაა მიმართული. ძირითადი ნაწილი ქართველი პოლიტიკური ემიგრაციისა შეინიშნება რუსეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, მანჯურიაში, ხარბინში (ჩინეთი), ირანში, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და ამერიკაში. პოლიტიკურისაგან განსხვავებით, თანამედროვე შრომითი მიგრაცია ძალზე აქტუალური და პრობლემური თემაა. საქსტატის კვლევებიდან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ შრომითი მიგრაციული ნაკადები ძირითადად 4 ქვეყნისკენაა მიმართული. რუსეთში გასულია მთლიანი ნაკადის 50,6%, საბერძნეთში-11,2%, გერმანიაში-11% და აშშ-ში-8,2%. შედარებისთვის მოვიყვანთ Usaid-ისა და Save the Children-ის ერთობლივი კვლევის შედეგებს, რომელთა მონაცემები ასეთია: რუსეთი - 54,5%, საბერძნეთი - 15,6%, გერმანია - 11,1% და აშშ - 10,9% [3, 48]. თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკურმა კრიზისმა და გეოპოლიტიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიეს შრომით მიგრაციაზე. ამან გამოიწვია ქართველი ემიგრანტების გაბნევა მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველ ემიგრანტთა ნაკადები თურქეთში, საბერძნეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, რუსეთში, ირანში, ისრაელში, ბულგარეთში, რუმინეთში, ბელგიაში, ერაყში, აზერბაიჯანში, პოლონეთში, ჩეხეთსა და აშშ-ში, თუმცა ეს როდია სრული ჩამონათვალი, ვინაიდან ქართველ ემიგრანტთა მიმართულება და ადგილსამყოფელი ამაზე გაცილებით ფართოა. ისინი, როგორც ცალკეული ჯგუფების, ისე

ინდივიდებისა და დიასპორების სახით, შრომობენ და ცხოვრობენ სხვა ქვეყნებშიც.

### **ლიტერატურა:**

1. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები, 1959.
2. ცუხიშვილი რ., ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობაში (1918-1921წწ), მერიდიანი, 1996.
3. Dershem Larry and Khoperia Tea, Migration Within Georgia and Abroad, „The Status of Households in Georgia“ (Final Report). USAID, Save the Children, IPM. Tbilisi, Georgia, 2004.

## ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

### ქართული ემიგრაცია და პოლპევიკები

1921 წლის 25 თებერვლიდან საქართველოს ისტორიის ჩარხი კვლავ უკულმა დატრიალდა. რუსეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას ქვეყანაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. საქართველომ დაკარგა მოპოვებული თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ეროვნული სახელმწიფოებრიობა და განვითარების არაბუნებრივ გზას დაადგა.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლება იძულებული გახდა ებრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ქართული ემიგრაციის ძირითადი ნაკადი ევროპაში 1921-1925 წლებში ჩამოყალიბდა და მას საქართველო-თურქეთს შორის საზღვრების დაკეტვამდე თანდათანობით ემატებოდა ცალკეული ოჯახები. 1920-იანი წლების ბოლოსთვის ემიგრანტთა რაოდენობა საფრანგეთში შეადგენდა 1400 ადამიანს, მათ შორის 800 კაცი ცხოვრობდა პარიზსა და მის გარეუბნებში. 300 ემიგრანტი იყო პოლონეთში, 150-მდე – გერმანიაში. 1000-ზე მეტი ქართველი დევნილი იმყოფებოდა თურქეთში.

ქართული სათვისტომოები დაარსდა სოშო-ოდენკურში, ლიონში, მარსელში, გრენობლში, ბანიოში. აგრეთვე გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბელგიაში, საბერძნეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ლატვიაში, ირანში, მანჯურიაში, ხარბინში, კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვაგან.

ამ პერიოდში ქართულმა ემიგრაციამ უცხოეთში დააფუძნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავდა ყველა ანტიბოლშევიკური ძალის გაერთიანებასა და კოორდინაციას. ამ სტრუქტურაშივე არსებობდა პარიტეტული კომიტეტი, რომელშიც ძირითადი პოლიტიკური პარტიების თითო წარმომადგენელი შედიოდა. პარალელურად შეიქმნა სამხედრო ცენტრიც, გამორჩეული ქართველი ოფიცრების გენერალ **ალექსანდრე ანდრონიკაშვილის**, **პარღან ნულუკიძის** და პოლკოვნიკ **კონსტანტინე აფხაზის** მოთავეობით.

ემიგრაციაში ფიქრობდნენ, რომ რუსეთის საბჭოთა იმპერიისაგან საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელი გახდებოდა კავკასიის ხალხთა საერთო აჯანყების მოწყობით ან საბჭოთა კავშირთან რომელიმე დიდი სახელმწიფოს ომის გზით.

საქართველოს დევნილ მთავრობას საქმიანი პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოსთან. საქართველოს საკითხი გახდა კანის, გენუისა და ლოზანის კონფერენციების მსჯელობის საგანი. თავის მხრივ, ემიგრაციული მთავრობა უცხოურ სახელმწიფოებს აწვდიდა ინფორმაციებს არსებული სამხედრო-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. ფაქტობრივად, საქართველოში ომი მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთის იმპერიული რეჟიმის წინააღმდეგ. კერძოდ, უცხოეთის გამოხმაურება გამოიწვია 1922 წელს რუსეთ-საქართველოს შორის ბრძოლამ ხევსურეთისათვის. ბოლშევიკების მიმართ მტრულად განწყობილი ხალხი იარაღს ჰკიდებდა ხელს და მედგრად უპირისპირდებოდა საგანგებო კავკასიურ-რუსული არმიის 25 ათას ჯარისკაცს და მათ სამხედრო ტექნიკას. თავის მხრივ, ქართველებს ჰყავდათ 15 ათასი ადრე დემობილიზებული ჯარისკაცი, რომელსაც ემატებოდა სვანეთში დაბანაკებული 2,5 ათასი კაცი და, ასევე, სხვა მომხრეები, დაახლოებით 2 ათასი მეზობელი.

1. ლოზანაში გამართული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, იაპონიის, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები, ხოლო აშშ მეთვალყურის სტატუსით იყო წარმოდგენილი, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის პრობლემასაც განიხილავდა. მოგვიანებით, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე, საფრანგეთში საქართველოს ელჩი **აკაკი ჩხენკელი** ბერლინში გამომავალ ემიგრანტულ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ **ან ჩინ**-ის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „სრუტეების კონვენცია და საქართველო“ იძლეოდა ლოზანის საზავო ხელშეკრულების საფუძვლიან პოლიტიკურ ანალიზს და განმარტავდა მის

მნიშვნელობას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის (იხ. გაზ.: „მთელი კვირა“, 2016, 25 აპრილი.).

1924 წლის ივლის-აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ცნობილი საომარი შეტაკებების კვირა ძალზე საქართველოს დევნილმა მთავრობამ, თურქეთის ელჩის **რომან კნოლის** მონდომების მიუხედავად, ვერ მოახერხა ქართველი მებრძოლების იარაღით მომარაგება. თვითონ ელჩი ფიქრობდა, რომ წარმატება მიღწეული იქნებოდა მხოლოდ კავკასიის ყველა ხალხის ერთიანი ამბოხების შედეგად. ემიგრაციაში მყოფ მთავრობას მხარს უჭერდა პოლონეთის მთავრობის მეთაური გენერალი **პილსუდსკიც**, მაგრამ მისი გადადგომის შემდეგ კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს საკითხი პოლონეთის პოლიტიკური პროგრამიდან ამოვარდა.

1924 წლის ივლის-აგვისტოში ბოლშევიკურმა სპეცსამსახურებმა შეძლეს დაეპატიმრებინათ და დაეხვრიტათ აჯანყების თითქმის ყველა ხელმძღვანელი. მიუხედავად ამისა, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია ბოლომდე ებრძოლა და ამით საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება მიეპყრო ქართული პრობლემის მიმართ.

რუსეთ-საქართველოს ომის დასკვნითი ეტაპი საქართველოს დამარცხებით დამთავრდა. ფიზიკურად განადგურებულ იქნა 5 ათასი კაცი. ამ ომში დამარცხების მიუხედავად, აგვისტოს მოვლენებმა კვლავ მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება და საფრანგეთმა თავის დელეგაციებს ერთა ლიგაში დავალება მისცა ასამბლეაზე განეხილათ საქართველოს საკითხი.

25 სექტემბერს საფრანგეთის დეპუტატის **პოლ ჰონკურის** ინიციატივით, ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ზუსტად იმეორებდა რუსეთ-საქართველოს ომის კიდევ ერთ ეპიზოდს – ხევსურეთში გამართული ბრძოლების გამო 1923 წელს ლოზანაში მიღებულ დოკუმენტს. ერთა ლიგის ასამბლეა, საქართველოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საბჭოს სთავაზობდა თვალი ედევნებინათ ვითარებისათვის დედამიწის ამ ნაწილში, რომ მშვიდობიანი საშუალებებით და შესაბამისი საერთაშორისო სამართლით საქართველოსთვის დაებრუნებინათ ნორმალური მდგო-

მარეობა. ამ ფორმულირების არასავალდებულო ხასიათის მიუხედავად, რეზოლუცია წარმოადგენდა გარკვეულ იურიდიულ ბაზას, დასავლეთის სახელმწიფოების მხრივ საქართველოს მიმართ აქტიური პოლიტიკის საწარმოებლად იმ შემთხვევაში, თუ ნორმალური საერთაშორისო ვითარება შეიქმნებოდა.

24 სექტემბერს **ჩარჩილა** მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ედინბურგში და ამხილა ლეიბორისტები, რომ სურდათ დაეფინანსებინათ ბოლშევიკური ტირანია, რომელიც იარაღს ყიდულობდა ქართველების დასახოცავად. საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის მკვლევარი **გიორგი მამულია** 2012 წელს თბილის-პარიზში გამოცემულ წიგნში „ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის კავკასიაში, 1921-1945 წლებში“, გვამცნობს, რომ სწორედ ამ კრიტიკამ მიიყვანა მაკდონალდის ხელისუფლება კრიზისამდე და ხელისუფლებაში **გოლდუინის** კაბინეტის მოსვლამდე, რომელმაც უარი თქვა რუსეთ-ინგლისის 1924 წლის აგვისტოს შეთანხმების რატიფიკაციაზე.

ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეის პლენარულ სხდომებზე ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელი **ჯილბერ მიურა** ხაზს უსვამდა, რომ ინგლისის მიერ სსრ კავშირის აღიარების ტექსტში ლონდონი სსრ კავშირის იურისდიქციას დე-იურედ ცნობდა იმ ტერიტორიებზე, რომელთა მოსახლეობამ ნებაყოფლობით სცნო საბჭოთა ხელისუფლება.

გაზეთ „პრავდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, საბჭოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ჩიჩარინი** კრიტიკას არ აკლებდა ერთა ლიგას, დასავლელ კაპიტალისტებს, **ჰოლ ბონკურს** ქართველ მენშევიკებს, მიიჩნევდა მათ 1924 წლის ე.წ. ამბოხების ორგანიზატორებად და ფიქრობდა, რომ ყოველივე ეს მიზნად ისახავდა ინგლის-სსრ კავშირის ხელშეკრულების ჩაშლას.

მართალია, 1924 წლის 28 ოქტომბერს საფრანგეთმა დე-იურედ აღიარა საბჭოთა კავშირი იმ ტერიტორიებით, სადაც მოსახლეობა ცნობდა საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც საფუძველი ჩაეყარა იურიდიულ საფუძველს, რაც მიაწინებდა, რომ 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ,

საქართველოს მოსახლეობა 1924 წელს, მკვეთრად გამოვიდა კრემლის წინააღმდეგ. საფრანგეთში, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების დელეგაციის შენარჩუნებაც, იმ დროს იმაზე მიუთითებდა, რომ საფრანგეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

1925 წელს საფრანგეთის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას სოციალისტების ერთ-ერთი ლიდერი **პიერ რანოღლი**, რომელიც კარგად ერკვეოდა საქართველოს საშინაო საკითხებში, გმობდა საბჭოთა რუსეთის სისხლიან დანაშაულს ქართველი ხალხის წინაშე.

არ უნდა იყოს სადავო, რომ ბოლშევიზმმა ფიზიკურად განადგურა იმ პერიოდის ქართველი ერის პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ელიტა, არაფერი რომ არა ვთქვათ თავადაზნაურობაზე. რუსეთთან ომის გაგრძელება ერის ფიზიკური განადგურების მომასწავებელი იყო, ამიტომ საქართველოს ინტელექტუალური ელიტის წინაშე ამოცანად დადგა უარის თქმა ომის გაგრძელებაზე. ერის ფიზიკური არსებობის გადასარჩენად საჭირო გახდა არსებულ პოლიტიკურ რეალობასთან შეგუება-ადაპტაცია, რათა ხელსაყრელ მომენტში გაეგრძელებინა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

**გიორგი მაგულიას** სამართლიანი შენიშვნით, ბოლოს და ბოლოს, ეს ტაქტიკა გამოდგა სწორი, თუმცა ქართველებს ისევე, როგორც ადრე, და ისევე როგორც სხვებს, მოუწიათ დაედგათ კომუნისტური დიქტატურის უღელი, რომელიც გაგრძელდა 70 წლის განმავლობაში – ბოროტების იმპერიის არსებობის წლებში.

ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება ყველა საშუალებით შეეცადა განხეთქილება ჩამოეგდო და ერთმანეთთან დაეპირისპირებინა დევნილი მთავრობის წევრები, ანტისაბჭოთა პარტიები, ცენტრები და ორგანიზაციები. იყო გარკვეული ორმხრივი გარიგებების მცდელობაც. მაგალითად, **ქ. ჩოლოყაშვილსა** და მის თანამოაზრეებს მიეცათ შესაძლებლობა უპრობლემოდ წასულიყვნენ საზღვარგარეთ.

1924 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებასთან შეთანხმებით, **ქ. ჩოლოყაშვილთან**

ერთად ბევრმა ცნობილმა ადამიანმა დატოვა საქართველო. ბოლშევიკებმა მოახერხეს ერთმანეთის მიმართ მტრულად განეწყობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები და, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მოეხდინათ მათი სრული დისკრედიტაცია. საბჭოთა დაზვერვის ხრიკებით ოდენკურში მოხდა მენშევიკებსა და **როლოყავილის** მომხრეებს შორის სისხლიანი შეტაკება, რასაც რამდენიმე ადამიანის დაღუპვაც მოჰყვა. ეს იყო დაპირისპირების ლოგიკური შედეგი და მას პოლიტიკური მოტივები ედო საფუძვლად. როგორც ახლა ირკვევა, ამ ამბით განსაკუთრებით შეწუხებული ყოფილა **ბ. მაზნიაშვილი**, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა **ს. ორჯონიკიძესთან**, რის გამოც ის ქართულმა ემიგრაციამ არ მიიღო. მან ინტრიგებსა და მძიმე ყოფას ვერ გაუძლო და საქართველოში დაბრუნდა, თუმცა 30-იანი წლების ბოლშევიკურ რეპრესიებს ვერ ასცდა და საქართველოს ერთგული მამულიშვილი 1937 წელს დახვრიტეს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს **რ. ბაგაშვილის** მკვეთრად გამოხატული კრიტიკული დამოკიდებულება **ნ. ჟორდანიას** და, საერთოდ, გურული წარმოშობის ქართველების მიმართ. სამწუხაროდ, საბჭოთა დაზვერვამ შეძლო ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა ქართული ემიგრაციის გურული და მეგრული წარმოშობის ქართველთა ჯგუფები. **ბ. სულაძის** დაკვირვებით, წინააღმდეგობა არსებობდა, ერთის მხრივ, **ნ. ჟორდანიას**, **ნ. რამიშვილის**, **ს. მენაღარიშვილის**, **დ. ერქომაიშვილის**, **მ. გომიზარიძის**, **ს. ჟღენტის**, **შ. კალანდაძის** და ,მეორე მხრივ, **ივ. გეგეჭორის**, **სპ. კაღიას**, **ბ. გეგელიას**, **მ. კეღიას**, **კ. სალიას** და სხვების ჯგუფებს შორის. ეს უთანხმოებანი უფრო გამწვავდა **ნ. რამიშვილის** მკვლელობის შემდეგ. **ბ. სულაძე** გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს შესაძლებელია **სტალინსა** და **პერიასთან** იყო დაკავშირებული, რომელთაც **ნ. რამიშვილთან** პირადი მტრობა ჰქონდათ.

1924 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დევნილი მთავრობის პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა. ემიგრანტულ პრესაში გაჩნდა ყოფილი მთავრობის უუნარობის მამხილებელი სტატიები. ამ ვითარებაში საბჭოთა წარმომადგენლობამ პარიზში

მუშაობა დაიწყო კავკასიური ემიგრაციის წინააღმდეგ, რომელშიც დიდ როლს ასრულებდა უშიშროების რეზიდენტი სომეხი **სიმონ პირაშოვი (პირაშიანი)**.

ბოლშევიკები შეეცადნენ შეექმნათ ახალი საბჭოთა კოლონია. ამ მიზნით 1925 წლის აგვისტოში პარიზის კაფე „ვოლტერში“ შედგა ბოლშევიკების მხარეზე გადასული 43 პირის შეხვედრა, რომლებმაც ემიგრაციაში მიიღეს საბჭოთა მოქალაქეობა. ამავე პერიოდის პარიზში გამოვიდა გაზეთი „ახალი საქართველო“, რომელიც ბოლშევიზმის იდეოლოგიის პროპაგანდის საყრდენი და საბჭოთა ხელისუფლების ერთადერთი იდეოლოგიური ცენტრი აღმოჩნდა საზღვარგარეთ. მასში აქტიურად აღმოჩნდნენ ჩაბმული ცნობილი ქართველი ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი **ბრიგოლ ვეჟაძე**, სოციალ-დემოკრატი **ივანე კაჩუხაშვილი, ა. ხალაძე** და **ნიკოლოზ (ნიკოლო) მინიშვილი (სირბილაძე)**. საბჭოთა ხელისუფლების მიერ საზღვარგარეთ გაგზავნილი ქართველი ე.წ. „ემიგრანტები“ საქართველოში დაბრუნების მიზნით აგიტაციას ეწეოდნენ ქართულ ემიგრაციაში. 1926 წელს **ნ. მინიშვილი** უკანვე გამოიწვიეს და 1934 წლამდე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორი, მწერლების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ბოლოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

ე.წ. ახალი ქართული კოლონიის დაფუძნებაში, ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბოლშევიკი **ლევან ლოლობერიძე, ალექსანდრა ჭაბუკიანი** და სხვები. მათ საბჭოთა ხელისუფლება გასამრჯელოს უხდოდა ყოველთვიურად 50-დან 200 დოლარამდე.

ქართული საკითხი არც ფაშისტური იტალიისათვის ყოფილა უცხო. ისტორიული ლიტერატურა, საარქივო წყაროები და სხვა დოკუმენტები გვამცნობენ, რომ იტალიელი პოლიტიკური ხელმძღვანელები დაინტერესდნენ დამოუკიდებელი საქართველოს ემიგრაციული მთავრობის საქმიანობით. 1922 წელს იტალიის ხელისუფლების სათავეში ნაციონალური რევოლუციისა და ანტობოლშევიკური ლოზუნგით მოსულ **ბენიტო მუსოლინის** ახალგაზრდობამ მხარი აქტიურად დაუჭირა. როგორც ჩანს, იტალიელი

სტუდენტების გავლენით ქართველმა სტუდენტმა ემიგრანტებმა 1925 წელს შექმნეს პატრიოტულ-პოლიტიკური ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ომის პერიოდში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში.

„თეთრი გიორგის“ შექმნამდე, 1924 წლის სექტემბერში, ჩამოყალიბდა „ქართველ პატრიოტთა ლიგა“, რომლის ფარგლებში ქართველი არასოციალისტი ახალგაზრდებისაგან დაფუძნდა ორგანიზაცია „მომავალი“, რომელსაც პარიზში ჩასული **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** თხოვნით ეწოდა „თეთრი გიორგი“, რომლის რიგებს შეუერთდნენ **ლეო კერესელიძე** და **ალექსანდრე მანავლიშვილი**, როგორც ხელმძღვანელები.

„თეთრი გიორგის“ წესდება ათი მცნებისაგან შედგებოდა და გამოირჩეოდა პატრიოტული და ისტორიული ღირებულებებით. მათ შორის ზეპარტიულ ღირებულებად მიიჩნეოდა ქართველი ერი, რომელსაც თავისუფლება უნდა მოეპოვებინა თავგანწირვით და ბრძოლით, სახელმწიფო მართვის ფორმა თავისუფლების მოპოვების პირველ ხანებში, ანუ გარდამავალ პერიოდში, ეროვნული დიქტატურა უნდა ყოფილიყო, ნაცვლად პარტიული დიქტატურისა, ხოლო შემდეგ რეჟიმს საფუძვლად უნდა დასდებოდა განახლებული პარლამენტი. „თეთრი გიორგის“ დროშას – თეთრი შავშინდისფერი ალმით, ოქროსფერი ასოებით ეწერა: „საქართველო, უწინარეს ყოვლისა“. ორგანიზაციას ჰქონდა საკუთარი გაზეთი „თეთრი გიორგი“. ამ პერიოდში პოლონურ-კავკასიური ურთიერთობის ფარგლებში დაფუძნდა მოძრაობა „პრომეთე“, რომელმაც წამოაყენა კავკასიური კონფედერაციის კონცეფცია – კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა. ამ იდეას მხარს უჭერდნენ პოლონეთის პოლიტიკური, დიპლომატიური და სამხედრო მოღვაწე **იუზუპ ვილსუდსკი** და მისი გარემოცვა. კავკასიის კონფედერაციის გაერთიანებული კომიტეტი 1924 წელს ჩამოყალიბდა სტამბოლში და მასში საქართველოდან შედიოდნენ: **ალექსანდრე ასათიანი**, **ღავით ვაჩნაძე** და **მიხეილ წარბაქიანი**.

საინტერესოა ფაქტი: პილსუდსკის დახმარებით ჯერ კიდევ

1921 წელს მოხერხდა ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ კონსტანტინოპოლში გაქცეული 700-კაციანი ემიგრაციის სამხედრო პირების დიდი ნაწილის პოლონეთის სამხედრო ლეგიონში განთავსება.

გასული საუკუნის 30-იანი წლების პოლონეთში ცხოვრობდა 200 ქართველი, უმეტესად ვარშავაში. 80 ქართველი ერთგულად მსახურობდა პოლონეთის ჯარში. მათ შორის იყო ერთი პოლკოვნიკი, ხუთი მაიორი, ერთი კაპიტანი და შვიდი პორუჩიკი. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში **ნ. ჟორდანიას** თხოვნით საფრანგეთმა და საბერძნეთმა თავიანთ ლეგიონებში და სკოლებში მიიღეს ქართველი ოფიცრები და იუნკრები. როგორც პოლიტიკური ისტორიის მკვლევარი, ისტორიის დოქტორი, მადონა ქებაძე გვამცნობს, „ქართული ემიგრაციისათვის დახმარებაზე თანხმობა კარგად თავსდება **პილსუდსკის** აღმოსავლური პოლიტიკის კონცეფციაში, მისი გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი შეიძლება ყოფილიყო – ქართველების წინადადებით სარგებლობა“.

1926 წელს პარიზში გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალი „პრომეთე“ – კავკასიის, უკრაინისა და თურქისტანის ხალხების ეროვნული დაცვის ორგანო, რომლის გარშემო ჩამოყალიბებული მოძრაობაც მიზნად ისახავდა ყველა არარუსი ემიგრანტის კოორდინაციას კრემლის რეჟიმის წინააღმდეგ. ამ მოძრაობის დამფუძნებლები იმედოვნებდნენ, რომ შექმნიდნენ ეფექტურ სანიტარულ კორდონს, რომელიც გავრცელდებოდა ბალტიისპირეთიდან შავ და კასპიის ზღვამდე და დაუპირისპირდებოდა ბოლშევიკურ ექსპანსიას.

1926-1938 წლებში ჟურნალ „პრომეთეს“ რედაქტორობდა ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი, კავკასიური კონფედერაციის ერთ-ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი **გიორგი გვაზავა**. მართალია, 1933 წელს, საფრანგეთის მიერ სსრ კავშირის ცნობისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს ლეგაცია გაუქმდა საფრანგეთში, მაგრამ მის სანაცვლოდ ჩამოყალიბდა საქართველოს „ლტოლვილთა ოფისი“, რომელსაც ქართველ ემიგრანტთა ინტერე-

სები უნდა დაეცვა. შესაბამისად, „ლტოლვილთა ოფისის“ ფილიალებად გადაკეთდა დემოკრატიული საქართველოს საელჩოები შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიასა და სტამბოლში. ამავე პერიოდში დაფუძნდა ანტისაბჭოური ხასიათის ემიგრანტული ორგანიზაცია „ქართლოსიც“. დაიწყო ჟურნალ „ქართლოსის“ გამოცემა, გააქტიურდნენ „პრომეთეს მოძრაობა“ და „კავკასიის კომიტეტიც“.

1934 წელს პარიზში ჩამოყალიბდა ნაციონალისტური ორგანიზაცია „კავკასია“. ამ ორგანიზაციის წევრები სხვადასხვა დროს იყვნენ: **შალვა ამირაჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, ვლადიმერ ასმატალი, დავით საღირაშვილი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, მიხეილ კელია** და სხვები. აღნიშნული ორგანიზაცია აერთიანებდა კავკასიის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, ატარებდა ანტისაბჭოთა ხაზს და პოლიტიკური და ორგანიზაციული თვალსაზრისით ძირითადად ორიენტირებული იყო თურქეთზე, თუმცა იმედებს გერმანიასა და იაპონიაზეც ამყარებდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „კავკასიის“ შექმნას მხარი გერმანელებმაც დაუჭირეს. 1937 წელს ბერლინში დაარსდა ამ ორგანიზაციის ფილიალიც. „კავკასია“ ქართულ ენაზე გამოსცემდა ჟურნალ „კავკასიას“, თუმცა მასში გამოქვეყნებული სტატიები მიუღებელი აღმოჩნდა ქართული ემიგრაციისათვის, ხოლო თვითონ ორგანიზაცია 1939 წელს დაიშალა. ამ კონტექსტში საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1934 წლის ივლისში პარიზში, კავკასიის კონფედერაციის შექმნის პაქტზე ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდა ყაზახი **მუსტაფა ჩოკაიც**, ბოლშევიკების მიერ განადგურებული „კანდის ავტონომიის“ მეთაური, რუსეთის დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი, რომელიც რამდენიმე წელი საქართველოშიც ცხოვრობდა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ განსაკუთრებული თბილი ურთიერთობა ჰქონდა ქართული ემიგრაციის ლიდერებთან: **ნ. ჟორდანიასთან, ნ. რამიშვილთან, ე. გაბაჭორთან, ბ. გვაზავასთან, ნ. იმანიშვილსა** და სხვებთან, მათ განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობა დაამყარა **აკაკი ჩხენკელთან**. მიხედვად იმისა, რომ ევროპაში მოქმედი საბჭოური სპეცსამსახურები ცდილობდნენ საზღვარგარეთის თვალში დაეკნინებინათ ქართული ემიგრაციის ერთიანობა, იმჟა-

მად საბჭოთა დაზვერვამ ვერ შეძლო საქართველოს მენშევიკური პარტიის, ყველაზე უფრო ძლიერი და გავლენიანი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის, სრული დისკრედიტაცია. თუმცა, როგორც **ბ. სულაძე** გვარწმუნებს: „საბჭოთა საგარეო დაზვერვა **ქ. ჩოლოყაშვილის** ჯგუფთან ოპერატიულ თამაშს აგრძელებდა და ქართველ პატრიოტთა ამ ნაწილის მეშვეობით ცდილობდა ანტისაბჭოთა ემიგრაციის კომპრომეტირებასა და დაშლას. საბჭოთა ხელისუფლებამ რაღაც პერიოდში გარკვეული ზეგავლენა მოახდინა **სპირიდონ კედიანაც**, ვინაიდან მის გვერდით მუდმივად იმყოფებოდა ემიგრანტი **გიორგი გეგელია**, რომელიც საბჭოთა დაზვერვის „დიდი იმედი“ იყო“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ პერიოდის ქართულ ემიგრაციაში საბჭოთა დაზვერვამ მაინც მოახერხა რამდენიმე ცნობილი მოღვაწის გადაბირება, მათ შორის სახელდება **შალვა ქარუმიჯაც**, რომელიც მუდმივად სკანდალებში ეხვეოდა და სრულყოფილად თანამშრომლობდა საბჭოთა სპეცსამსახურებთან. საბჭოთა დაზვერვა მუდმივად იგონებდა ახალ ხრიკებს, ავრცელებდა ყალბ ინფორმაციებს და ცდილობდა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა ემიგრაციის პოლიტიკური ხელმძღვანელები: **ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილი, ვ. ღუბაძე, ევ. გეგეჭკორი, ქ. ჩოლოყაშვილი, ლ. კერესელიძე, სვ. კედიას, ალ. ამილახვარი, ბ. მაზნიაშვილი, შ. ამირაჯიბი, რ. ბაბაშვილი** და სხვები.

## გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი და ქართული ემიგრაცია

გერმანია-საბჭოთა კავშირის შორის ომის დაწყებამ ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის დიდ ნაწილს ბოლშევიკური მმართველობისაგან საქართველოს განთავისუფლების იმედი ჩაუსახა. აქედან გამომდინარეობდა მათი სურვილი, უფრო აქტიურად გაეშალათ ანტისაბჭოთა საქმიანობა. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ქართული ემიგრაცია გამოეხმაურა 1941 წელს გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელების მოწოდებებს და გააფართოვა მათთან თანამშრომლობა.

გერმანია-საქართველოს ურთიერთობის ქრილში ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ისტორიისა და კულტურის მცოდნის, ცნობილი გერმანელი დიპლომატის **შულენბურგის** საქმიანობას, რომელიც 1911 წლიდან თბილისში მუშაობდა გერმანიის ვიცე-კონსულის თანამდებობაზე. გერმანელი დიპლომატი სხვადასხვა გერმანული ჯგუფებისა და ფირმების საშუალებით („ზინგერი“, „დორიგზანკი“ და სხვ.) ცდილობდა კონტაქტები დაემყარებინა ქართველებთან. ომის დაწყების შემთხვევაში დაზვერვის გამორჩეული პროფესიონალი **შულენბურგი** რუსეთის იმპერიისაგან კავკასიის ჩამოშორებისა და გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაერთიანების მომხრე იყო.

ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში **შულენბურგი** აქტიურად მონაწილეობდა ქართული ნაციონალური ლეგიონის ფორმირებაში, რომელიც თურქეთის ფრონტზე გერმანიის სასარგებლოდ იბრძოდა. სწორედ მან შეუწყო ხელი 1914-1916 წლებში „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ ჩამოყალიბებას. რუსეთის იმპერიის დამხობის დროისათვის **შულენბურგი** კავკასიაში, გერმანიის საოკუპაციო ნაწილების დიპლომატიურ მისიას ხელმძღვანელობდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1918 წლის ივნისში, გაზეთ „რევოლუციურ დროშაში“ გამოქვეყნებულ წერილში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლები მიმართავდნენ გერმანიის რწმუნებულს, გრაფ **შულენბურგს**, ეშუამდგომლა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის

შეერთებაზე ფედერაციულ პრინციპებზე და მათ გაერთიანებაზე საქართველოს შემადგენლობაში.

1941 წლის ბოლოს **შუალენბურგის** მხარდაჭერით დაფუძნდა „საქართველოს ნაციონალური კომიტეტის“ საინიციატივო ჯგუფი, ხოლო 1942 წლის აპრილ-მაისში მისივე ინიციატივით და პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების მონაწილეობით, მოენყო კონფერენცია, რომლის მიზანი იყო იმპერიაში შემავალი მცირე ერების მიმართ გერმანიის პოლიტიკის შემუშავება და ამ პროცესში ემიგრანტთა ჩართვა. „საქართველოს ნაციონალური კომიტეტის“ შემადგენლობამ, რომელშიც შედიოდნენ **საირიღონ კაღია, მისაკო ნარათელი, ლეო კერასელიძე, ღვინტი ვახნაძე, ირაკლი ბაბრატიონი, ზურაბ ავალიშვილი, შალვა მაღლაკელიძე** და სხვები, აღიარა, რომ საჭირო იყო ქართული სამხედრო ტყვეებისაგან ცალკეული სამხედრო დანაყოფების შექმნა, რომელთაც „საქართველოს ნაციონალური კომიტეტი“ უხელმძღვანელებდა. 1942 წელს ამ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამაარსებელი პროფესორი **მისაკო ნარათელი**. ფაქტობრივად, გერმანია ამით ცნობდა საქართველოს პოლიტიკურ წარმომადგენლობას. საქართველოს ემიგრაციის ისტორიის მკვლევარი **ბ. სულაძე** გვანვდის ინფორმაციას, რომ ამ კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით თავი იჩინა ორი უწყების დაპირისპირებამ. გერმანიის მიერ დაპყრობილი აღმოსავლეთის ოლქების სამინისტრო, **როზენბერგის** მეთაურობით, ეწინააღმდეგებოდა კავკასიის საკითხის ცალკე გამოყოფას და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებას. ამიტომ **ჰიტლერი** დასთანხმდა „საქართველოს ნაციონალური კომიტეტის“ ნაცვლად დაეარსებინათ „ქართული საკავშირო შტაბი“, ძირითადად ნაციონალური ლეგიონების შესაქმნელად და „ქართველთა საკითხი“ მთლიანად აღმოსავლეთ ოლქების სამინისტროს გამგებლობაში გადასულიყო.

როგორც ჩანს, „საქართველოს ნაციონალურ კომიტეტს“ ფაქტობრივად არც უმუშავია. ის დატოვეს მისმა გავლენიანმა წევრებმა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ დაპყრობილი რეგიონების

მიმართ გერმანიის პოლიტიკის გამო გერმანიის არმიის მიერ საქართველოს განთავისუფლება უპერსპექტივო იყო. მის ნაცვლად შექმნილ ორგანიზაციული და მრავალმხრივი ფუნქციით აღჭურვილ საკავშირო შტაბს მეთაურობდა მსხვილი მემამულე, ქართველი ემიგრანტი **გიორგი მაღალაშვილი**. პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი იყო **მიხეილ კედია**, ხოლო სამხედრო განყოფილება ებარა **გივი გაბლიანს**.

პარალელურად, „საქართველოს ნაციონალური კომიტეტის“ სანაცვლოდ პარიზში ჩამოყალიბდა პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“, რომლის ხელმძღვანელთა საბჭოში მოხვდნენ სოციალ-დემოკრატები: **ევგენი გეგეჭორი, ავლე სარჯველაძე**; ეროვნულ-დემოკრატები: **დიმიტრი სინჯიკაშვილი, ალექსანდრე ცომაია, ელისო პატარიძე, ალექსანდრე ასათიანი**; „თეთრგორგელები“: **ალექსანდრე მანველიშვილი, ზურაბ აბაშიძე, კალისტრატე სალია**; სოციალ ფედერალისტები: **ნიკოლოზ ურუშაძე, ფ. შარაძე**. შტაბს ხელმძღვანელობდნენ **მიხეილ კედია** და **ევგენი გეგეჭორი**.

**ბ. სულაძე** გვარწმუნებს, რომ ამ გზით გერმანიის დაზვერვამ საფრანგეთში მყოფი მთელი ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაცია პრაქტიკულად ჩართო საბჭოეთის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში. განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა პროპაგანდისტთა ბირთვი – **ისიდორე მანნაკაძე, ვიქტორ ნოზაძე, მიხეილ ქავთარაძე, ზურაბ აბაშიძე, ალექსანდრე ჭიჭიშვილი, გიორგი ნოზაძე, აფრასიმონ ხვედელიანი, ალექსანდრე ალანია, ალექსანდრე კილურაძე, იოსებ გვარამაძე, დიმიტრი სინჯიკაშვილი, ვალიკო ტომონიძე** და სხვები. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ჯერ კიდევ 1910 წელს ფენევაში დაარსებულ „სეპარატისტთა ჯგუფის“ პროგრამაში ახმოვანებდა საქართველოს განთავისუფლებისა და საერთაშორისო ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლის საჭიროებას. ამ ჯგუფში, რომელსაც **პეტრე სურგულაძე** ხელმძღვანელობდა, შედიოდნენ **მიხაკო წარეთელი, ლეო და გიორგი კერესელიძეები, ვასილ ციციშვილი, ნესტორ მაღალაშვილი, მიხეილ იხსნელი, გიორგი მაჩაბელი, პელიტონ**

**ქარცივაძე, შალვა ვარლიძე.** აღნიშნულმა ჯგუფმა შემდგომში ჩამოაყალიბა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელიც მოითხოვდა რუსეთისაგან სრულ გამოყოფას და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას. გერმანიაში დიდი ნდობით სარგებლობდა ორგანიზაცია „თეთრი გიორგიც“, რომლის დაარსების იდეა ემიგრაციაში მყოფ ქართველ ახალგაზრდებს ეკუთვნოდათ. „თეთრი გიორგი“ გერმანიის მთავრობისაგან ითხოვდა, გადამჭრელი ზომები მიეღოთ საქართველოდან კომუნისტების გასადევნად. მისი წევრები **ჰიტლერის** წიგნის „ჩემი ბრძოლა“ გავლენას განიცდიდნენ და საზღვარგარეთ მოქმედ თითქმის ყველა პარტიასთან თანამშრომლობდნენ. ამ ორგანიზაციის საქმიანობა ხორციელდებოდა ლოზუნგით **„საქართველო, უპირველეს ყოვლისა“**. იგი იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გერმანიის პროტექტორატის ქვეშ, ავრცელებდა ფაშისტურ ლიტერატურას, ჰქონდა საკუთარი გაზეთი „თეთრი გიორგი“, რომელსაც თავისი წარმომადგენლები ჰყავდა საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, ეგვიპტეში, სირიაში, პალესტინაში, მანჯურიაში და სხვაგან.

ომის დროს „თეთრი გიორგი“ მუშაობას ძირითადად სამხედრო ტყვე ქართველებთან წარმართავდა და მიზნად ისახავდა მათ გადაბირებას ნაცისტურ სამხედრო ფორმირებებში – „ბერგმანი“, „ბრანდენბურგის დივიზია“, „ნაციონალური ლეგიონები“, და სხვ. „თეთრი გიორგი“ ცდილობდა მოემზადებინათ კადრები საქართველოს მომავალი პროგერმანული მმართველობისათვის.

„თეთრი გიორგის“ პირველი ხელმძღვანელი იყო **ვასილ ციციშვილი**, რომელიც შემდგომში შეცვალა „ქართველ გარიბალდად“ ნოდებულმა პოლკოვნიკმა **ლეო კარესალიძემ**. ამ მოძრაობაში აქტიურობდა **გიჟი კელიას** ერთ-ერთი ვაჟი **მიხეილ კელიაც**, რომელიც საზღვარგარეთ მოქმედ თითქმის ყველა პარტიასთან თანამშრომლობდა.

ცნობილია, რომ 1942 წლის ბოლოს ბერლინში ჩამოყალიბდა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „რუსული კომიტეტი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ომის პერიოდში მთელი დივიზიით, გერმანელ-

თა მხარეზე გადასული რუსი გენერალი **ანდრეი ვლასოვი**. ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ რუსეთი და საბჭოთა კავშირი ერთი და იგივე გეოგრაფიული ერთეული იყო და **სტალინის** შემდეგ რუსეთს იმავე საზღვრებში უნდა გაეგრძელებინა არსებობა. ამის გამო **მიხეილ კალია** და სხვა ქართველები კატეგორიულად უარს აცხადებდნენ **ვლასოვთან** რაიმე ფორმით თანამშრომლობაზე.

1944 წლის სექტემბერში მოენყო საერთო კავკასიური გამაერთიანებელი შტაბების შეხვედრა. აქ გაისმა მოთხოვნა: გერმანიას ეცნო მთელი კავკასიის დამოუკიდებლობა. 1944 წლის ბოლოს გერმანიის აღმოსავლეთის სამინისტროს შტაბის წევრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელშიც აღიარებული იყო კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნდა „კავკასიური შტაბის“ ბეჭდვით ორგანოში და ნაწილობრივ გერმანულ პრესაშიც. მართალია, გერმანიაში ფუნქციონირებდნენ ქართული ლეგიონები და სპეციალური დანაყოფებიც – ბატალიონები, მაგრამ ისინი მეტწილად გამოიყენებოდნენ საყარაულო და საბადრაგო მიზნით, ჩართული იყვნენ დაცვით ნაგებობათა მშენებლობაში და საბრძოლო ოპერაციებში იშვიათად იღებდნენ მონაწილეობას. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებამდე ქართველები მსახურობდნენ უცხოეთის სამხედრო ლეგიონებში. 1939 წლის 14 ივლისს საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის ბასტილიის აღების აღსანიშნავად გამართულ აღლუმზე უცხოური ლეგიონის ასეულის მეთაურები იყვნენ **ლიმიტრი ამილახვარი** და **ნიკოლოზ თოხაძე**. 1931-1939 წლებში საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში ასობით ქართველი ემიგრანტი მსახურობდა.

1940 წელს საფრანგეთის მთავარსარდლობის ბრძანებით შექმნილ სამხედრო ნაწილში მხოლოდ ქართველებს უნდა ემსახურათ და მას „უნტერ-ჯორჯია“ ერქვა. ამის ინიციატივა ეკუთვნოდა ემიგრანტული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრ **ივანე ბეგაძეს**. უცხოურ ლეგიონებში იბრძოდნენ საფრანგეთის სენ-მიქსისა და სენ-სირის სახელგანთქმული სამხედრო სკოლის ქართველი კურსდამთავრებულები. სენ-სირის სამხედრო სკოლის კურსდამთავრებული იყო შემდგომში საფრანგეთის ეროვნული

გმირი **ლიმიტრი ამილახვარი. ამილახვარი** მონაწილეობდა გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლებში სირიაში, ლიბიაში, ალჟირში და 1942 წელს, მისი გმირულად დაღუპვის შემდეგ გენერალ **ლეპოლის** მიერ დაჯილდოვდა მხედრული წარჩინების უმაღლესი ჩინით „გათავისუფლების ჯვრით“, ხოლო შემდეგ „საპატიო ლეგიონის“ უმაღლესი ორდენით. მისი სახელით იწოდება სენ-სრის სამხედრო სკოლის ერთი რგოლი და პარიზის ერთ-ერთი ქუჩაც. **ამილახვრის** ქალ-ვაჟი „საფრანგეთის შვილებად“ გამოცხადდნენ და მათი აღზრდა საფრანგეთის მთავრობამ ითავა. ასევე, დიდი წარმატებული სამხედრო გზა განვლო თბილისის იუნკერთა სასწავლებლის და საფრანგეთის სენ-მიქსენის სამხედრო სკოლის კურსდამთავრებულმა **ნიკოლოზ თოხაძემ**, რომელიც იყო მოროკოს, ალჟირის, ინდოჩინეთის, იაპონიის, ინდოეთის სამხედრო ოპერაციების მონაწილე, 35 წელი იმსახურა ფრანგულ ჯარში და მიიღო საფრანგეთის თითქმის ყველა სამხედრო ჯილდო – „საპატიო ლეგიონის ორდენით დაწყებული, ანჟანის ვარსკვლავის ორდენით დამთავრებული.1 არსებობდა სპეციალური დანიშნულების ბატალიონი „ბერგმანიც“, რაც გერმანულად ნიშნავს „მთის კაცს“. მისი ამოცანა იყო სამთო პირობებში საჰაერო-სადესანტო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება. აქ შედიოდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მეომრები. მოგვიანებით მას შეუერთდნენ სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფები „თამარ – 1“ და „თამარ – 2“. მისი შემადგენლობა ერთ პერიოდში 4 ათასს აღწევდა და პოლკად გარდაიქმნა. ომის მსვლელობის დროს ქართველ ტყვეთა მონაწილეობით ჩამოყალიბდა „ბრანდენბურგის“ დივიზიაც, მაგრამ მას რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციები არ ჩაუტარებია. გერმანელების მოსკოვის მისადგომებთან დამარცხების შემდეგ ბერლინში გაჩნდა იდეა ნაციონალური ლეგიონების შექმნისა. პარალელურად იქმნებოდა სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო და დივერსიულ-სადაზვერვო ფორმირებები. ქართული ლეგიონები ჩამოყალიბდნენ პოლონეთში, უკრაინასა და გერმანიაში. თუმცა, 1943 წლის მეორე ნახევარში პარტიზანების და საბჭოთა არმიის მხარეზე ქართველ ლეგიონერთა გადასვლის გამო ყველა ქვედან-1 გაზ.: „რეზონანსი“, 2017, 7 დეკემბერი.

აყოფი დასავლეთ ევროპაში გადაიყვანეს და მოამზადეს ინგლის-ამერიკის სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი მოქმედებდნენ საფრანგეთში, საბერძნეთში, იტალიაში.

**3. კანარისის** უშუალო მითითებით ჩამოყალიბდა ძირითადად კავკასიელებით შედგენილი სპეციალური დანიშნულების ბატალიონი „ბერგმანიც“, რომელიც გამიზნული იყო სამთო პირობებში საჰაერო-სადესანტო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. ერთი პერიოდი მის შემადგენლობაში ოთხი ათასი მეზობელი ირიცხებოდა და უშუალოდ ლებულობდა მონაწილეობას ყირიმის, ჩრდილოეთ კავკასიის, რუმინეთის, საბერძნეთის და იუგოსლავიის სამხედრო ოპერაციებში. ბერგმანელთა უმეტესობა 1945 წლის მაისში იქნა განადგურებული იუგოსლაველი პარტიზანების მიერ. ომის პერიოდში მოქმედებდა კიდევ ერთი გერმანული სამხედრო ფორმირება „ბრანდენბურგის დივიზია“, რომელიც ფრონტის სხვადასხვა ადგილზე ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცებისაგან შედგებოდა.

„ბრანდენბურგის დივიზიას“, რომელშიც ქართველებიც მონაწილეობდნენ, ევალებოდა საბჭოთა არმიის, პარტიზანებისა და ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციების განხორციელება. დივიზიის შემადგენლობაში მყოფი ბატალიონები იბრძოდნენ ყირიმის ტერიტორიაზე, უკრაინაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კალინინისა და ლენინგრადის ოლქებში, საბერძნეთში.

ქართველები მონაწილეობას ლებულობდნენ უკრაინის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაშიც. 1918 წელს გამოცხადებული უკრაინის დამოუკიდებლობა მყარი ვერ აღმოჩნდა. აქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში მყოფი **სიმონ კეტილი-ურა**, ერთნაირად ებრძოდა როგორც წითელ არმიას, ისე გერმანიისა და ანტანტის ჯარებს, თუმცა დამოუკიდებლობის შენარჩუნება ვერ შეძლო. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ომის დასაწყისშივე უკრაინელებმა სტეპან ბანდერას მეთაურობით გამოაცხადეს ქვეყნის დამოუკიდებლობა, რასაც მტრულად შეხვდნენ როგორც საბჭოეთის, ისე გერმანიის მთავრობები. ამიტომ 1942 წელს ჩამოყ-

ალიბდა „უკრაინის აჯანყებულთა არმია“ (უპა), რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც აგრძელებდა ბრძოლას უკრაინის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საქართველოს ნაციონალურ ლეგიონებში, სპეციალური დანიშნულების ბატალიონებსა და ბრანდენბურგის დივიზიაში ასობით ქართველი იბრძოდა, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო ტყვედ ჩავარდნენ ან ნებაყოფლობით მოხვდნენ სამხედრო ფორმირებებში. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას ქართველი სამხედროების გვერდით იდგნენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ: **შალვა მაღლაკელიძე, გივი გაბლიანი, სიმონ ნიკლაური, ლეიტენანტი შალიაშვილი, ოფიცერი ბაქრაძე, ვიქტორ ჭიჭინაძე;** ემიგრანტები: **ბაბრატი ჭანტურია, ტარას ნოზაძე, ტიტოკო სანაძე, არჩილ ახვლედიანი, შალვა ოქროპირიძე, ირაკლი ალიშვარაშვილი და სხვები. ბ. სულაძე** მითითებულ წიგნში გამოყოფს **შ. მაღლაკელიძეს** და **ბ. გაბლიანს. შ. მაღლაკელიძე** 1923 წლიდან ემიგრაციაში იმყოფებოდა. ცხოვრობდა მოსკოვშიც. პრალაში მიიღო დოქტორის ხარისხი იურისპრუდენციაში, მცირე დროით იყო საფრანგეთში. 1937 წლიდან გერმანიის სამხედრო დაზვერვის „აბვერის“ ოფიციალური თანამშრომელია. **შ. მაღლაკელიძე** „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის წევრი იყო. საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ადმირალ **ზ. კანარისტან** და ამ უკანასკნელისა და გერინგის დავალებით საგანგებო მისიას ასრულებდა პოლონეთში. გერმანიის ხელისუფლების მიერ მინიჭებული ჰქონდა გენერალ-მაიორის წოდება. მოგვიანებით ის საბჭოთა სპეცსამსახურებმა გერმანიიდან „მოიტაცეს“ და საქართველოში ჩამოიყვანეს.

**ბ. სულაძე** თავის წიგნში შენიშნავს, რომ ქართველთა სამხედრო ფორმირებებში, ბევრი იყო საბჭოთა დაზვერვის თანამშრომელი. როგორცა ჩანს, ასეთი იყო „ბერგმანში“ მყოფი **სიმონ ნიკლაური**, რომელიც იატაკქვეშა ორგანიზაციას მეთაურობდა და მხილებულ იქნა როგორც ანტიფაშისტური ჯგუფის მეთაური და სხვა წევრებთან – **შალვა ტაბიქანთან, გიორგი ცუცქირიქანთან, მიხეილ გაბუნისთან, აკაკი ბარბაქაძესთან, თე-**

**ვდორა თედეივთან, დიმიტრი ჯგუზაქესთან, გიორგი ნინი-კაპვილთან, ალექსანდრა ჩოჩიშვილთან, შალვა ბახტაქესთან, ვლადიმერ არაბულსა და გრიგოლ ხელიძესთან** ერთად მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. **მიხეილ კეძიას** დიდი მცდელობის მიუხედავად, ქართველი ტყვეების მიმართ განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი. თუ **შულენბურგი** გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში უშვებდა შესაძლებლობას, რუსეთის იმპერია შენარჩუნებულიყო კონფედერაციის სახით, **როზენბერგი** დიამეტრალურად სანინალმდებო პოზიციაზე იდგა. იგი ესტონეთში დაბადებული გერმანელი, რუსეთის იმპერიის ნაციონალური უმცირესობების წარმომადგენელი იყო და თავის თავზე გამოსცადა ძალადობრივი შოვინიზმი. ამიტომ ჯერ კიდევ 1927 წელს გამოცემულ წიგნში „გერმანიის პოლიტიკის მომავალი გზა“, აღიარებდა გერმანია-უკრაინის მჭიდრო ურთიერთობის დამყარების აუცილებლობას და ხაზგასმით მიუთითებდა კავკასიის გამოყოფის აუცილებლობას რუსეთიდან. ეს კი გერმანულ-ქართულ ურთიერთობაში ახალი ერის დასაწყისის მომტანი იყო. **როზენბერგის** ბეგმით, მოსკოვის იმპერიალიზმის ამოსაძირკვად საჭირო იყო საბჭოთა კავშირის დაყოფა რეიხკომისარიატებად. რეიხკომისარიატი „ოსტლანდი“ აერთიანებდა ბალტიისპირეთსა და ბელორუსიას. ყალიბდებოდა რეიხკომისარიატი „უკრაინა“, რეიხკომისარიატი „კავკასია“ და რეიხკომისარიატი „თურქისტანი“ (ცენტრალური აზია).

სხვათა შორის, ეს გეოპოლიტიკური პროექტი გერმანიის განსაკუთრებული როლის თეზის გამოკლებით, მთლიანად იმეორებდა „პრომეთეს“ მოძრაობის ცნობილ კონცეფციას. როგორც ჩანს, ნაციონალ-სოციალიზმის ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგი **როზენბერგი** ემიგრანტების გეოპოლიტიკური ხედვის გავლენას განიცდიდა. მათ შორის იყო **როზენბერგის** ახლო გარემოცვის წევრი **ალექსანდრა ნიკურაძე**.

1918 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნილი **ა. ნიკურაძე** მიუნხენში დარჩა და მალე დაამყარა ახლო ურთიერთობა არა მარტო **როზენბერგთან**, არამედ მის მეგობართან, ბალტიელ გერმანელთან **არნო შიკაქენცთან**,

რომელიც 1941 წელს **ჰიტლერმა** დანიშნა კავკასიის კომისრად. 1934 წლიდან **ა. ნიჰურაძე როზენბერგის** ხელმძღვანელობით მუშაობდა საგარეო პოლიტიკურ განყოფილებაში, ხოლო აღმოსავლეთის სამინისტროს შექმნის შემდეგ დანიშნა სამსახურის დირექტორად, რომელშიც შედიოდა კონტინენტ ევროპის საკვლევ ინსტიტუტი. პროფესიით ფიზიკოსი **ა. ნიჰურაძე**, ფართო განათლების ადამიანი იყო და გეოპოლიტიკურ და ისტორიულ გამოკვლევებს წერდა **ა. ანდერსის** ფსევდონიმით. საინტერესოა, რომ 1943 წელს **როზენბერგის** დაბადების 50 წლისადმი მიძღვნილ მის წიგნში: „გადამწყვეტი საათები“, ერთი თავი კავკასიას ეძღვნება. **პ. აუსოვარის** „დიდი სივრცის“ გეოპოლიტიკურ თეორიასთან, ქართული პატრიოტიზმის შეთავსებით, **ა. ნიჰურაძემ** შექმნა პოლიტიკური კონცეფცია, რომლის მიხედვით ქართველებს ცენტრალური როლი მიაკუთვნა მის მიერ მესამე რეიხის ეგიდით დაპროექტებულ კავკასიურ კონფედერაციაში.

**ა. ნიჰურაძე** ფიქრობდა, რომ წმინდა ქართული რასის საქართველო გეოგრაფიულად ცენტრალურ მდგომარეობას იკავებდა რეგიონში. მისი აზრით, საქართველო უნდა გამხდარიყო რეგიონული ლიდერი კავკასიაში და აქ ისეთი გეოპოლიტიკური როლი უნდა შეესრულებინა, როგორც გერმანიას ევროპაში. **ა. ნიჰურაძის** წიგნში ყველა მხრივ განხილულია კავკასიის რეგიონის სამხედრო-სტრატეგიული, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. ავტორი მთავარ მიზნად ისახავდა, რეიხის ხელმძღვანელობიდან მოეპოვებინა კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობის აღიარება, ეს კი ნიშნავდა კავკასიელთა სიმპათიის მოპოვებას, რაც ძლიერ სჭირდებოდა საბჭოეთთან მეომარ გერმანიას. როგორც ირკვევა, გარკვეული ხარისხით **ა. ნიჰურაძის** გავლენას განიცდიდა **როზენბერგი, რომელმაც** 1941 წლის აპრილში დაამუშავა გერმანული პროტექტორატით მოქმედი კავკასიის გეოპოლიტიკური კონცეფცია. კონტინენტური ევროპის კველვა-ძიების ინსტიტუტის დირექტორმა **ა. ნიჰურაძემ** გერმანულ ენაზე გამოსცა ხუთი წიგნი, მათ შორის იყო „აღმოსავლეთ ევროპა და „კავკასია“, სადაც ავტორმა დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს ისტორიას. მოგვი-

ანებით **ბ. გაბლიანი** ერთ-ერთ წერილში აღიარებდა ქართველი ემიგრანტების გავლენას **როზენბერგის** გეოპოლიტიკურ პროექტზე. მისი აზრით, როგორც **ა. ნიკურაძე**, ისე **ბ. მაგალოვი (მაღალაშვილი)** **როზენბერგის** პირადი მეგობრები იყვნენ მიუნხენში ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან და ამიტომ მისი ნდობითა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ. **ბ. გაბლიანი** ფიქრობდა, რომ ეს ორი ქართველი იყენებდა თავის კარგ კავშირებს რეიხმინისტრთან, არა რაიმე პირადი სარგებლის მისაღებად, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ მიეღწიათ მისი კეთილგანწყობილი პოზიციისათვის კავკასიელებთან ურთიერთობაში.

**როზენბერგი** ხაზს უსვამდა კავკასიის დიდ მნიშვნელობას გერმანიის იმპერიისათვის და ამასთან დაკავშირებით წინადადებას იძლეოდა რეიხკომისარიატის წინაშე, შეექმნათ 5 გენერალური კომისარიატი და ორი მთავარი ოლქი. უნდა ჩამოყალიბებულიყო საქართველოს, აზერბაიჯანის, ჩრდ. კავკასიის, ყუბანისა და თერგის ყალმუხეთის- გენერალური კომისარიატები და ორი – სომხეთისა და კალმიკიის, უფრო დაბალი სტატუსის მქონე ოლქები. ეგ ითვალისწინებდა ეთნიკურ მოზაიკურობას, სტაბილურობასა და ეკონომიკურ აყვავებას. სხვათა შორის, **როზენბერგის** კონცეფცია, ისტორიულ რეტროსპექტივაში იყო სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის შექმნის იდეის გაცოცხლება, რომელიც ჯერ კიდევ 1918 წლის აგვისტოში წამოაყენა დონის კაზაკების რაზმების სარდალმა **პ. კრასნოვმა**. **როზენბერგი** მიიჩნევდა, რომ კავკასია იქნებოდა გერმანიის მფარველობის ქვეშ მოქმედი სანიტარული კორდონი, რომელსაც ადგილებზე ექნებოდა გაფართოებული თვითმმართველობა, ხოლო გერმანელებს რეგიონში ჩინოვნიკების მინიმალური რაოდენობა ეყოლებოდათ და ისინი მეტწილად არბიტრის ფუნქციას შეასრულებდნენ სხვადასხვა საკამათო პრობლემების გადაწყვეტისას.

აღნიშნული პროექტით **როზენბერგი** გამოდიოდა ადრე არსებული კავკასიის კონფედერაციის იდეით, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლური კავშირის შექმნას, ანუ კონფედერაციულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას (დონის, ყუბანისა და

თერგის კაზაკობა, ჩრდ. კავკასია, საქართველო, სომხეთი, ააზერბაიჯანი).

1918 წლის სექტემბერში აღნიშნული პროექტი განსახილველად წარედგინა გერმანიის იმპერატორ **ვილჰელმ მეორეს**, რომელიც მას სრული მონონებით შეხვდა. სწორედ ოდნავ შეცვლილი ეს პროექტი, აღადგინა **როზანბარბა**, რომელიც **ა. ნიჰურაძის** შეხედულებების გავლენით ხაზს უსვამდა საქართველოს წამყვანი როლის აუცილებლობას კავკასიის რეგიონში. 1941 წლის 5 მაისს **ა. როზანბარბი** კავკასიის რაიხკომისრის სახელზე გაგზავნილი ინსტრუქციაში აღნიშნავდა: „კავკასიის ხალხებს შორის მმართველობითი როლის ძლიერი ენერჯის გამოვლინება შედარებით ქართველებში ვლინდება. ასე რომ, რაიხკომისარიატის დედაქალაქი ლოგოკური ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლებელია მხოლოდ თბილისში იყოს, – რომელიც კავკასიის ხალხთა ყველაზე წარმომადგენლობითი ცენტრია. ეს ამართლებს ქართველებისათვის ფედერალური მმართველობის მინიჭების აუცილებლობას, რაც გულისხმობს სამომავლოდ კავკასიაში მმართველობის მუდმივი წარმომადგენლობის არსებობას, სადაც კავკასიის ფედერაციული მთავრობის თავმჯდომარის ადგილი ქართველებს ექნებათ“.

1941 წელს საქართველოს გენერალურ კომისრად დანიშნული ოტო გოდესის მითითებით, დაიწყო კავკასიის ბიბლიოთეკის შესწავლა, კარტოგრაფიული მასალების შეგროვება და სხვა თვალსაჩინოებების მოპოვება. გოდესის მიერ გამოცემული საქართველოს ატლასი ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი იყო კავკასიის შესახებ გამოსულ სხვა გამოცემებთან ერთად.

ქართული ემიგრაციის ისტორიის მკვლევარი **გიორგი მამულია** ფიქრობს, რომ რეიხკომისარიატების არსებობას **როზანბარბი** დროებით მოვლენად მიიჩნევდა და ომის დამთავრების შემდეგ უკრაინა, კავკასია და თურქმენისტანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად უნდა გარდაქმნილიყვნენ. დღემდე უცნობია ამ საკითხზე თვითონ **ჰიტლერის** აზრი, თუმცა **ფიურერის** და **როზანბარბის** შეხედულებები ერთიანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, კავკასია სამუ-

დამოდ უნდა განთავისუფლებულიყო რუსეთის ხელისუფლებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ **ა. როზენბერგსა** და **ი. რიზენტროვს** შორის კავკასიის ხალხთა მიმართებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, 1941 წლის შემოდგომაზე აღმოსავლეთის სამინისტროში ჩამოყალიბდა კავკასიის სამმართველო, სადაც შეიქმნა საქართველოს განყოფილება, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა **როზენბერგის** და **ა. ნიკურაძის** ახლო მეგობარი **გიორგი მაღალაშვილი**. იმ პერიოდში **ა. ნიკურაძისა** და **გ. მაღალაშვილის** სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს ნაციონალურ-სოციალური ჯგუფის შექმნაც, რომლის ბირთვში შედიოდნენ გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები: **ვლადიმერ (ლადო) ცხომელიძე, ვალერიან (ვალეკო) ტოგონიძე** და **აკაკი გამსახურდია**.

ცხადია, კავკასიის მიმართ პოლიტიკური კოცეფცია ჰქონდა შემუშავებული გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც, ამ მხრივ გამოირჩეოდა კავკასიური საკითხების ღრმა მცოდნე **შულენბურგი**, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდიდან, როდესაც გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენელი იყო კავკასიაში. 1942 წლის აპრილში **შულენბურგის** ინიციატივით, ბერლინში ჩატარდა საგანგებო კონფერენცია საფრანგეთში, იტალიაში, ბალკანეთსა და თურქეთში მცხოვრები ემიგრანტების წარმომადგენელთა მონაწილეობით. აქ შეკრებილთა შორის იყვნენ **სპირიდონ კეღია**; „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელები: **მიხეილ ნარეთელი, ლეო კერასელიძე, ალექსანდრე მანველიშვილი**; ეროვნულ-დემოკრატიები: **დავით ვანნაძე, ვალვა ამირაჯიბი**; საქართველოს სამეფო ტახტის პრეტენდენტი **ირაკლი ბაგრატიონ-მუსხრანელი**, პროფესორი **ზურაბ ავალიშვილი**, პოლკოვნიკი **ვალვა მაღლაკალიძე** და **შულენბურგთან** ახლო ურთიერთობაში მყოფი ქართველი ემიგრანტები.

შემდგომში **დ. ვანნაძე** მემუარებში იხსენებდა, რომ **შულენბურგი** გამოთქვამდა წინადადებას დახმარების შესახებ 1918 წლის გერმანულ-ქართული თანამშრომლობის ფარგლებში „იმ შემთხ-

ვევაში, თუ გერმანიის ახლანდელი მთავრობა, როგორც ადრე, დაეთანხმებოდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენას“.

უცხოეთში მყოფი ქართული პოლიტიკური ძალები ფიქრობდნენ, რომ „საქართველოს ნაციონალურ კომიტეტს“ საერთო ენა უნდა გამოეძებნა გერმანიის ხელისუფლებასთან. ამ იდეას მხარს უჭერდა **შულენბურგიც**, რომელიც ოპტიმისტურად იყო განწყობილი და დარწმუნებული იყო, რომ პირველ ეტაპზე საქართველოს მისცემოდა სლოვაკეთის ტიპის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი. ცნობილია ისიც, რომ ძველი გრაფი მხარს უჭერდა საქართველოში მონარქიის აღდგენას გერმანიის პროტექტორატით, ხოლო მის სათავეში მოიაზრებდა ქართველ ბაგრატიონებს, კერძოდ, **ირაკლი გაბრატიონ-მუსრანაღს**, თუმცა ზემოთ აღნიშნული კონფერენციის მოწვევამ ერთგვარი დაპირისპირება გამოიწვია საგარეო საქმეთა სამინისტროსა და აღმოსავლეთის სამინისტროს შორის. ამ ეტაპზე **როზენბერგმა** გაიმარჯვა და **რიჰენტროვისაგან** მოითხოვა არ ჩარეულიყო აღმოსავლეთის სამინისტროს საქმიანობაში. შესაბამისად, უარყოფილ იქნა „საქართველოს ნაციონალური კომიტეტის“ თავმჯდომარედ **შულენბურგის** მიერ რეკომენდირებული **ირაკლი გაბრატიონის** ძანდიდატურაც, რომელიც მოგვიანებით ბერლინში დაფუძნებული „საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის“ ხელმძღვანელი გახდა.

1942 წლის ზაფხულში „საქართველოს ნაციონალური კომიტეტის“ შექმნა წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური წარმომადგენლობის შექმნის ცდას გერმანიაში, მითუმეტეს, **ჰიტლერი** წინააღმდეგი იყო განესაზღვრათ საბჭოთა კავშირის მცირე ხალხების პოლიტიკური სტატუსი. ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი საქართველოს მხარდამჭერი გერმანელი პოლიტიკოსებისათვის. ამიტომ აღმოსავლეთის სამინისტრომ ეშმაკობას მიმართა, რამდენადაც სიტყვა „კომიტეტი“ **ჰიტლერის** მიერ შეიძლება აღქმულიყო როგორც ემიგრანტების გარკვეული მოთხოვნა მომავალი მთავრობის ფორმირებისათვის. ამიტომ წარმომადგენლობის ნაცვლად, გამოყენებულ იქნა სიტყვა "Nvsschuss", რაც აღნიშნავდა

როგორც კომიტეტს, ასევე კომისიას. ცხადია, ეს გაკეთდა პროქართულად განწყობილი პირების პროფესორ **ბ. ჴონ მინდას** და **ო. ჴონ ბროიტმანის** მონდომებით, ყოველივე ეს შესაძლებლობას აძლევდა ქართველებს ქართულ ენაზე გამოეყენებინათ სახელწოდება „საქართველოს ნაციონალური კომიტეტი“, არ აღიარებული გერმანიის მხრიდან.

„საქართველოს ნაციონალური კომიტეტი“ და „თეთრი გიორგი“ 1942 წლის მარტში ერთიან ორგანიზაციად გაერთიანდა და მიიღო სახელწოდება „ქართული ნაციონალ-სოციალისტური პარტია – თეთრი გიორგი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფ. **მიხეილ ნაკაბიძე**, ხოლო მოადგილედ აირჩიეს **ბ. მაღალაშვილი** და **ლ. კარასელიძე**. მათი ბეჭდვითი ორგანო იყო ბერლინში ყოველთვიურად გამომავალი ჟურნალი „ქართველი ერი“, რომელსაც რედაქტორობდა „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე **კალისტრატე სალია**.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ორგანიზაცია საქართველოში გერმანელების შემოსვლის შემთხვევაში, თავის თავს არ მოიაზრებდა ქართველი ხალხის მომავალ მთავრობად. **ბ. ნაკაბიძე** მიიჩნევდა, რომ არსებული სტრუქტურები გამართლებული იყო მხოლოდ ემიგრაციის პირობებში, ხოლო საქართველოს განთავისუფლების შემდეგ ხალხს თვითონ უნდა აერჩია ქვეყნის მთავრობა. ანალოგიური მოსაზრება ჰქონდა ბერლინში გადასულ პროგერმანულ პოლიტიკურ მოღვაწეს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ **მიხეილ კვიციანი**. **ბ. კვიციანი** კოორდინირებას უწევდა ემიგრანტების ჯგუფების პოლიტიკურ პარტიებს და თავის დროზე შეძლო ბევრი ქართველი ეხსნა გერმანიის მთავრობის რეპრესიებისაგან.

იხსენებენ ფაქტს: 1940 წლის თებერვალში, საქართველოს დევნილმა მთავრობამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ინგლის-საფრანგეთის ბლოკს და დაგმო გერმანია-სსრ კავშირის მოკავშირეობის ფაქტი. მოგვიანებით, პარიზის დაკავების შემდეგ, გერმანელებს გაუჩნდათ სურვილი დაეპატიმრებინათ ემიგრაციაში მყოფი სოციალ-დემოკრატიული ფრთის ცალკეული წარმომადგენლები,

თუმცა, **მ. კაღია** ჩარევით, ეს უსიამოვნება თავიდან იქნა აცილებული. **მ. კაღია** თანამშრომლობდა გერმანულ სპეცსამსახურებთან, იყო დაზვერვის სამსახურების ნდობით აღჭურვილი პირი და ომის დაწყებიდან, მისი დამთავრების ჩათვლით, თვალსაჩინო როლი შეასრულა გერმანია-საქართველოს ურთიერთობის რთულ პროცესში. მესამე რეიხის მიმართ მკვეთრად კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, სოციალ-დემოკრატების ლიდერებს **ნ. ჟორდანიას** და **ი. გეგაჭორს** არ სურდათ საქმე თვითდინებაზე მიეშვათ და **მ. კაღიას** რეკომენდაცია მიეცა აქტიური როლი შეესრულებინა გერმანულ-ქართული ურთიერთობის მონესრიგებაში.

ამ კონტექსტში საინტერესოა ქართული ემიგრაციის ერთ-მანეთთან ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. როგორც ირკვევა, არსებობდა ორი ლიდერის – **ნ. ჟორდანიას** და **ი. გეგაჭორის** გარშემო შემოკრებილი ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვანაირად საზღვრავდნენ სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებს. განსაკუთრებული კამათის საგანი იყო საბჭოთა კავშირსა და გერმანიასთან დამოკიდებულების საკითხი. **ნ. ჟორდანიას** თანამოაზრეები: **ნ. რამიშვილი, შ. ბერიშვილი, სამ. ზირცხალავა, ი. თაყაიშვილი, მინალარიშვილი** და სხვები – არ თანამშრომლობდნენ გერმანიის ხელისუფლებასთან. რაც შეეხება **ი. გეგაჭორის** მხარდამჭერებს, ისინი, კერძოდ, **ირ. ნაჩათელი, სპ. კაღია, ალ. ასათიანი, ივ. ჭავჭავაძე, რ. არსანიძე, ა. ხოშტარია, რ. ყიფიანი, ი. ქარსა-ლაძე, ბრ. შროტაძე, ვ. ნულაძე, ვიკ. ნოზაძე, ბ. ბაბელია, მ. კაღია, კ. სალია, ლ. კარესელიძე, ნ. დიდუბულიძე** და სხვები ცდილობდნენ გარკვეული ურთიერთობები დაემყარებინათ მესამე რეიხთან.

ისტორიული და ლიტერატურული მასალები გვამცნობენ, რომ 1925 წელს **სპ. კაღიამ** ცნობილი გერმანელი მხატვრის პროფესორ კურსელის ოჯახში გაიცნო **ადოლფ ჰიტლერი**, რომელმაც საუბარში აღუთქვა ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთ ლიდერს რომ თუ მომავალში გერმანიის ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა, საქართველოს დამოუკიდებლობას დაუბრუნებდა. ეს დანაპირები **სპ. კაღიამ** ნაციისტური გერმანიის მეთაურს კავკა-

სიასთან მოახლოებისას შეახსენა. მან წერილობით მიმართა **ჰიტლერს**, რომელშიც აფრთხილებდა, რომ კავკასიის დაპყრობის შემთხვევაში თუ ის იქ მცხოვრებ ერებს თავისუფლებას არ მისცემდა, მის პოლიტიკას სრული კატასტროფა ელოდა.

ამ კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ ისიც, რომ თავის დროზე **ჰიტლარის** კონცეფცია ითვალისწინებდა შეუძლებელი გაეხადა საბჭოეთისთვის ცენტრალური ევროპის მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენება და ისინი თვითონ გამოეყენებინა. ანალოგიური იყო გერმანიის დამოკიდებულება კავკასიისა და საერთოდ, აღმოსავლეთის რესურსების მიმართაც. **ჰიტლარისათვის** კარგად იყო ცნობილი გერმანიის მიმართ 1939-1941 წლებში განხორციელებული სტალინური პოლიტიკა, როდესაც თავდაუხსმელობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ კრემლი აშარაგებდა გერმანიას აუცილებელი ნედლეულით და ცდილობდა ბერლინი ეკონომიკურად მიეზა მოსკოვისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი, ასევე, ცდილობს გამოიყენოს ეკონომიკური შესაძლებლობები ევროკავშირის ქვეყნებზე პოლიტიკური ზეგავლენის მოსახდენად.

**მ. კაღია** ემიგრაციის პოლიტიკური სუბექტრის წარმომადგენელი აღმოჩნდა გერმანიაში, რომელსაც დევნილმა მთავრობამ პოლიტიკური, ორგანიზაციული და ფინანსური მართვის სადავეები გადასცა. მით უმეტეს, რომ მას მფარველობას უწევდნენ გერმანიის ხელისუფლების მაღალჩინოსნები, მათ შორის იყო სს ბრიგადფიურერი ვალტერ შელენბერგი.

ქართველთაგან გერმანიის ხელისუფლებისათვის ყველაზე მიღებული პიროვნების **მისაილ კაღიას** უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბეს გერმანელებმა სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფი „თამარ-1“, რომელიც მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიებისა და **ქ. ჩოლოყაშვილის** თანამოაზრეებით იყო დაკომპლექტებული. მოგვიანებით, ისევ **მ. კაღიას** დახმარებით მოხერხდა საერთო ენის გამონახვა **ნ. ჟორდანიასა** და **ეპ. გეგაჭკორთან**, რაც გამოიხატა სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფის „თამარ-11“-ის ჩამოყალიბებით, რომელშიც უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სოციალ-

დემოკრატები. საინტერესოა ის გარემოება, რომ ეროვნულ-დემოკრატების აქტიურობა გერმანიის თავდასხმის გამო საბჭოთა კავშირზე მისაღები არ აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ გერმანელების საქართველოში შესვლის შემთხვევაში ისინი კარგავდნენ სამეთაურო-პოლიტიკურ პოზიციებს.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ფრონტზე წავიდა რამდენიმე ქართული შენაერთი, თუმცა მათ გამცილებელთა შორის არ ყოფილან **ნ. შორდანი, ირ. ნარეთელი, სვ. კალია** და სხვები.

გერმანელები **მის. კალიას** საშუალებით შეეცადნენ ჩამოეყალიბებინათ ერთიანი „ქართული ნაციონალური კომიტეტი“, მაგრამ იმჟამად მისი შექმნა ვერ მოხერხდა, თუმცა **მის. კალიას** და **პვ. ბაბაჭორის** ხელმძღვანელობით შეიქმნა პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“, რომელშიც გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური და თეთრგოვრელების ცნობილი წარმომადგენლები. შესაბამისად, გერმანიის ხელისუფლებამ შეძლო მთელი ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის ჩართვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში.

ამრიგად, **მის. კალიამ, პვ. ბაბაჭორმა, პ. სარჯველაძემ, დ. სინჯიკაშვილმა, ალ. ცომაიამ, ე. პატარიამ, ალ. ასათიანმა, ა. მანველიშვილმა, ზ. აბაშიძემ, კ. სალიამ, ნ. ურუშაძემ, ფ. შარაძემ** და სხვებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას გერმანიის პროტექტორატით.

უნდა ითქვას, რომ თვით **მ. კალიას** შესახებ ქართულ ემიგრაციაში ერთიანი აზრი არ არსებობდა. ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ის მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ნაცისტურ ხელისუფლებასთან. მეორენი მას ინგლის-ამერიკის ალიანსთან კავშირში ადანაშაულებდნენ. გამოითქმებოდა ვარაუდი **მ. კალიას** საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობის შესახებაც. ცნობილი იყო **მ. კალიას** უაღრესად გართულებული ურთიერთობა „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელ **ლეო კირსელიძისთანაც**. ქართული პოლიტიკური

ემიგრაციის ხელმძღვანელობაში იმართებოდა საუბარი იმის შესახებაც, რომ **მ. კელიას** საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ნაცისტური პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან – ბორმანთან. ეს უკანასკნელი კი ეჭვმიტანილი იყო საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობაში. ბერლინთან საიდუმლო თანამშრომლობის მიუხედავად, **მ. კელიას** არასოდეს არ დავინყებია საქართველოს ეროვნული ინტერესები, რომელსაც მუდმივად ახმოვანებდა გერმანიის ხელისუფლების წინაშე და ყოველთვის წინ სწევდა საკითხს საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობის აღიარების აუცილებლობის შესახებ.

**მ. კელიამ** შეძლო საზღვარგარეთ მყოფი „საქართველოს ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის“ და „თეთრი გიორგის“ გაერთიანება. ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოს ეროვნული ერთობის ჩამოყალიბებაც, რომელშიც შევიდნენ საფრანგეთში მყოფი ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები და უპარტიოებიც, რომლებმაც **მ. კელია** თავის ლიდერად და თავმჯდომარედ აღიარეს „საქართველოს ეროვნული ერთობის შეკრებაზე“.

1942 წლის ზაფხულში **მ. კელიამ** ჩამოაყალიბა სპეციალური სამუშაო ჯგუფი „ზონდერშტაბი – კავკასია“, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა საქართველოსა და ემიგრანტების წრეში საკმაოდ აღიარებული პიროვნება, გენერალი **საირილონ ჭავჭავაძე, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის** თანამოაზრე.

„ზონდერშტაბში“ აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ საქართველოსა და კავკასიის ავტორიტეტული წარმომადგენლები: **ალ. ასათიანი, დიგ. სინჯიკაშვილი, ალ. ცოხია, ა. კაპრამირი** და **ა. მაგომა** ჩრდილოეთ კავკასიიდან, აზერბაიჯანის წარმომადგენელი **ა. ალიგაკოვი, ა. ჟაგალიანი სოხეთიდან, მ. ჰალინოვი** ყალმუხეთიდან.

ერთი პერიოდი „ზონდერშტაბისტები“ მხარს უჭერდნენ კავკასიურ კონფედერაციას, მაგრამ შემდეგ კავკასიაში ოთხი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ინიციატივით გამოვიდნენ. **მ. კელია** არ იზიარებდა **როზენბერგის** კავკასიური კონფედერაციის

იდეას, შესაბამისად, მას მიუღებლად მიაჩნდა **არნო შიკედანცის** დანიშვნა კავკასიის მმართველად. **მ. კედია** ღიად აცხადებდა: „ააფეთქებდა შიკედანცს, თუ ის თბილისში ჩამოვიდოდა გენერალური კომისრის რანგში“. ამ გარემოებათა გამო, ურთიერთობა დაიძაბა **მ. კედიასა და ა. ნიკურაძეს** შორისაც. 1942 წლის ნოემბერში, კავკასიის ფრონტზე ვერმახტის უკანდახვევის გამო, **კედია**ს მიერ გერმანიის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ მემორანდუმში ხაზი ესმებოდა, რომ თუ ბერლინი უარს იტყოდა აღმოსავლეთის ხალხების დამოუკიდებლობაზე, მისი დამარცხება გარდაუვალი იქნებოდა. თავის მხრივ, გერმანიის ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა აღმოსავლეთის სამინისტროზე და მითითებას აძლევდა საქართველოს განთავისუფლების შემთხვევაში აემუშავებინა სამხედრო-სახელმწიფოებრივი სტრუქტურები. ამ მიზნით, 1942 წლის აგვისტოში სამინისტროს ქართული საქმეების განყოფილებას და მის ხელმძღვანელს **გ. მაღალაშვილს** სხვა კავკასიურ განყოფილებებთან ერთად მოუწია ე.წ. ჯ. ჯგუფის სამხედრო ფორმირებების ჩამოყალიბება, რომელიც შედგებოდა ქართული, ჩრდილოეთკავკასიური, აზერბაიჯანული და სომხური შენაერთებისაგან, რომელთაც ხელში უნდა აეღოთ პოლიციური და დაცვის ფუნქციები განთავისუფლებულ ტერიტორიებზე. არსებობდა „პროპაგანდისტთა“ 150-კაციანი ქართული ჯგუფი, რომლებიც ბერლინის ახლოს ერთ-ერთ ბანაკში მომზადდნენ. ამავე უწყებაში შეიქმნა ქართული სიმღერისა და ცეკვის შესანიშნავი ანსამბლი **დავით კავსაძის** ხელმძღვანელობით. ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელები აცნობიერებდნენ, რომ საქართველოს ბოლშევიკების ძალადობიდან ჩამოშორების შემთხვევაში, ისე, როგორც 1918 წელს, უნდა მიეღოთ გერმანიის მფარველობა, თურქეთის ექსპანსიონური გეგმებისაგან თავის დასაცავად. **გ. მამულია** გვანჯდის ცნობას, რომ **ა. ნიკურაძეს** მოუწია გამოეყენებინა თავისი გავლენა, რათა დაერწმუნებინა **ა. შიკედანცი**, რომ პანთურქული ტენდენციების გამოვლენის შემთხვევაში საფრთხე შეექმნებოდა კავკასიის ხალხთა ერთობას, შესაბამისად, მომავალი გერმანული კომისარიატის მთლიანობას და პრობლემური გახდებოდა ბაქოს ნავთობის გამტარუნარიანობის საკითხი,

რომელიც ასე სჭირდებოდა ბერლინს.

საინტერესოდ ჩანს ფაქტი, რომ **ა. შიკელანცის** ინიციატივით, ჩრდილოეთ კავკასიაში, აზერბაიჯანსა და თურქესტანში მოხდა პანთურქული სიმბოლიკის – ვარსკვლავების და ნახევარმთვარის – ჩანაცვლება სხვა სიმბოლიკით, რაც ერთგვარი განსხვავებულობის ტენდენციებს ქმნიდა თურქეთსა და სხვა მუსლიმანურ რეგიონებს შორის.

**გ. მამულია** გვამცნობს, რომ აღმოსავლეთის სამინისტროში მომუშავე ქართველები უარყოფითად ეკიდებოდნენ **შიკელანცის** მიერ კავკასიაში მკაცრი გერმანული კონტროლის დაწესებას, რაც აისახა 1942 წლის დასაწყისში სამსახურებრივი სარგებლობისათვის შემუშავებულ პროექტში „საქართველოს მთავარი ოლქის მონყობის შესახებ“, რომელშიც ლაპარაკიც არ იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებზე. **დავით სალირაშვილს** ამ პროექტზე 1943 წლის 12 მარტს ასეთი ჩანაწერი აქვს გაკეთებული: „არასოდეს გერმანიას არ გამოუვა ასეთი მოქმედებით მოიპოვოს საქართველო. ამდაგვარი პოლიტიკა დაღუპავს თვით ჰიტლერულ გერმანიას“. იმის გათვალისწინებით, რომ „საქართველოს ნაციონალური კომიტეტის“ უფლებამოსილება მთლიანად გაურკვეველი აღმოჩნდა, ხოლო ორგანიზაციის კომპეტენციის სფეროში არსებული სტრუქტურა ფორმალური გახდა, 1943 წლის 17 ივლისს ეს ორგანო დატოვა **სპირიდონ კელიამ**, უფრო ადრე, 1942 წელს, უკრაინის ტერიტორიაზე ყოფნის დროს, მან გერმანიის ხელისუფლებას გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ბერლინის აღმოსავლური პოლიტიკა. **სპ. კელია** მოითხოვდა ელიარებინათ უკრაინისა და კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობა. ანალოგიური ხასიათის მოთხოვნას შეიცავდა **ზ. ავალიშვილის** მემორანდუმიც, თუმცა, იმპერიის ხელისუფლებას ამაზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია. საინტერესოა ფაქტი: უფრო ადრე უკრაინაში, **ჰიტლერის** მიერ დანიშნული რეიხკომისრის **ე. კოსის** ანტიუკრაინული პოლიტიკა საკმაოდ მკვეთრად იქნა გაკრიტიკებული ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის **მიხეილ ახმეტელის** მიერ, თუმცა, ის მხოლოდ **ვალტერ შულენბერგის** ჩარე-

ვით გადაურჩა დაპატიმრებას. **ახმეტელი** იყო ერთ-ერთი გერმანული ანალიტიკური ინსტიტუტის ცენტრის დირექტორი, რომელიც შედიოდა უშიშროების მთავარი სამმართველოს სტრუქტურაში, რომელსაც თვითონ **შულენბერგი** ხელმძღვანელობდა. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ **ჰიტლერმა** მოითხოვა დაეპატიმრებინათ ისეთი ანალიტიკოსი ექსპერტები, რომლებიც ქმნიდნენ დამარცხების განწყობილებას, როგორც ჩანს ამის გამო უწოდა **ჰიტლერმა ახმეტელს** „საბჭოეთის უშიშროების სამსახურის აგენტი“.

**გ. მამულია** ფიქრობს, რომ უფრო პროდუქტიული იყო ქართული ემიგრაციის თანამშრომლობა გერმანულ სამხედროებთან. პოლონეთში კავკასიის სათვისტომოს თავმჯდომარემ **გრიგო ალშიბაიამ** შეძლო კარგი კონტაქტები დაემყარებინა ცენტრთან, რასაც 1942 წლის შემოდგომაზე მოჰყვა ქართული ლეგიონის ბატალიონების ჩამოყალიბება. მითუმეტეს, რომ **როზენბერგის** ბრძანებით, ქართველ ემიგრანტებს ნება დაერთოთ ჩაბმულიყვნენ გერმანიის სამხედრო სამსახურში და ეომათ ბოლშევიზმისა და რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თუმცა ქართველი ლეგიონერები უფლებებით, მხოლოდ 1944 წელს გაუთანაბრდნენ გერმანულ ჯარისკაცებს.

1943 წლის ოქტომბრისათვის კავკასიურ ნაციონალურ სამხედრო ნაწილებში ირიცხებოდა 100 ათასი კაცი, რაც იძლეოდა შესაძლებლობას შეექმნათ ძლიერი და ავტორიტეტული სამხედრო წარმომადგენლობა. სწორედ ამ მიზნით **როზენბერგის** ინიციატივით, ჩამოყალიბდა კავკასიის ხალხების პოლიტიკური წარმომადგენლობის სექცია. განსხვავებით **ჰიტლერის** მიერ არალიარებული „კავკასიის ნაციონალური კომიტეტისაგან“, ეს შტაბი აღიარებული იყო ნაცისტების მიერ და ჰქონდა პოლიტიკური, სამხედრო, სამოქალაქო და საფინანსო-სამეურნეო განყოფილებები. შტაბის თავმჯდომარე და სამოქალაქო განყოფილების გამგე იყო **გიორგი მაღალაშვილი**. პოლიტიკურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა **მიხეილ კედია**, სამხედროს – **გივი გაბლიანი**, ხოლო ფინანსურ-სამეურნეოს – **გრიგოლ ალშიბაიას** შვილი – **მიხეილ ალშიბაია**. შტაბის წევრები გახდნენ **ალ. ცომაია**, **მიხეილ** და **ვლადიმერ ცხომელიძეები**.

ორგანიზაციულად, აღმოსავლეთ სამინისტროს კავკასიის განყოფილებაში შემავალი შტაბი, ახლო კავშირში იყო პარიზში მყოფ საქართველოს მთავრობასთან, კერძოდ, **ნ. ჟორდანიასა და ე. გეგეჭკორთან** და მოქმედებდა 1944 წელს პარიზში მოკავშირეების ჯარების შესვლამდე.

1944 წლის აგვისტოში, დასავლეთის ფრონტზე კავკასიური სამხედრო ნაწილების დანაკარგების შემდეგ, შტაბის ხელმძღვანელობა შეეცადა მიეღწია რეიხის მიერ კავკასიის ხალხების პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარებისათვის. ამ მიზნით, **როზენბერგისათვის** გადასაცემად შეითხზა კავკასიური შტაბების წარმომადგენელთა წერილი, რომელშიც შემდეგი მოთხოვნები იყო წარმოდგენილი:

1. გერმანიის იმპერიული მთავრობის მიერ კავკასიური სახელმწიფოების დამოუკიდებლობის აღიარება;
2. გერმანიის მხარეზე მებრძოლი კავკასიური სამხედრო ფორმირებების აღიარება კავკასიის გამანთავისუფლებელ არმიად;
3. ოთხი კავკასიელი ხალხის გამოცხადება გერმანიის მოკავშირედ;
4. კავკასიის საკავშირო შტაბების უფლებამოსილებებისა და მოვალეობების აღიარება.

გერმანიის ხელისუფლების მიერ ამ პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში „კავკასიის საკავშირო შტაბი“ არ იღებდა პასუხისმგებლობას არც კავკასიელი ხალხების და არც გერმანიის წინაშე, რამდენადაც მათი პოლიტიკურ-სამართლებრივი ფორმები არ შეესაბამებოდა მოცემული მომენტის მოთხოვნებს. „კავკასიის საკავშირო შტაბი“, 1944 წლის მეორე ნახევარში კიდევ ერთ წინააღმდეგობას წააწყდა რუსული დიდმპყრობელური ტენდენციების გამოვლენის პროცესში. საქმე ის იყო, რომ 1944 წლის ივლისში **ჰიტლერზე** წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ, ინიციატივა ხელში აიღო იმპერიის სს-ის ხელმძღვანელმა ჰიმლერმა, რომელმაც გადაწყვიტა სტალინური რეჟიმის ძირის გამოსათხრელად რუსული ნაციონალიზმი გამოეყენებინა. ამ მიზნით, აღმოსავლეთის, მათ შორის კავკასიის, მოხალისეთა ფორმირებების ხელმძღვანელობა

1942 წელს გერმანელების მხარეზე გადასულ რუს გენერალს **ვ. ვლასოვს** დაევალა. **ვლასოვი** არ იცნობდა ნაციონალური უმცირესობების დამოუკიდებლობის იდეას და აცხადებდა, რომ ბოლშევიზმის დამხობის შემდეგ სსრ კავშირის ხალხები ისევ ნებაყოფლობით გაერთიანდებოდნენ რუსეთთან. მისი გაგებით, რუსეთი და რუსეთის იმპერია, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური გაგებით და ფორმით, სსრ კავშირის იდენტური იყო.

1944 წლის ოქტომბერში **მ. კელიამ** და სხვა კავკასიელმა ლიდერებმა უარი თქვეს **ვლასოვის** შეთავაზებაზე, შესულიყვნენ რუსეთის ხალხების განთავისუფლების კომიტეტში. კავკასიური შტაბის განცხადებით, „საუკუნეების განმავლობაში კავკასიის ხალხები იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის. ამაში მდგომარეობდა ძირფესვიანი განსხვავება რუსი და კავკასიელი ხალხების მიზნებსა და ამოცანებს შორის, შესაბამისად, **ვლასოვის** მიზანსა და ამოცანებთან, რომელსაც ის ახორციელებდა, როგორც რუსი ხალხის წარმომადგენელი“. მოგვიანებით, კავკასიის საკავშირო შტაბის ნერილი-პროტესტი **როზენბერგის** საშუალებით გადაეცა რეიხკანცელარიის უფროსს **მ. ბორმანს** და ფელდმარშალ **ვ. კეიტელს**, რომელშიც საზგასმული იყო, რომ კავკასიელები მზად იყვნენ სიამოვნებით ეცნოთ გენერალ **ვლასოვის**, როგორც პარტნიორის, „რუსეთის გამანთავისუფლებელი მოძრაობა“ ბოლშევიზმთან ბრძოლაში, ოღონდ, ამასთანავე, მას არ მიიჩნევდნენ ხელმძღვანელად, რომელსაც უნდა დამორჩილებოდნენ.

25 ოქტომბერს იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი **ე. კალტენბრუნერი** შეეცადა კავკასიელები გააერთიანებინა **ვლასოვის** კომიტეტში, თუმცა ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ლიდერები კატეგორიულად წინააღმდეგნენ „კავკასიის საკავშირო შტაბის“ გაერთიანებას **ვლასოვის** სტრუქტურაში. მიუხედავად იმისა, რომ **ვლასოვის** მხარდამჭერები და მათ შორის **ჰიმლერი**, შეეცადნენ ზეგავლენა მოეხდინათ კავკასიელ ემიგრანტებზე ეს ვერ მოხერხდა, თუ არ ჩავთვლით გენერალ **შ. მალაკელ-იძეს**, რომელიც ინდივიდუალურად შევიდა **ვლასოვის** სამსახურში. თუმცა დაგმოხილ იქნა ემიგრაციის ყველა წარმომადგენლის მიერ.

არ არის გამორიცხული **შ. მაღლაკელიძე** ასრულებდა გარკვეულ დავალებას და იძულებული იყო ემუშავა **ვლასოვის** სტრუქტურაში. მითუმეტეს ის, აქ არასოდეს არ გამოსულა ქართველ ემიგრანტთა სახელით.

აღსანიშნავია, რომ 1944 წლის ნოემბერში, პრალის მანიფესტის შემდეგ, **ვლასოვის** მიერ ჩამოყალიბებულ ალტერნატიულ სტრუქტურაში – რუსეთის ჩაგრული ხალხების კრება – დემოკრატიულ სანყისებზე შევიდნენ უკრაინის, ბელორუსიის, კავკასიის, თურქესტანისა, ვოლგის და ყირიმის თათრების წარმომადგენლები.

უკვე 1945 წლის დასაწყისში, გერმანიის დამარცხების რეალური საშიშროების გათვალისწინებით, კავკასიის კომიტეტების წარმომადგენლებმა დაიწყეს ფიქრი სსრ კავშირის მხიდან მათ მიმართ შესაძლო რეპრესიების თავიდან ასაცილებლად, რამდენადაც 1945 წლის თებერვალში იალტის შეხვედრაზე **სტალინმა** მიაღწია შეთანხმებას, რომ ყველა საბჭოთა მოქალაქე ექვემდებარებოდა სსრ კავშირში რეპატრიაციას, საჭიროების შემთხვევაში იძულებითაც. ამ შეთანხმების თანახმად, 1945 წლის მაის-ივნისში ბრიტანეთმა განახორციელა ოპერაცია კოდური სახელწოდებით „კილხოლი“, რის შედეგად თითქმის ორი მილიონი დატყვევებული სამხედრო მოსამსახურე იძულებით განდევნეს ოკუპაციის საბჭოთა ზონაში. სამხედრო ისტორიკოსები ბრიტანეთის ამ ოპერაციას სამარცხვინოდ მიიჩნევენ. ამ პერიოდში ასე მოიქცნენ ამერიკელებიც, თუმცა **მ. კედამ** მაინც მოახერხა გადაერჩინა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილი და საქართველოს დევნილი მთავრობაც. დაპატიმრებას გადაურჩნენ **ნ. ყორდანი**, **ე. გეგეჭკორი** და **ა. ჩხენკელი**, მაგრამ ასეულობით ქართველი ციხეში აღმოჩნდა. დაზვრიტეს ვიქტორ მონიავა მეუღლესთან ერთად, აგრეთვე **ალექსანდრე გელოვანი** და **ოთარ ჯავახიშვილი**. აღნიშნულიდან გამომდინარე, **მ. კედამ** მიიღო რისკიანი გადაწყვეტილება დასავლეთის სპეცსამსახურებთან კავშირის დასამყარებლად. 1945 წლის აპრილში **მ. კედამ** სხვა კავკასიური ნაციონალური კომიტეტების ხელმძღვანელებთან ერთად პროფ. **გ. ფონმენდეს** ხელშეწყობით მოახერხა შვეიცარიაში შეხვედროდა ამერიკის სპეცსამსახურის

ნარმომადგენლებს. ამ სრულიად საიდუმლო შეხვედრის ორგანიზებაში მონაწილეობდა აშშ-ის რეზიდენტი შვეიცარიაში ალენ დალესიცი. ამერიკის დაზვერვის თანამშრომლებისადმი **მ. კედის** მიერ გადაცემული მემორანდუმი ითვალისწინებდა ქართული ემიგრაციის შესაბამისი სამსახურების მთელი ქსელის გადაცემას დასავლეთისათვის. დალესმა მოითხოვა გერმანელებს ეცნოთ დევნილ მთავრობებთან გათანაბრებული კავკასიის ნაციონალური კომიტეტების სტატუსი.

1945 წლის თებერვალში თურქეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას. ხოლო 1945 წლის მარტში **როზენბერგმა ჰიტლერისაგან** მიიღო უფლება ეცნოთ დე-ფაქტო არსებული „საქართველოს ნაციონალური კომიტეტი“ – ქართველი ხალხის ერთადერთ ნარმომადგენლად. ამრიგად, „საქართველოს ნაციონალურმა კომიტეტმა“ მიიღო ყველა უფლება და სტატუსი, რისთვისაც ოთხი წლის განმავლობაში იბრძოდნენ. შემდეგად, ქართული ემიგრაციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა – სამხედრო ტყვეებმა, რომლებსაც არ სურდათ რეპატრაცია საბჭოეთში, თავიდან აიცილეს უმძიმესი ხვედრი – საკონცენტრაციო ბანაკებსა და ციხეებში მოხვედრა. როგორც **გ. მამულია** შენიშნავს, კავკასიის და საქართველოს ნაციონალური კომიტეტების აღიარება უკვე დაგვიანებული იყო. **ჰიტლერს** ეს უნდა გაეკეთებინა მაშინ, როდესაც გერმანელი ჯარისკაცები კავკასიის მთებთან იბრძოდნენ და არა მოგვიანებით, როდესაც, ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. თუმცა კი ეს აღიარება იყო ლოგიკური დასასრული იმისა, რასაც კავკასიის ხალხები აკეთებდნენ ომის წლებში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მისაღწევად. ამ კონტექსტში საყურადღებოა გერმანელი გენერლის **რალფა ფონ ხაიგენდორფის** აღიარება. ის წერს: „უეჭველია, ჩვენი აღმოსავლელი მოხალისეების რაოდენობა უფრო მეტი იქნებოდა და მათი საომარი ღირებულება უფრო დიდი, ჩვენი ხელისუფლების მიერ უფრო გასაგები პოლიტიკის გატარების შემთხვევაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ აღმოსავლეთის ხალხების დახმარების შემთხვევაში, ჩვენ შევძლებდით მოგვეგო ომი ბოლშევიკებისათვის.“

მიუხედავად ამისა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ქართვე-

ლი ლეგიონერების ბრძოლა, უეჭველად შევა ჩვენი ხალხის ისტორიაში, როგორც განსაკუთრებული მოვლენა. საქართველოს ახალგაზრდობამ აღმართა იარაღი თავისი სამშობლოს სისხლიანი მტრის – რუსეთის წინააღმდეგ. მთავარია, რომ ეს არის ფაქტი. “...ქართველი ტყვეები, დაბადებულები საბჭოთა რეჟიმის პირობებში და ძირითადად, დათრგუნულები ამ რეჟიმის მიერ, ომს უცხადებდნენ ნყოფას, რომლის პირობებშიც დაიბადნენ და აღიზარდნენ. ისტორია ღირსეულ ადგილს მიაკუთვნებს ამ მოვლენას“. ცხადია, ქართველი პატრიოტების ერთადერთი მიზეზი – ეთანამშრომლათ მესამე რეიხთან – განპირობებული იყო გამოეყენებინათ გერმანიის სამხედრო სიძლიერე საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის და მიეღწიათ ქვეყნის ბოლშევიზმისაგან განთავისუფლებისათვის.

ევროპისა და ამერიკის სახელმწიფო ინტერესებმა განსაზღვრა პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობა ბოლშევიკურ რუსეთთანაც, რომელიც აგრეთვე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა დემოკრატიული სამყაროსათვის. თუმცა თავიანთი ქვეყნების მტერთან – გერმანიასთან საბრძოლველად მათ საბჭოთა კავშირთანაც შეკრეს ზავი.

ისტორიული სინამდვილე გვასწავლის: მართალია თუ არა ჩემი ქვეყანა, ის მაინც ჩემი სამშობლოა და ზოგჯერ იძულებული ხდები, ასეთ ღოზუნგს გაჰყვე საკუთარი ქვეყნის ინტერესებისათვის. ასეთი იყო მაშინ საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის მოქმედების პარადიგმის მთავარი არსი.

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1941-1945 წლებში იყო და დარჩება ერთ-ერთ ნათელ, თუმცა დროებით დაუმსახურებლად მივინყებულ ეტაპად საქართველოსა და კავკასიის უახლეს ისტორიაში.

## საქართველო – როგორც ევროპის ნაწილი და ევროპული ქვეყანა ( ნ. ნიკოლაძე და ი. ჭავჭავაძე ევროპული ფასეულობების შესახებ )

რა იგულისხმება ევროპაში, სინამდვილეში რას წარმოადგენს ევროპა, რა ხალხები და ერები მოიაზრება ევროპაში? ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო მოსაზრება გამოთქვა პოლ ვალერიმ - დიდმა ფრანგმა პოეტმა და მოაზროვნემ, ჭეშმარიტმა ევროპელმა: “ყველა რასა, ყველა მინა, რომელიც თანამიმდევრულად იყო რომანიზებული, გაქრისტიანებული, ექვემდებარება ბერძნული დისციპლინის შეგნებას და აბსოლუტურად ევროპულია”( მიხეილ მუსხელიშვილი, „ საქართველო და ევროპა“).

პოლ ვალერის ამ ფორმულიდან გამომდინარე, საქართველო ისეთივე ევროპული ქვეყანაა, როგორც პოლონეთი, უნგრეთი ან რომელიმე სხვა მათი მსგავსი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ დმანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ევროპაში უძველესი ადამიანის (1,8 მილიონი წლის წინანდელ) ნაშთებს, რომლის ასაკი ორჯერ აღემატება ესპანეთსა და იტალიაში აღმოჩენილ დღემდე უძველეს ანალოგებს (ატაპუერკო და ჩეპრანო, 800 ათასი წლის ასაკი), მაშინ ქართველთა ურთიერთობა ევროპულ ცივილიზაციასთან (აიეტი,მედეა, “ოქროს საწმისი” და ბერძენთა ექსპედიცია იასონის მეთაურობით კოლხეთში) 30 საუკუნეზე მეტს ითვლის.

დიახ, საქართველო ევროპული ქვეყანაა. გამოჩენილი არქეოლოგების აზრით, სწორედ აქ იწყება ევროპა. ცნობილი მეცნიერის ვარანიაკის აზრით, სინამდვილეში საქართველოდან დაიძრა იბერიულ-კავკასიელ ტომთა ემიგრაციის პირველი დიდი ტალღა ევროპისკენ, რომელმაც შექმნა პირველი დიდი ცივილიზაცია. სწორედ ამ ცივილიზაციას ეზიარენ რამდენიმე ათასი წლის წინ აქ, ევროპაში მოსული ინდოევროპელები. მოგვიანებით მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა საქართველოსა და საბერძნეთს შორის (შავი ზღვის ქართულ სანაპიროებზე ბერძნების მიერ სავაჭრო ემფორიონების დაარსება და სავაჭრო-კულტურული ურთიერთობები).

პომპეუსმა საქართველოში რომი შემოიყვანა (ძვ.წ 65 წლიდან) და უკვე ახ.წ. აღრიცხვის პირველი საუკუნის საქართველოში

ქრისტიანობა შემოიჭრა, რომელმაც მესამე-მეოთხე საუკუნეების მიჯნაზე მთელი ქვეყანა მოიცვა. ამრიგად, დასავლური ცივილიზაციის გარიჟრაჟზე საქართველო მასში მონაწილეობდა და მისი მზერა ყოველთვის მიმართული იყო დასავლეთისკენ (პეტრე იბერი, გიორგი მთაწმინდელი, მეფეები: დავით IV აღმაშენებელი, თამარი, გიორგი IV ლაშა, გიორგი V ბრწყინვალე, სიმონ მეფე, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, სულხან-საბა, ერეკლე II და სხვ. ვიდრე საქართველო რუსეთმა მოტყუებითა და ვერაგობით არ შეიერთა.

ცნობილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერის, პროფესორ მიხეილ მუსხელიშვილის აზრით, “იყო პერიოდი, როდესაც ქართველებმა შეიგნეს, რომ ისინი ევროპას მიეკუთვნებიან. ევროპა ახლა (იგულისხმება 1950-იანი წლების დასაწყისი — ვ. შ) აკეთებს ამ დასკვნას. ასევე, აუცილებელია, რომ ქართველებმა დაამტკიცონ თავიანთი არსებობა ევროპაში და საქართველო მიაღებინონ დასავლეთის ერების ოჯახში”.(13,182).

ამრიგად, ევროპა და ევროპელობა არ განისაზღვრება არც გეოგრაფიით, არც რასით, არც ენით, არც ზნე-ჩვეულებებით, არამედ მისი სულის უტყუარი თვისებებით, სულისა, რომელიც პოლვალერის მიერ განსაზღვრული სამი გავლენის შემკვიდრება.

ქართველთა ევროპელობის დამამტკიცებელი ფაქტორი მრავალია. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთსა და არსებითს.

ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, ქართული ფეოდალიზმი და პატრონყმობის სისტემა გასაოცრად ემსგავსება და გვაგონებს შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წეს-წყობილებას... პატრონყმობა მთელს ძველ საქართველოს ნიშანდობლივ ელფერს აძლევდა: იგი სუფევდა როგორც სოციალურს, ისე სახელმწიფო წესწყობილებაში... “პატრონი” მეფესაც ეწოდებოდა და ჩვეულებრივ მოკვდავსაც, თუ მათ ყმები ჰყავდათ. “ყმაც” (სიტყვიდან “ყმა”) ქვეშევრდომსაც ნიშნავდა და პატრონთადმი ყმობრივი სამსახურითა და ერთგულებით ვალდებულებასაც. თითქმის მაშინდელი მთელი საქართველო, მეფისგან მოყოლებული, უბრალო მდაბიომდე, პატრონყმობის უღელში იყო შებმული... ომიანობის დროს საქართველოს მხედრობა პატრონყმულად იყო დარაზმული”(14,448-452).

სწორედ პატრონჟიმობის სისტემაა ასახული უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთველის შედევრ “ვეფხისტყაოსანში”. ტახტის მემკვიდრეობის უფლება, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა, ფეოდალური საზოგადოების თითოეული წოდების სავსებით გარკვეული უფლებებისა და მოვალეობის დადგენა, ომისა და აჯანყების უფლება — აი, ავტორის მთავარი საკითხები. ისინი წარმოდგენას გვაძლევს რუსთველის სამართლებრივ და პოლიტიკურ შეხედულებებზე, რომელიც მას გადანყევტილი აქვს ე.წ. “მართალი სამართლის” („ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“) მიხედვით და რომელსაც მოგვიანებით დაეფუძნა ევროპული ცივილიზაცია. შემთხვევითი არაა, რომ რუსთველის იდეალია მეფე თვითმპყრობელი, რეფორმატორი და ტოლერანტი (შემწყნარებელი); მეფე მოსიყვარულე და ქვეშევრდომთათვის სამართლის მიმნიჭებელი, ქვრივ-ოხრებსა და გაჭირვებულებზე მზრუნველი, ერთგული შემდგომში ევროპული სოციალური იდეალისა: “მიეც გადახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები!”.

სწორედ ასეთი მეფე (თამარი მე-12 საუკუნეში) აუქმებს ასოების მოკვეთას, აჩერებს სიკვდილით დასჯას, ავითარებს ქველმოქმედებას - შემდგომში წმინდა ევროპულ იდეალებს და პრინციპებს, ამკვიდრებს სახელმწიფო სამსახურში დგომის ტრადიციას და არა ცარიელ გვარიშვილობას, არააბორიგენების მიმართ შეღავათებს და მათი კულტურის, რელიგიის შენახვას, მათ დაცვას, კერძო საკუთრებას (დავით IV). რელიგიური მშვიდობიანობა, ყველა რელიგიის პატივისცემა და მათდამი დახმარება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა იყო, რაც ძალუმად ეხმიანება ევროპულ იდეებს.

წმინდა ევროპულ მოვლენათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ისე დიდი მნიშვნელობის საკითხი, როგორცაა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და ძალაუფლების დანაწილების ყუთლუ-არსლანისეული ხედვა XII საუკუნის საქართველოში 1184 წელს. ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამაში მთელი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის იურიდიულ საფუძვლად მიჩნეულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საერო მოძ-

ღვრება (რომლის კლასიკური საფუძვლები ლოკმა და მონტესკიემ ჩამოაყალიბეს XVIII საუკუნეში).

ამ პროგრამაში ორი უმთავრესი პუნქტი იყო: ა) პარლამენტის მსგავსი ორპალატიანი(ქვედა პალატა - დარბაზი, ზედა პალატა -კარავი) დაწესებულების შექმნა, რაც რეალურად კონსტიტუციური მონარქიის ტოლფასი იყო); გ) სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება და მისი განხორციელება სხვადასხვა ორგანოს მიერ. (15,76).

ამ მოვლენას, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა, იმ ეპოქის მსოფლიო ისტორიაში ანალოგი შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ინგლისის თავისუფლებათა დიდ ქარტიაში (1215წ), რაც ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. (16,374).

XII საუკუნის ეს უდიდესი პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენა შემზადებული იყო წინა ეპოქის მოღვაწეთა, განსაკუთრებით კი ათონის მთაზე (ბიზანტია) მოღვაწე უდიდესი მოაზროვნის გიორგი მთაწმინდელის (ათონელის) მემკვიდრეობით, რომელმაც ქართული მონასტრების წინამძღვართა დანიშვნისას შემოიღო “წილნაყრობის წესი“, ანუ, დღევანდელი გაგებით, პირდაპირი და ფარული არჩევნები: “საკმარისია XI საუკუნის დამდეგს ქართულ სამონასტრო წეს-წყობილებაში მომხდარი ცვლილება გავიხსენოთ, როდესაც წინანდელი მამასახლისისგან თანამდებობის პირთა დანიშვნის მონარქიული წესი რესპუბლიკური წესით შეიცვალა და მონასტრებში ყველა წევრთა “თანადგომითა და ერთნებობით” მოწყობილი არჩევნები იქნა შემოღებული, რომ თამარის დროს ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური მოძრაობის შედეგად საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილებაში მომხდარი ცვლილებების იდეური სათავის არსი ცხადი შეიქნეს(16,376).

ევროპულთან ძალზე ახლოს იდგა ბავშვთა აღზრდა-განათლებისა და მეცნიერების განვითარების ქართული ტრადიციები. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნის დასავლეთ საქართველოში, ფაზისში, არსებობდა რიტორიკული აკადემია. XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე დავით აღმაშენებელმა გელათისა და იყალთოს აკადე-

მიების დაარსებით ქართული უმაღლესი სკოლა იმდროინდელ მონინავე ევროპულ დონეს გაუთანასწორა.

მაშინდელი ქართული სამართალი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური და დემოკრატიული სამართალი იყო. სიკვდილის დასჯის შეჩერებით და წამების აკრძალვით თამარის საქართველომ შორს გაუსწრო ევროპულ ქვეყნებს: “სამართლის საქმეთა ორგანიზაციაშიც საქართველომ იმ ეპოქაში საგრძნობ პროგრესს მიაღწია. სისხლის სამართლის თეორიის უდიდესი მიღწევების გვერდით, იმ მიღწევების, რომელთა მშვენიერი მაგალითი მოცემულია ექვთიმე ათონელის მოძღვრებაში მკვლევლობისა და ჭრილობათა მიყენების შესახებ, საქართველოში მთელი რიგი ღონისძიებები იყო ჩატარებული პრაქტიკული ხასიათისა - შექმნილი იყო საგანგებო დაწესებულება, რომელიც განაგებდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს... ამგვარად, მკვეთრად გამიჯბეს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმის წარმოების სფეროები. შემდეგ საკასაციო საჩივართა გარჩევა დავით აღმაშენებელმა ჩამოაშორა უზენაესი ხელისუფლების ფუნქციებს (ე.ი. სასამართლო გამოყო აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან და დამოუკიდებელ ხელისუფლებად აქცია - ვ.შ.). და, ნაცვლად ამისა, შეიქმნა უზენაესი საკასაციო კოლეგია (16,409).

ქართული ხელისუფლების მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოხატულება იყო ისიც, რომ სახელმწიფო შემოსავლის 10% ქველმოქმედებასა და ღარიბთა დახმარებას ხმარდებოდა, რაც თანამედროვე განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოთა სოციალური ნორმა და წესია. სწორედ ეს განაპირობებდა სოციალურ მშვიდობიანობას ქვეყანაში, სადაც “შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს”.

თურქ-სელჩუკებისა და მონღოლების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლებით საქართველომ შეანელა ევროპის ქვეყნებზე ამ ველური დამპყრობლების შეტევითი ტალღები, თუმცა თავად გახდა შემდგომ მსხვერპლი ოსმალთა და სპარსელთა გაუთავებელი და გამაჩანაგებელი თავდასხმებისა. 1453 წელს ოსმალთა მიერ ბიზანტიისა და კონსტანტინოპოლის დაპყრობამ საქართველო დიდი

ხნით მოსწყვიტა ევროპასა და ევროპულ ფასეულობებს და იგი ბარბაროსთა შორის აღმოჩნდა.

თვით ამ ურთულეს პირობებშიც კი ქართველობას არ შეუწყვეტია სწრაფვა ევროპისა და ევროპული იდეალებისაკენ (სიმონ მეფე, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, ანთიმოზ ივერიელი, ერეკლე მეორე და სხვ.). ქართველთა თავდადება ქრისტიანობისათვის (ქეთევან წამებული - 1624 წელი) მთელ იმდროინდელ ევროპაში გახშირდა და მისაბაძ მაგალითად იქნა დასახული ევროპელი მისიონერებისა და სამღვდელოების მიერ.

თუ ადრე საქართველო ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ევროპულ ქვეყნებს და ბევრ საკითხში უსწრებდა კიდევ მათ, ირან-ოსმალეთისა და რუსეთის ხელში ჩავარდნილი ქვეყანა საკმაოდ ჩამორჩა და ახლა უკვე ევროპიდან იღებდა განვითარების სასიცოცხლო იდეებსა და ტექნოლოგიებს.

ყველა ამ დამპყრობლის სასტიკი კოლონიური მმართველობის მიუხედავად, ქართველებს არასოდეს აულიათ ხელი უმთავრეს ევროპულ ფასეულობაზე – ერისა და პიროვნების თავისუფლებაზე, მტერთან შეურიგებლობაზე, ცივილიზებული მმართველობის დამყარებაზე. მაგალითად, 1832 წელს რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების დროს ქართული არისტოკრატიის უმთავრესი იდეა იყო ინგლისის მსგავსი სახელმწიფოებრივი მართვადამგებლობის დამყარება. ჯერ კიდევ ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ (1798წ.) კონსტიტუციური მონარქიის იდეამ დიდი მხარდაჭერა პოვა ქართველი მოღვაწეების - სოლომონ დოდაშვილის, ალექსანდრე ამილახვრის, ჭაბუა ორბელიანისა და სხვათა მსოფლმხედველობაში. ალექსანდრე ამილახვარი თვით მეფის არჩევის პრინციპის დანერგვასაც მოითხოვდა მემკვიდრეობის წესის ნაცვლად. (17,33).

სასტიკი და ბარბაროსული რუსეთის მარნუხებში მოქცეულ დიდ ქართველებს (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, არჩილ ჯორჯაძე, ივანე მაჩაბელი, ივანე ჯავახიშვილი და სხვ.) ალაფრთოვანებდა ევროპული ფასეულობანი და ღირებულებები, სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეები.

ევროპული წესის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება — როცა თავად წყვეტ საკუთარ პრობლემებს და სხვისი ხელის შემყურე არა ხარ.

დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის საქართველო სწორედ ასეთი ქვეყანა გახლდათ. საქართველო იყო ეკონომიკურად და სოციალურად გამართული სახელმწიფო. სპარსელი გეოგრაფის ჰამდალა ყაზვინის ცნობით, საკუთრივ საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო საღაროს ფულადი შემოსავალი 3 მილიონ 750 ათას ოქროს მანეთს უდრიდა (ყმადნაფიცი ქვეყნების გარეშე, საიდანაც ალბათ 1,5-2 მილიონი მანეთი შემოდოდა ხარკის სახით - ვ. შ.). თვით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ცნობილი მეცნიერის ზომბარტის ცნობით, ინგლისის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4 მილიონ ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთისა 1311 წელს — 3 მილიონ ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს შემოსავლის ზემოაღნიშნული თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავლის რაოდენობაა. ამას გარდა, მას სულადობრივად დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ცალკე ჰქონდა (16,372).

კოლონიურ მდგომარეობას შეჩვეულ საქართველოში გამეფდა აზიური ინერტულობა და სხვისი მოიმედებოდა. რომლის წინააღმდეგაც ჩვენი ეროვნული მოღვაწეები იბრძოდნენ. ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და არჩილ ჯორჯაძის სახელებთანაა დაკავშირებული ევროპული ღირებულებების შემოტანა და დაბრუნება საქართველოში. ეგაა ქართული აზროვნებისა და პოლიტიკური კულტურის ევროპეიზაცია, მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპული რადიუსით გამართვა, ევროპული პროგრესული აზროვნებისათვის ქართული ნიადაგის მომზადება და საეტაპო დემოკრატიული ღირებულებების შექმნა, ერის ვიწრო ნაჭუჭში ჩაკეტივის მცდელობის უკუგდება.

ილიას აზრით, ერის სულიერი და ხორციელი აღორძინება უპირველესად მხოლოდ შინაგანი ძალებით არის შესაძლებელი და არა “უცხოური დახმარებებით”: “გვეყო, ბატონებო, ჩვენი ანწყოს და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენი გაჭირვების, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მიძიმა ეს

უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგული გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყანაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა, სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარაგზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“(18,235).

სწორედ ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი ევროპისათვის დამახასიათებელ “საერთო ნიადაგის” თეორიას (ილია ამას წოდებათა შერიგებას უწოდებდა), რომელიც განავითარა და გააღრმავა არჩილ ჯორჯაძემ (სწორედ მან უწოდა ამ თეორიას “საერთო მოქმედების” თეორია).

ილიას მიაჩნდა, რომ, სანამ ერი მთლიანი და ერთიანია, იგი უძლეველია, როცა ერში იწყება “განთვითოეულება”, იგი გარდაუვალი დაღუპვის წინაშე აღმოჩნდება: “ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის, თითოში — ყველა, საცა თითოეული ყველასთვის არ ფიქრობს და ყველა — თითოეულისათვის, საცა “მე” ხშირია, “ჩვენ” - იშვიათი... ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე უნდა იცოდეს, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელი ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე”(15,80) არჩილ ჯორჯაძის აზრით, “საერთო მოქმედების” თეორია არის გარანტი ერის წინაშე წამოჭრილი ფუნდამენტური საკითხების სამართლიანად და ეროვნული ინტერესების პრიზმით გადანყვეტისა: “უდავოა - წერდა იგი, - რომ ევროპაში მოკამათე დასნი დგანან საერთო მოქმედების ნიადაგზე. ამ გარემოებამ არ უნდა გაგვაკვიროს. დემოკრატიულ დაწესებულებათა შექმნისთვის საჭიროა ყველა პროგრესული პარტიის შეერთებული ძალა და ამ მიზნით ხშირად საჭიროა კლასთა ბრძოლის სიმწვავის შესუსტება”(19,23).

სწორედ ილია ჭავჭავაძემ მოუწოდა ქართველობას თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის იმ პრინციპების დანერგვისაკენ, რომლის სამშობლო ევროპაა: “ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანნი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა.

ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვი, ქვეყანა ახლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფროთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვანს; დღეს მძლეთამძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორციითა, ცოდნითა და მარჯვენითა, ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი- ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა - პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უნინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე”(ვ.შუბითიძე, „პოლიტოლოგია“, გვ.82-83). ამ იდეის არგათვ-ალისწინება დაღუპვას უქადდა ქვეყანას და უქადის ახლაც: “ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა; შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშმიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველთა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვები დაეპატრონებიან“(იქვე, გვ.82).

თერგდალეულთა ახალმა თაობამ (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქი-ფანიძე, ს. მესხი და სხვ.) შეძლო ქართველი ერის ისტორიაში ახალი ბილიკების გაკვალვა: “ამ ახალი თაობის საქებრად უნდა ვთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს, ეს გზა - დასავლეთ ევროპის გზა არის (ს. ხუნდაძე, „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ტომი 1, 1927, გვ.182). ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას დოქტორ ნიკო ნიკოლაძეზე.

ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დასავლური შეხედულებები ჯერ კიდევ 1870-იან წლებში იქადაგა. ის იყო ევროპული

პრაგმატიზმისა და საქმიანობის, ევროპული პოლიტიკური რეალიზმის, ევროპული განათლებისა და ტექნიკის, კულტურის დამწერგავი საქართველოში.

დასავლეთ ევროპის პროგრესულ აზროვნებას მან ქართული

ნიადაგი შეუფარდა და შექმნა ღრმა ეროვნული მსოფლმხედველობა, საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია: “არც ერთ მაშინდელ ჩვენს მოღვაწეს არ უგრძნია ეპოქის სული ისე, როგორც ნ. ნიკოლაძემ იგრძნო, – წერდა სიმონ ხუნდაძე - არავის არ მოუტანია ჩვენში იმდენი პროგრესიული და ევროპული აზრი (ამ სიტყვის კულტურული მნიშვნელობით), რამდენიც შემოიტანა ნიკოლაძემ”(21, 182).

გერონტი ქიქოძეს ნიკო ნიკოლაძე მიაჩნია ევროპული აზროვნების პირველ წარმომადგენლად საქართველოში(22.81). ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი, რომელმაც უცხოეთში, ციურისში, 1868 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია უალრესად აქტუალურ თემაზე „განიარაღება და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები“, რომელიც ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ჟენევაში.

ნიკო ნიკოლაძე ევროპული ტრადიციით განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას უჭერდა მხარს უცხოური დადებითი გამოცდილების გამოყენების გათვალისწინებით და მიიჩნევდა, რომ შეუძლებელი იყო უცხოელს, ქართული სპეციფიკისა და რეალობის არმცოდნეს, ქვეყნისათვის ზუსტად მისადაგებული განვითარების რეცეპტი მოენახა: “ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისთვის, - წერდა იგი, - დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვანოვებს და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ სალი იყოს, შენს დედა ენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს”(15.85).

ქვეყნის აღორძინების უმთავრეს პირობად ნიკო ნიკოლაძეს თავჩაუხრელი შრომა, თვითგანვითარება, ადგილობრივი თვითმმართველობის (ერობის) განვითარება და სწავლა მიაჩნდა. ამასთანავე, ფიქრობდა, რომ, “სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მენველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება”(იქვე, გვ.86). ნიკოლაძე აქცენტს აკეთებდა უმთავრესად საკუთარი რესურსებით და შრომით ქვეყნის განვი-

თარების აუცილებლობაზე და არა მხოლოდ უცხოელთა ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებაზე, რაც არასოდეს უანგაროდ არა ხდებდა: “ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი ან საზოგადოება ამალღებულებიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომითა და ჯანით. ადვილად შესაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს და არც მთელ საზოგადოებას. კაცისა და ქვეყნისთვის მარტო ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი ოფლისღვრითა და შრომით შეუძენია” (15,86).

ნიკო ნიკოლაძე ეროვნული საქმეების გადაწყვეტის პროცესში გადაჭრით უარყოფდა ყოველგვარ რადიკალიზმს და მიიჩნევდა, რომ “ქართველობის მიზნები მხოლოდ ზომიერების გზით მიიღწევა”. მას ქართველთათვის მისაბაძად მიაჩნდა ევროპული თაობათა მემკვიდრეობითობის ის ოქროს წესი, როცა ახალი თაობა განძად მიითვლის წინასგან დატოვებულ მემკვიდრეობას და თვითონაც ზედ ამატებს თავის ნაღვანს. ნ. ნიკოლაძემ ერთ-ერთმა პირველმა ქართველ მოღვაწეთაგან წინა პლანზე პრაქტიკული და პრაგმატული საკითხები წამოსწია, რაც მთლიანად შეესაბამებოდა ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს. აი, როგორ აფასებდა მას 1913 წელს ყურნალი „კლდე“: “ნიკოლაძე და რუსეთში ნასწავლი ინტელიგენცია ორი ანტიპოდა, სულ სხვადასხვა ტიპი. ნ. ნიკოლაძე სულით და გულით ევროპელია, ევროპაში ნასწავლი, ევროპის იდეებით გამსჭვალული, ევროპის ტექნიკა-ინდუსტრიის მცოდნე ინიციატივის კაცი. პრაქტიკული და საქმიანი. ჩვენი ინტელიგენცია კი უმთავრესად აღზრდილია რუსეთის სკოლაში, ამ მონური სულით, ჩინოვნიკური რუტინით და სქოლასტიკით გაყლენთილი. ამიტომ ჩვენი ინტელიგენტები უმთავრესად არიან თეორეტიკოსები, მეოცნებე, აკადემიური მსჯელობის ხალხი. ამათი სფეროა თბილი კაბინეტი, რბილი სავარძელი, უნიადაგო თეორიული მსჯელობა, მეტაფიზიკური მორალი და სხვადასხვა პარტიულ-პოლიტიკური ოცნება, ფანტაზიები. ნიკოლაძე კი, უწინარეს ყოვლისა, მუშაკია დაკაპინებული ხელებით, ცხოვრების ტექნიკი და ლაბორანტი. იგი რეალისტია, რეალური პოლიტიკის მწარმოებელი. ცხოვრების

მცოდნე, მის ქარტეხილში ჩავარდნილი”(23,10).

ნიკო ნიკოლაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქალაქ ფოთის აღმშენებლობაში, პორტის ელექტროფიკაციასა და მექანიზაციაში. მან ფოთის პორტის ამოქმედებით საქართველოს ფანჯარა გაუჭრა ევროპაში. ის 20 წლის განმავლობაში ფოთის ქალაქის თავი იყო. ამ ხნის განმავლობაში ქალაქის ბიუჯეტი 10-ჯერ გაიზარდა. უდიდესი შრომა გასწია მან ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ასათვისებლად და ჭიათურის მანგანუმის წარმოების გასაფართოებლად. მან გაიყვანა შორაპან-ჭიათურის სარკინიგზო ხაზი, რითაც მანგანუმის გადაზიდვის საქმე მოაგვარა და გააიაფა.

ის აქტიურად მონაწილეობდა თბილისის წყალსადენის მშენებლობაში, კახეთის რკინიგზისა და სურამის გვირაბის გაყვანაში, ტრანსციმბირის რკინიგზის მშენებლობაშიც კი. მან მოიწვია ფრანგი მილიარდელი როტშილდი კავკასიაში, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ძმებ ნობელებთან. მან ფოთში დააარსა თანამედროვე ბანკი. ქართულ სინამდვილეში პირველმა ნიკო ნიკოლაძემ დაბეჭდა ობლიგაციები, ლატარიის ბილეთები და მთელი შემოსავალი ქალაქის კეთილმოწყობას მოახმარა, რაც უპრეცედენტოდ ნოვატორული ევროპული ნაბიჯი იყო იმხანად.

ნიკო ნიკოლაძემ გერმანელ დიპლომატებთან ოფიციალურ საუბარში 1918 წელს წამოაყენა ევროპის აზიასა და შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო გზის ფოთზე გატარების იდეა (ბერლინი-ფოთი-პეკინი), რაც დღეს უკვე პრაქტიკულად ხორცს ისხამს ევრაზიული დერეფნის — აბრეშუმის გზის სახელწოდებით.

1874 წელს ნიკო ნიკოლაძემ პარიზში ყოფნისას დაწერა და ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი “ფრანგული პრესის დეკლარაცია”, რომელმაც ცნობილი ფრანგი მოაზროვნეების და ჟურნალისტების დიდი მონაწილეობა დაიმსახურა.

ნიკო ნიკოლაძეს პირადი ნაცნობობა ჰქონდა ცნობილ ევროპელებთან – ვიქტორ ჰიუგოსთან,ემილ ზოლასთან, ალფონს დოდესთან, მარსელ დეპრესთან, კარლ მარქსსა და სხვებთან.

მან შეისწავლა ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის მდიდარი გამოცდილება ეროვნული სახელმწიფოს შენებაში და დაწვრილებით

გაუანალიზა იგი ქართველობას.

ის მიუთითებდა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ქვეყნის სიდიდესა და მოსახლეობის მრავალრიცხოვნებას, არამედ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და საშემსრულებლო დისციპლინას. “ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, – წერდა ის, - არამედ ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს და დისციპლინას“. და დღეს, მართლაც უზარმაზარი და ნედლეულით უმდიდრეს რუსეთზე გაცილებით წინ არის პატარა ქვეყნები – შვეიცარია, შვეცია, ბელგია, ჰოლანდია და სხვა. მათ განავითარეს სანარმოო ძალები, აიმაღლეს ცოდნა, მოახერხეს შრომის გონივრული ორგანიზაცია. საქართველომ სწორედ მათ უნდა მიბაძოს.

## დავით სარაჯიშვილი — ევროპული ტიპის პირველი

### ბიზნესმენი საქართველოში

დავით სარაჯიშვილმა ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში მოიხვეჭა დიდი სახელი და სიყვარული. ის იყო ევროპული მასშტაბის ქართველი მენარმე და თანამედროვე მარკეტინგული აზროვნების მატარებელი ბიზნეს-ორგანიზატორი. მისი სანიმუშო სამენარმეო მოღვაწეობა არა თუ იმ ეპოქის დონეზე იდგა, არამედ 20-30 წლით უსწრებდა XX საუკუნის ევროპა-ამერიკის ბიზნესის წარმოების ფილოსოფიას, რომელიც საბოლოო სახით 1960-იან წლებში ჩამოყალიბდა და მსოფლიო ბიზნესის ისტორიაში შევიდა როგორც „მარკეტინგის ეპოქა“ (ილია ფერაძე).

დღეს საყოველთაოდ ცნობილია მარკეტინგული ნარევის ცნება, რომელიც „4P“-ს თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი, მისი შემადგენელი კომპონენტების ინგლისური დასახელების პირველი ასოებიდან გამომდინარე (Product – პროდუქტი, Price - ფასი, Place - ადგილი და Promotion - წარმოჩენა). დავით სარაჯიშვილის საქმიანობაში შეიმჩნევა ამ ოთხივე ელემენტისადმი ღრმად გააზრებული, მეცნიერული მიდგომა, ბევრი დიდი ბიზნესმენისაგან განსხვავებით, ამ ოთხ P-სთან ერთად მის მოღვაწეობაში იკვეთება მისეული, დიდი მრეწველისა და ამავედროულად ქვეყნის პატრიოტისათვის განუყოფელი, უმთავრესი ელემენტი, მეხუთე P — ეს არის „PATRIA“ ანუ სამშობლო, მამული, თავისი ხალხი, რომელთა სამსახურში გალია მან თავისი სიცოცხლე.

საინტერესო შეფასება მისცა დავით სარაჯიშვილის მოღვაწეობას დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921) ეროვნული მთავრობის თავმჯდომარემ **ნოე ჟორდანიამ**:

„ის იყო პირველი ქართველი მრეწველი ევროპული ტიპისა ერთხელ მან მითხრა: „ძნელია ჩვენში ეკონომიურად წინ წაწევა. როგორც კი ერთი ცოტაოდენ ქონებას შეიძენს, ასი მშვიერი უკან დასდევს და სანამ არ გახრავენ, თავს არ დაანებებენ“-ო. ასეთ პირობებში მართლაც დიდი პრაქტიკული ნიჭია საჭირო, რომ ამ შემოსეულ ხროვას გაუძღო და შეძლება გონიერად მოიხმარო. დავითი რომ წმინდა ქართველი მრეწველი ყოფილიყო, კაი ხანია ქართვე-

ლურად დაამთავრებდა – მისი შეძლებისგან არაფერი დარჩებოდა. მხოლოდ ევროპიელ კაცს შეეძლო ყველა მადლიერი ჰყოლოდა და თანაც შეძლება არ გაეფლანგა. **შეაერთეთ ქართული გულკეთილობა და პურ-მარილი ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს. ამ პიროვნებაში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპიელობა. და მე მგონია ქართველის გაევროპიელება სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს. როცა თითოეული ჩვენგანი ისწავლის ევროპიულ მუშაობას, ევროპიულ საქმიანობას და ნაციონალურ ხასიათს არ დაკარგავთ – ჩვენი გაევროპიელება ფაქტი იქნება. დ. სარაჯიშვილი ქართველი ევროპიელი იყო“(10,113).**

დავით სარაჯიშვილის წინაპრები ცნობილი კომერსანტები იყვნენ და როგორც ისტორიული წყაროები იუწყებიან, ისე „განაფულან ალებ-მიცემობაში, რომ მეფე **ვახტანგ მეექვსემ**, რომელმაც 1710 წელს შემოიღო შთამომავლობით გარდამავალი „თბილისის საპატო მოქალაქეობის“ წოდება, იგი ერთ-ერთი პირველი დავით სარაჯიშვილის დიდ ბაბუას უბოძა“. მისმა წინაპრებმა პირველებმა დაიწყეს რუსეთთან ვაჭრობა, ისინი სურსათ-სანოვაგით ამარაგებდნენ რუსეთის ჯარს.

მამის, ცნობილი კომერსანტისა და ქველმოქმედის, ზაქარია სარაჯიშვილის მეშვეობით დავით სარაჯიშვილმა ბრწყინვალე განათლება მიიღო ჯერ - თბილისში - „ჰაკეს“ პანსიონსა და თბილისის ვაჟთა პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, საიდანაც ის გადადის ჯერ მიუნჰენის, მერე კი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს ქიმიის დოქტორის ხარისხით. იმავე წელს იგი იცავს სადოქტორო დისერტაციას ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით.

სწავლას მონყურებული ახალგაზრდა ამითაც არ კმაოფილდება და 1872-1878 წლებში ჰოპენჰეიმისა და ჰალეს „უნივერსიტეტებში ეუფლება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას. ოჯახის ხელშეწყობით იგი 1878 წელს მიემგზავრება საფრანგეთში და შეუდგა მევენახეობისა და მელვინეობის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შესწავლას.

საფრანგეთში ყოფნისას დავით სარაჯიშვილი დაინტერესდა კონიაკის წარმოებით (რომლის წარმოების პიონერი საქართველოში იყო ქუთაისელი მენარმე – პარიზის ეროვნული აკადემიის და ბრიუსელის საერთაშორისო აკადემიის საპატიო წევრი **გიორგი ბოლქვაძე**, რომელმაც 1865 წელს ქუთაისში დააარსა არყის ქარხანა თავისი ლაბორატორიით), რომელიც შედარებით ახალი დარგი იყო მეღვინეობაში.

საფრანგეთში ყოფნისას სარაჯიშვილმა შეისწავლა კონიაკის წარმოების საქმე, გააანალიზა, რომ კონიაკის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს ნიადაგის შემადგენლობა, კლიმატური პირობები, საკონიაკე ყურძნის ჯიშები, შეადარა ისინი საქართველოს შესაბამის პირობებს და მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოში ყველა პირობა იყო ხარისხიანი კონიაკის მისაღებად და საწარმოებლად.

მაშინ კონიაკის სამრეწველო გამოშვებას დიდი კაპიტალისა და ცოდნის გარდა დიდი გამბედაობაც უნდოდა. საქმე იმაში იყო, რომ ამ საქმესკაპიტალის დიდი ხნით დაბანდება სჭირდებოდა, რაც ერთობ სარისკო საქმე იყო. იმ დროს ევროპის და რუსეთის ბაზარზე დომინირებდა ფრანგული კონიაკები, რომლებიც არისტოკრატიულ წრეებში დიდი მოწონებით სარგებლობდა.

რუსეთში კონიაკის წარმოების ყველა აქამდელი მცდელობა მარცხით დასრულდა.

საკონიაკე ვენახების სპეციალურ მოშენებას 4წელი მაინც სჭირდებოდა. ამასთან საჭირო იყო ღვინის სპირტად გამოხდა და შემდეგ მისი მუხის კასრებში დაძველება - მინიმუმ 4 წელი. ამგვარად, საქმის დაწყებიდან მხოლოდ 8 წლის შემდეგ იყო შესაძლებელი პირველი შედეგის მიღება და თან არანაირი წინასწარი გარანტია არ არსებობდა, მიღებული სასმელის ხარისხზე. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კონიაკის წარმოება დაკავშირებულია დიდ დანაკარგებთანაც. ერთი ლიტრი სპირტის მისაღებად საჭიროა 8 ლიტრი დაბალგრადუსიანი ღვინო, ხოლო შემდეგ გამოხდილი მასალის 20% ქროლდება და იკარგება, რომელსაც ფრანგები „ანგელოზების წილს“ უწოდებენ. ეს დანაკარგები შემდგომ აისახება კონიაკის ხარისხზეც და ფასზეც.

სარაჯიშვილის დიდი ნიჭი და ალლო იმაშიც გამოიხატა, რომ ზუსტად გათვალა ყველაფერი. მან ღრმად შეისწავლა ყურძნის ჯიშები საქართველოსა და რუსეთის იმპერიის ცალკეულ ადგილებში, ასევე – ნიადაგი და კლიმატური პირობები, მოთხოვნილება კონიაკზე, მიზნობრივი მომხმარებელი, ბაზარი, რომელიც ფრანგულ კონიაკებს ჰქონდათ დაპყრობილი და მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება ხელი მოეკიდა ქართული კონიაკის წარმოებისთვის მზარდ რუსულ და უცხოურ ბაზარზე გასატანად.

საქმისადმი ასეთი მარკეტინგული მიდგომა და აზროვნება მაშინ მსოფლიოში

თითებზე ჩამოსათვლელ ბიზნესმენებს გააჩნდათ. იმ დროს, როცა დავით სარაჯიშვილმა სამრეწველო მოღვაწეობა დაიწყო, დღესდღეობით ცნობილი ბევრი მსოფლიო ფირმა არ არსებობდა და ის ფირმებიც რომლებიც წარმატებით იპყრობდნენ ბაზრებს, არსებობდნენ ტრადიციული ოჯახური ბიზნესის მეშვეობით.

საფუძვლიანი შემზადების შემდეგ უშუალო სანარმოო საქმიანობა მან 1884 წელს დაიწყო თბილისში ოლღას ქუჩაზე (ამჟამად კოსტავას ქუჩა, ცეკას გამომცემლობის შენობის ადგილას), სადაც გახსნა სპირტის სახდელი ქარხანა, რომელშიც თავიდან ყოველწლიურად აწარმოებდა 12 ათას ვედრო სპირტს. ამ სარექტიფიკაციო ქარხნის ბაზაზე დაიწყო მუშაობა სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანამ. ამავე წელს ამუშავდა შევიცარიიდან მიღებული ახალი აპარატი, რომელიც მაღალი ხარისხის საკონიაკე სპირტს ხდიდა.

1889 წელს დ. სარაჯიშვილმა სპირტით სავსე 200 მუხის კასრი ჩამოიტანა საფრანგეთიდან. იგი თავიდან უშვებდა 1, 2, 3, 4, 5 ვარსკვლავიან კონიაკებს „კავკასიის ნატურალური კონიაკის სახელწოდებით“ და გაჰქონდა მოსკოვში, პეტერბურგში, ვარშავაში და სხვ. დაძველებული სპირტების მიღების შემდეგ მან გამოუშვა სამარკო კონიაკები „ფინშამპანი“, „გრანშამპანი“ და ბოლოს „ძალიან ძველი“ („Ори“), რომელიც მზადდებოდა 1888-დან დაძველებული 14-წლიანი საკონიაკე სპირტის ბაზაზე(10, 116).

სარაჯიშვილის ფირმა მოიცავდა ალკოჰოლიანი სასმელების თითქმის ყველა სახის წარმოებას. იგი კონიაკის წარმოების დიდი

თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო, თანამშრომლობდა ევროპელებთან და 1887 წელს საფრანგეთიდან მაინც მოიწვია ლიქიორის წარმოების სპეციალისტი **ბურდონი** და კონიაკის ტექნოლოგი **ანტონ ჟურდი**, რომლებიც თავისი ქარხნის ტერიტორიაზე ბინებში დაასახლა. ასევე ჩამოიყვანა ევროპელი სპეციალისტები სხვა საწარმოებისთვისაც.

დავით სარაჯიშვილი, როგორც ალღოიანი მენარმე, წინდახედული პიროვნება, მუდმივად ცდილობდა წარმოების განვითარებას და განახლებას, ასორტიმენტის და გასაღების ბაზრების გაფართოებას. **1885-1899** წლიური წარმოება 40-ჯერ გაიზარდა და 60-მდე დასახელების სხვადასხვა სახის სასმელს უშვებდა.

**1885** წელს ვლადიკავკაზში, **1887** წელს კი ერევანში დავით სარაჯიშვილმა დააარსა სპირტსახდელი და სარექტიფიკაციო ქარხნები, რომლებიც ნედლეულის ბაზებთან ახლოს იყო.

თბილისის ქარხანა მან გადააკეთა კონიაკის ცენტრალურ საწყობად და ახალი ქარხნები გახსნა კვლავ ერევანში (1894), კალარაში (ბესარაბია, 1895), ბარგუშეთსა და გოგჩაში (ბაქოს გუბერნია, 1901), კარუმოვკაში (თერგის ოლქში, 1908) და ელისავეტპოლში (1915).

მართლაც დიდი ნიჭის პატრონი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ იმდროინდელი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების პირობებში, ასე წარმატებით ემართა ასე ერთმანეთისგან დაშორებული საწარმოები, სათანადო დროს ეცვალა ქარხნების მანქანა-დანადგარები, ან დაენერგა ახალი ტექნოლოგიები.

დავით სარაჯიშვილის ფირმაში კონიაკის წარმოება ფრანგული წესით ხდებოდა. სხვადასხვა ადგილიდან სხვადასხვა დროს შემოსული სპირტი ცალცალკე ისხმებოდა 40-50 ვედროს ტევადობის მუხის კასრებში, რომელსაც სპეციალური მაღალმთიანი მუხის ჯიშისგან ამზადებდნენ. კასრში დაძველებული სპირტისგან კუპაყით მზადდებოდა კონიაკი და ისხმებოდა 500-600 ვედროიან კასრებში. დასვენების შემდეგ მზა კონიაკი (ბოთლით, კასრით) იგზავნებოდა სარეალიზაციოდ.

იმის მიხედვით, თუ როგორ ააწყო დავით სარაჯიშვილმა

პროდუქციის გასაღების სადისტრიბუციო ქსელი, ვხედავთ სარაჯიშვილის გენიალური კომერციული ნიჭის მაგალითებს. ერთია აწარმოო პროდუქცია, რომელიც მომხმარებელს სჭირდება, აწარმოო იმ რაოდენობით, რასაც აითვისებს ბაზარი და მეორეა – ამ პროდუქციის შეუფერხებელი მიწოდების ორგანიზება საჭირო გეოგრაფიულ წერტილებამდე, რომლებიც ხშირად ათასობით კილომეტრითაა დაშორებული ერთმანეთისაგან. ამ მიზნით სარაჯიშვილმა შექმნა მთელი სტრუქტურა: საწყობების, მაღაზიების, სავაჭრო წარმომადგენლობების, სავაჭრო აგენტების, რომლებიც ადგილზე სწავლობდნენ ყოველგვარ მოთხოვნილებას, ახდენდნენ ხელშეკრულებების დადებას, საქონლის მიღებას ქარხნებიდან და მის რეალიზაციას. მის მიერ დიდ ქალაქებში გახსნილი სავაჭრო წარმომადგენლობები სწავლობდნენ მოთხოვნილებას რეგიონში, უზრუნველყოფდნენ სავაჭრო ქსელის უწყვეტ მომარაგებას და ტელეგრამით ინფორმაციის გადაცემას ცენტრალური ოფისისათვის. ამ ინფორმაციის საფუძველზე სარაჯიშვილი ოპერატიულად ახდენდა პროდუქციის გადანაწილებას.

დ. სარაჯიშვილს გახსნილი ჰქონდა მაღაზიები პეტერბურგში, რიგაში, ნოვგოროდში, მოსკოვში, ვარშავაში, ხარკოვში, კალარაში, როსტოვში, ყიზლარში, პეტროვსკში, ვლადიკავკაზში, ერევანში, ბაქოში, თბილისში რამდენიმე ადგილას.

ამას გარდა, მას სასმელები გაჰქონდა მთელი ევროპის ბიზნეს-ცენტრებში: ლონდონში, პარიზში, ბერლინში, ჟენევაში, კონსტანტინეპოლში.

დავით სარაჯიშვილის ყველა სავაჭრო წარმომადგენლობის, მაღაზიის და საწყობის თანამშრომლები წინასწარ გადიოდნენ სათანადო მომზადებას და კარგად იყვნენ ინფორმირებულნი.

ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რომ დავით სარაჯიშვილის პროდუქციის გასაღება უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. იმ დროს მსოფლიოს ბევრ სერიოზულ კომპანიას არ გააჩნდა საკუთარი პროდუქციის ასეთი განვითარებული, გეოგრაფიულად და ფიზიკურად დიდი მასშტაბების სადისტრიბუციო ქსელი, როგორც შექმნა დავით სარაჯიშვილმა. მან იმდენად გონივრულად მოაწყო

წარმოება და დისტრიბუცია, რომ შეძლო პროდუქციის თვით-ღირებულების შემცირება და გაიაფებაც. ამ ქსელის, მოქნილი ფასების მეშვეობით, პროდუქციის მრავალფეროვნებითა და უმაღლესი ხარისხით დავით სარაჯიშვილის პროდუქციამ ნელ-ნელა გამოდევნა ფრანგული კონიაკები რუსეთის იმპერიის ბაზრიდან. მისი პროდუქციის რეალიზაციის მასშტაბები და ახალი ბაზრების ათვისების არეალი სწრაფად იზრდებოდა. 1904 წლის მონაცემებით საქართველოდან გატანილი მთელი სპირტიანი პროდუქციის 74%-ის ექსპორტი მხოლოდ დავით სარაჯიშვილის ფირმაზე მოდიოდა. იგი იყო არა მარტო დიდი ბიზნესმენი, რომელმაც შექმნა საოცარი დონის და არომატის კონიაკები, რასაც შემოქმედის ხელი სჭირდებოდა, არამედ თავად ფლობდა კონიაკის დამზადების რაფინირებულ ხელოვნებას. იგი იყო ასევე არაჩვეულებრივი ორგანიზატორი, რომელმაც საქართველოს და რუსეთის უკიდევანო იმპერიაში შექმნა მანამდე არარსებული მრეწველობის დარგი განვითარებული სტრუქტურით(10,119).

საინტერესოა, როგორ ახდენდა დავით სარაჯიშვილი თავისი პროდუქციის წარმოჩენას (პრომოუშენს), რომელიც შედგება რეკლამის, პიარის (PR) - საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებების და ვაჭრობის სტიმულირებისაგან.

ამ კომპონენტებიდან რეკლამა მაშინ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო დანარჩენ ორზე, მათ შორის (PR) პიარზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მენარმეებს.

დავით სარაჯიშვილს ალლო თავისი ფირმის და პროდუქციის წარმოჩენაში გამოჩნდა მაშინ, როდესაც მან თავიდანვე შემოიღო ფირმის სავაჭრო ნიშანი — კლდის ქარაფზე გადმომდგარი ჯიხვი, რომელიც ჰქონდა ყველა სალამოს, მალაზიას, ვიტრინას. მისი საწარმოების ინტერიერისა და ექსტერიერის გაფორმების უცილობელი ატრიბუტიკაც ეს ჯიხვი იყო. ამ დეტალს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების თვალში მისი ფირმის ცნობადობის ამაღლების და იმიჯის ჩამოყალიბებაში.

დღეს ეს რეკლამის ანაბანაა, მაგრამ მაშინ, XIX საუკუნის 80-იან წლებში, მთელს მსოფლიოში ჯერ არ იყო დამკვიდრებული

სავაჭრო ნიშანი (ემბლემა), როგორც ფირმის განმსახვავებელი ატრიბუტი. სანარმოებს მხოლოდ მათი მეპატრონის გვარი ეწერათ და არ ესმოდათ საფირმო ნიშნისა და ლოგოს მნიშვნელობა.

სარაჯიშვილის ბეჭედზე, ბლანკზე და წერილების კონვერტებზე დატანილი იყო მისი საფირმო ატრიბუტიკა და გამოირჩეოდა დახვეწილი გაფორმებით. პირველ რიგში, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ბოთლის ფორმას და ეტიკეტებს. ამასთან დავით სარაჯიშვილმა კარგად იცოდა რეკლამის ფასი და დანიშნულება, რაც ევროპაში ყოფნისას გააცნობიერა. მიუხედავად იმისა, რომ მის პროდუქციას საქართველოში კონკურენტი არ ჰყავდა, პროდუქციის რეკლამისათვის იგი ქმნიდა მხატვრულ სარეკლამო პლაკატებს. მან მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა 1895 წელს, კონიაკის ბოთლზე გამოსახა იმდროინდელ საქართველოში ცნობილი დიდგვაროვანი, ულამაზესი მანდილოსანი **მაია ბაგრატიონ-დავითაშვილის** ფერწერული გამოსახულება, რაც მნიშვნელოვანი სიახლე იყო ეს იმდროინდელ რეკლამაში.

ცნობილი პიროვნებების (Celebrity) რეკლამაზე გამოჩენა XX საუკუნის დასაწყისიდან აღინიშნება. მაგ. აშშ-ის ყველაზე რეკლამირებული პროდუქტის „კოკა-კოლას“ რეკლამაზე ცნობილი მსახიობი ქალი **ჰილდა კლარკი 1904** წელს გამოჩნდა: (ე.ი. 9 წლის შემდეგ, რაც ეს გააკეთა - დავით სარაჯიშვილმა). ამ მხრივაც დავით სარაჯიშვილმა გადაუსწრო დასავლურ ფირმებს და ნოვატორის სახელი დაიმკვიდრა. გარდა ამისა, მისი ეს სარეკლამო პლაკატი განსხვავებით „კოკა-კოლა“-ს რეკლამისაგან, გაცილებით მაღალმხატვრულ დონეზე იყო შესრულებული. ასევე უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე იყო შესრულებული მისი სარეკლამო პოსტერიც(ილია ფერაძე).

დავით სარაჯიშვილის პროდუქცია აქტიურად მონაწილეობდა მაშინდელ გამოფენებზე, საერთაშორისო ბაზრობებსა და კონკურსებზე.

დავით სარაჯიშვილის სიცოცხლეში შექმნილი კონიაკის პირველი ნიმუშებიც თამამად უტოლდებოდა ევროპაში წარმოებულ საუკეთესო კონიაკებს. 1889-1913 წლებში მის მიერ გამოშვებულმა

კონიაკებმა, ლიქიორმა და სპირტიანმა სასმელებმა სულ 14 ჯილდო მოიპოვეს, რომელთა გან 9 ოქროს და 3 ვერცხლის მედალი იყო.

XXI საუკუნეში კომპანიებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პიარის (PR) ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობის ელემენტებს და ღონისძიებებს. სარაჯიშვილის დროს ეს ცნება ფაქტიურად არ არსებობდა. დავით სარაჯიშვილი, თავისი პიროვნული თვისებების გამო, თავად იყო მენარმეც და პიარ-მენეჯერიც. მის გარშემო შემოკრებულნი იყვნენ საქართველოს ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც პირდაპირ აღმერთებდნენ დავით სარაჯიშვილს და უშუალო, პირდაპირი, ზეპირი რეკლამის მეშვეობით, კიდევ უფრო შორს გაჰქონდათ პირადად მისი და მისი ფირმისა და პროდუქციის სახელი. იგი შეუბღალავი რეპუტაციით სარგებლობდა როგორც ჩვენში, ასევე - საზღვარგარეთ. მასზე ბევრს წერდა ქართული და რუსული პრესა.

მისმა ყოფილმა პედაგოგმა, გერმანელმა პროფესორმა ვაგნერმა თავისი ერთ-ერთი წიგნი მიუძღვნა ნიჭიერ მოწაფეს დავით სარაჯიშვილს. ამასთან დავით სარაჯიშვილმა საკუთარი ცხოვრებით და გარდაცვალებითაც დაუმტკიცა ყველას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ისეთი ქვეყნის ცხოვრებაში, როგორიც საქართველოა, არა მარტო კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას, არამედ სიკეთის თესვას და მოყვასზე ზრუნვას.

დავით სარაჯიშვილი უდიდეს ფინანსებს ახმარდა ქველმოქმედებას, მაგრამ საბოლოო ჯამში გაჭირვებულთათვის და ქვეყნისათვის გაღებული თანხები ხელს უწყობდა მისი პიროვნების და მთლიანად ფირმის პრესტიჟის ამაღლებას საზოგადოების თვალში. დღეს ცნობილი ფირმები ამ მიზნით მილიარდებს ხარჯავენ სტიმულირებისა და წარმოჩენის სხვადასხვა აქციაზე, რასაც პიარი ეწოდება.

თავად დავით სარაჯიშვილი პიროვნულად ისეთი ადამიანი იყო, რომლის თითოეული ნაბიჯი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო და ყოველივე მისი ქველმოქმედება ისევ მისი და მისი ფირმის საკეთილდღეოდ ბრუნდებოდა.

დავით სარაჯიშვილი მეგობრობდა ილიასთან, ნიკო ნიკო-

ლაძესთან, აკაკისთან, ეხმარებოდა მათ ფინანსურად ყველა მნიშვნელობის პროექტის განხორციელებაში.

დავით სარაჯიშვილმა დააარსა სპეციალური კომიტეტი, რომელიც ავლენდა ნიჭიერ ახალგაზრდობას და ფინანსურად ეხმარებოდა მათ რუსეთსა თუ უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად. მისი სტიპენდიანტები იყვნენ: კომპოზიტორები **ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილიშვილი; მხატვრები: მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, გრიგოლ მესხი; მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, მომღერალი ვანო სარაჯიშვილი; პროფესორები: ფილიპე გოგიჩაიშვილი, სოლომონ ჩოლოყაშვილი, საქართველოს მომავალი პატრიარქი კირიონ მეორე და სხვ.**

იგი დიდად ზრუნავდა თავისი მუშების სწავლა-განვითარებაზე — წერა-კითხვის მცოდნე მუშებს ხელფასს უმატებდა, გახსნა სამკითხველოები და საკვირაო სკოლები მათთვის, მას გამოარჩევდა მუშებისადმი ჰუმანური მოპყრობა, დაუნესა მათ 8 საათიანი სამუშაო დღე, აძლევდა მათ 14-დღიან შვებულებას, აზღვევდა მათ სიცოცხლეს და ამაში სერიოზულ თანხებს იხდიდა, დიდ დღესასწაულებზე მუშებს სამ ბოთლ კონიაკს ჩუქნიდა.

სიკვდილის შემდეგ მან მთელი ქონება ანდერძით დაუტოვა ქართველ ხალხს, მათ შორის 250 ათასი მანეთი მუშებს და მომსახურე პერსონალს, 300 ათასი მანეთი მან დაუტოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. თითქმის მთლიანად მისი თანხებით აშენდა თბილისის უნივერსიტეტის მომავალი შენობა (I კორპუსი), ქაშუეთის ეკლესია, ეხმარებოდა თეატრებს, გაზეთებს, საისტორიო საზოგადოებას, შემოქმედებს და ა.შ.

ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დავით სარაჯიშვილი ნამდვილად იყო ნოვატორი და შემოქმედი, იმდროინდელი ევროპის ბიზნეს-ელიტის ღირსეული წევრი და ქველმოქმედი.

## ნოე ჟორდანიას ევროპეიზაციის კონცეფცია

ქართველი პოლიტიკოსებიდან ნოე ჟორდანია(1868-1953) ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც, განათლება ევროპაში მიიღო და საბოლოოდ ემიგრაციაში ყოფნა სიკვდილამდე მოუწია დამოუკიდებელი საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსიის გამო. იგი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ევროპული სოციალ-დემოკრატიული იდეები შემოიტანა საქართველოში. ფაქტიურად იგია პირველი ქართული პოლიტიკური პარტიის შემქმნელი თეორეტიკოსი. თავის მოხსენებაში („რა ვაკეთოთ“, დაიბეჭდა სხვა სათაურით „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“) რომელიც შეიძლება ჩაითვალოს პირველ ქართულ პოლიტიკურ პროგრამად, მან სამი ფუნდამენტური, საკითხი წამოსწია წინ (1893):

1. „ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა;

2. თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა, როგორც ხელშემწყობი პირობა უმთავრესი მიზნის მისაღწევად და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა: აქედან:

3. ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თითოეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქნას ეკონომიკურ ნიადაგზე“(30, 53).

ეს იყო იმ დროისათვის ძალზე პროგრესული და აქტუალური მოთხოვნა და მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოსათვის: თანამედროვეობის სამი უმთავრესი იდეალი - ერისა და პიროვნების თავისუფლება და ადამიანის უფლებები - ნოე ჟორდანიამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის აქცია პირველი ქართული პოლიტიკური ჯგუფის(მესამე დასი) მოქმედების ქვაკუთხედად და ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი - უცხო ქვეყნის ბატონობისაგან განთავისუფლების იდეა, რომელიც დამოუკიდებლობის აქტშია (1776 წლის 4 ივლისი) აღიარებული და ადამიანის, პიროვნების თავისუფლების იდეა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციამ დიდ საკაცობრიო ღირებულებად აქცია (1789 წლის 14 ივლისი) ერთმანეთთან დააკავშირა და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონედ აქცია. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის

უფლებებზეც, რომლის სრულყოფა 1948 წელს დაიწყო „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ და დღემდე გრძელდება. ამ ყველაფერთან ერთად ნოე ჟორდანიამ ერისა და პიროვნების თავისუფლებანი პიროვნების ნივთიერი ანუ სოციალური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს იდეასთან დააკავშირა (რაც დღეს ყველა ცივილიზებული ქვეყნის და მთავრობის უმთავრესი საზრუნავი და სამოქმედო გეგმაა). ამით ნოე ჟორდანიამ გადალახა არა მარტო მარქსიზმის კლასობრივი ბრძოლის საზღვრები, არამედ გააფართოვა დემოკრატიის ცნების საზღვარიც.

შემდგომ პერიოდში (1893-1898), ევროპაში ყოფნის დროს, ნოე ჟორდანიამ კიდევ უფრო დახვეწა მის მიერ შედგენილი პროგრამა, **წამოაყენა გაევროპელების იდეა** და ახალი სამოქმედო პროგრამა საქართველოსათვის. ჩვენ ქართველებს, - წერდა იგი, - რომლებმაც ერთი ევროპული ხანა — ფეოდალური, უკვე გამოვიარეთ, ევროპა ვერას დაგვაკლებს. ის ჩვენი მტერი არ არის, პირიქით, ის არის სისხლი სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენივე ვევროპელდებით და მაშასადამე, მის გვერდით, მასთან შეკავშირებით ჩვენივე უნდა ვიცხოვროთ (შენიშვნა: ვერც ერთი ხალხი ვერ ეევროპელდება გონებით, პოლიტიკურად, თუ ის ვერ ვერ ეევროპელდება ცხოვრებით, , ეკონომიკურად). **ქართველობამ თვითონვე უნდა განავითაროს ძალა, აღიძრას ენერჯია, განაყოფიეროს შრომა. თვითმოქმედება, თვითმოძრაობა, თვითაზროვნება - აი რა უნდა ენეროს მის დროშაზე.** . ყველა ის, რაც ამ გზაზე გვაბრკოლებს, ძიძაობას გვიწევს, ასპარეზს გვივინრობს , გვაძინებს, გვაზარმაცებს — აი, ეს ჩვენი პირდაპირი მტერია , მომავლის ორმოს ამომთხრელია“<sup>24,196</sup>).

ამ დასკვნაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნოე ჟორდანიას გაევროპელება (კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით) შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე, ქართული ცხოვრების წესზე დაყრდნობით და არა ყოველივე ევროპულის ბრმად და ხელოვნურად გადმონერგვის გზით: „გაევროპელება წარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა

და ევროპელობა – აი, რა წერია ახალ დროშაზე“. ეს ეხებოდა მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიის ევროპულ იდეასაც, რომელიც ნოე ჟორდანიამ და მისმა მიმდევრებმა ეროვნულ ნიადაგზე დაამყნეს, თუმცა ცალკეული შეცდომები თავიდან ვერ აიცილეს(25, 114).

ზემოდასახელებულ ნაშრომში ნოე ჟორდანია ერთმანეთს უდარებს სომხურ და ევროპულ კაპიტალს საქართველოში და ასეთ დასკვნას აკეთებს: „სომხები წარმოადგენენ მევახშე, საჩარჩო კაპიტალს. ფული ფულს იგებს არა წარმოებით, საქმეში დაბანდებით, არამედ ვექსილის ქალაღდით. „ნეუსტოიკით“, მოცყუებით, კანონიერი უკანონობით, მათი მოქმედება კონსერვატიულია. ევროპელნი კი მრენველობას მისდევენ,ვაჭრობაში პატიოსნება შეაქვთ, ქვეყანა ევროპულ გზაზე გამოყავთ და მით პროგრესულ როლს თამაშობენ“(25,116).

ამრიგად, ნოე ჟორდანიასათვის პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისიდან სამაგალითო იყო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესის, გზა, რომელიც გაიარა ევროპამ და არა რუსეთმა. მისი - თეზისები და პროგრამაც სოციალიზირებულია ევროპული სოციალ-დემოკრატიის ყაიდაზე და არ ქადაგებს ძალმომრეობას, დიდ სოციალურ კონფლიქტებს, რითაც ნოე ჟორდანია მკვეთრად გაემიჯნა რუსულ მარქსიზმს.

დავით სარაჯიშვილის მაგალითზე, რომელსაც ნოე ჟორდანია თვლიდა პირველ ქართველ ევროპული ტიპის მრენველად, მან წამოაყენა ქართველთა გაევროპელების თავისებური ფორმულა (საქები ევროპელობა + საქები ქართველობა): „როცა თითოეული ჩვენგანი ისწავლის ევროპულ მუშაობას, ევროპულ საქმიანობას და თან ნაციონალურ ხასიათს არ დაგვკარგავთ — ჩვენი გაევროპელება ფაქტი იქნება“.

ევროპაში იძულებით ემიგრაციასა და მრავალი წლის განმავლობაში იქ ცხოვრების დროს ნოე ჟორდანია კიდევ უფრო ცხადად დარწმუნდა, რომ **„ევროპის გზა მსოფლიო გზაა, ახლა ისტორიას სხვა გზა არ გამოუგონია და თავისთავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა“(26,154).** ევროპულ გზაზე ქართველთა დაგვიანებით

შედგომა, ყორდანის აზრით, შეიძლება დიდად სასარგებლო გამოდგეს თუ მას სწორი შეხედულებით მივუდგებით და ევროპელთა შეცდომებს ამ გზაზე არ გავიმეორებთ: „რაკი ჩავდექით ფერხულში, ვიცით რას ვაკეთებთ, საითკენ მივემართებით, მაგალითი გადაშლილია. ჩვენი მოვალეობაა მხოლოდ ერთი: ვიყოთ თვალხილული, გავარჩიოთ ავი და კარგი, მივიღოთ მისაღები და უარყოთ უარსაყოფი. უეჭველად მისაღებია ევროპის შრომის საშუალებანი, მისი ტექნიკა, მისი მეცნიერება, მისი ნივთიერი და სულიერი კულტურა. არაა მისაღები მთელი ამ განძის, ცალმხრივი, ეგონისტური ხელმძღვანელობა, მისი კერძო ინტერერესების იარაღად გადაქცევა, ერთი ჯგუფის ხელში დატოვება და მის გასამდიდრებლად და ხალხის გასაძარცვავად გამოყენება... ჩვენ გვინდა ვიყოთ ევროპიელი, მაგრამ არა ერთიმეორის მტერი და მჩაგვრელი, არა დაბრმავებული და უტიფარი“.

ამავე დიალექტიკით უდგება ნოე ყორდანია გენდერულ საკითხს ევროპასა და საქართველოში, რასაც იგი გადმოსცემს თავის ნიგნში „ნიგნი ოჯახში საკითხავი“ (პარიზი, 1936).

ყორდანის აზრით, ფეოდალურ ხანას ამ საკითხში ერთი დიდი დამსახურება მიუძღვის: მან რაინდული წესებით ასწია ქალის მნიშვნელობა, შექმნა მისი კულტი — შეხედულება, რაც წინათ კაცობრიობას არ ჰქონებია: ქალის პატივისცემა, მის წინაშე ფეხზე დგომა, მის ხელზე მთხვევა, მისთვის მოწინებით მოპყრობა და მისთვის სამსახურის განევა მოდიოდა შუა საუკუნეებიდან. XIX საუკუნის ბოლოდან ეს მკვეთრად შეიცვალა და სქესთა თანასწორობის ლოზუნგით რეალურად ქალს პატივისცემა მოაკლდა: „ამ ბოლო წლებში, — წერს იგი, — სამრეწველი ცივილიზაციის ნიადაგზე ოჯახის გამოკვებისა და თავის რჩენის საქმეში ჩაება ქალიც. ისიც იძულებული გახდა მამაკაცით იმუშაოს ფაბრიკა-ქარხნებში და იმსახუროს. ე.ი.მის ერთ ბუნებრივ მოვალეობას დაემატა მეორე, რომელიც ებრძვის პირველს. მისი მდგომარეობა, მაშასადამე გაუარესდა და ამით დაზარალდა მთელი საზოგადოება. ამით ქალმა ვერ მოიპოვა ვერც უპირატესობა, ვერც პატივისცემა და ვერც თანასწორობა(31, 46).

ნოე ჟორდანია აქვე მიუთითებს იმასაც, რომ „ყველა ერებს შორის, რომელთაც კი ვიცნობ, ქალი ნაკლებ დამონებულია, მეტად პატივცემულია ქართველებში. ყველგან ის ეწევა მძიმე ფიზიკურ შრომასაც მამაკაცის გვერდით. ჩვენში კი ქალი მხოლოდ საოჯახო საქმეებს ხედავს(თუმცა ბოლო 30 წელია მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვალა).

ნოე ჟორდანია აღნიშნავს, რომ ქართველი ქალი ულამაზესი ქალია, მაგრამ ამ რასის დაცვა მოხდა დედის დაცვით. ჩვენში თავიდანვე ქალს ჰქონდა უპირატესობა კაცის წინაშე. თვით ქართული ენა ამონებს ამ თვისებას, როცა ორივე სქესია დახასიათებულია, პირველად სახელდება უეჭველად ქალი, იტყვიან: ქალ-ვაჟი, დედ-მამა, ცოლ-ქმარი, და-ძმა – არასოდეს პირუკულმა. ყველა სხვა ხალხებში ეს პირიქითაა. ქალი ჩვენთან მუდამ იყო ოჯახის გამგე, მას ეკითხებოდა მთელი შინაური დანყობილობა, ბავშვების მოვლა-პატრონობა, თავისუფალი იყო ფიზიკური შრომისაგან. პირველს ქალს ადღეგრძელებდნენ წვეულებაში- რა დიდი პიროვნებაც უნდა ყოფილიყო წვეულ მამაკაცებს შორის. საფრანგეთის ყველა კუთხე დავლილი მაქვს და მხოლოდ ერთხელ შევხვდი გლეხის ქალს თვალტანადს, ხოლო მისი მსგავსი ჩვენში ყოველ ნაბიჯზეა“(31, 67)

ნოე ჟორდანიას აზრით, „ქალთა გენდერული თანასწორობა თავის მოტყუებაა. არავითარი იურიდიული ნორმით მისი გადანყვეტა არ შეიძლება. არ შეიძლება ქალის და კაცის გათანასწოლება. მიეცით ქალს ყველა უფლება – აქედან მისი ძირითადი მდგომარეობა არ შეიცვლება. არ შეიცვლება ის, რომ იგი, პირველ ყოვლისა, დედაა და მას მორჩილებს მთელი მისი ცხოვრება. მრავალ ქვეყანაში სქესთა სრული თანასწორობაა. მერმე რამდენი პოლიტიკური მოღვაწე გამოჩნდა ქალებიდან? რამდენი გამოჩენილი მეცნიერი გამოვიდა ქალებიდან? ვინ უშლის ხელს. **უშლის ის, რომ ქალს უფრო დიდი საქმე გასაკეთებელი, ვინემ პოლიტიკა და მეცნიერება, ის აჩენს სიცოცხლეს, ე.ი. იმ საფუძველს, რასაც პოლიტიკა და მეცნიერება უნდა ემსახუროს.**

აი, ეს უბრალო ამბავი ვერ გაიგო მამაკაცმა დღემდე. მას თავი მოაქვს თავისი პოლიტიკით, მხედრობით და ვერ ამჩნევს მის გვერ-

დით თუ რა დიდი, უდიდესი საქმე კეთდება და რისი შედეგიც თვითონაა“(31,86).

ნოე ჟორდანიას გონივრული მოსაზრებით ქალის პატივი მომდინარეობს შვილის პატივისგან ე.ი იქ სადაც შვილის და კარგი შვილის ყოლას დიდად აფასებენ, მას ნატრულობენ, მას შეტრფიან — იქ ქალი პატივშია, იქ მისი ავტორიტეტი დიდია. ახლა ლამაზ ქალს ეძებენ არა ლამაზი შვილისათვის, არამედ სიამოვნებისათვის. პატარა ერისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი გავეროპელება ქართველ ერს დიდ საშიშროებას უქადის: ჩვენთან ქალს პატივს სცემდნენ არა მარტო მამაკაცები. მთავარია ის, რომ ის თავის თავს სცემდა პატივს - მას თავი ამაყად ეჭირა, ახიერებულად ვერავინ შებედავდა. მან თავისი ფასი და ღირებულება იცოდა, თავმომწონეობა არ აკლდა. მაგრამ ამავე დროს არ იყო ეგოისტი, თავმოყვარეობით შეპყრობილი. ის ითხოვდა პატივისცემას როგორც ქალი, დედა, შთამომავლობის სათავე“. ჟორდანიას აზრით, ქალის მუშაობა ყანაში და ფაბრიკაში სავსებით ანტიბუნებრივია, არღვევს გამრავლებისა და შენახვის საფუძველს. ასეთ ვეროპულ ემანსიპაციას ნოე ჟორდანია ქალის ახლებურად დამონებას და უკან გადადგმულ ნაბიჯს უწოდებს, ხოლო ქალის უფლების ნამდვილ დაცვას მიიჩნევს ოჯახის დაცვას, მისი მთავარი ასპარეზის შენახვას.

ნოე ჟორდანია წერს, რომ „ოჯახური წყობა სხვადასხვა საფუძველზე სხვადასხვა ძალისაა. ქართველებში ის გაცილებით ძლიერია, ვიდრე საფრანგეთში (და ევროპელებში).

„ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოვსულვართ გვარის რკალიდან, საერთო შთამომავლობის ურთიერთობისაგან. ეს ამაგრებდა და ამაგრებს დღეს ჩვენს ერს მიუხედავად მასზე მოწოლილი მუდმივი დამარღვეველი ელემენტებისა. მასზე გრიგალივით გადაივლიდა მრავალნაირი ურდოები, ნალეკავდა ყოველივეს, მაგრამ ვერ ნალეკავდა ძირითად ასოციაციას — ოჯახს და გვარს და ესენი ერთიმეორეს დახმარებით ისევ ფეხზე დგებოდნენ — ერი არ კვდებოდა(31, 98).

ნოე ჟორდანია ასევე მწვავედ აკრიტიკებს ევროპაში(და

მსოფლიოში) დამკვიდრებულ ქალ-ვაჟის ერთად ცხოვრებას მათ ოფიციალურ ქორწინებამდე. თუ შეენწყენენ ზნე-ხასიათით, შემდეგ ჯვარს იწერენ. მისი აზრით, ეს არის - ყველაზე უარესი გამოსავალი, ვინაიდან შეუღლების მთავარი მიზანი და სახეობა წინდანიწვე უარყოფილია: აქ არც ოჯახია, არც შვილები, ის უფრო წააგავს პროსტიტუციას; ასევე ნათესაური ქორწინებანი (რასაც დღეს სერიოზულობით გვაჩეჩებენ – ვ. შ.), ხელ უწყობს ხალხის, ერის გადაგვარებას – დაასკვნის იგი. ჟორდანიას აზრით, არასოდეს ქალი ისე ჩქარა არ ბერდებოდა, როგორც ახლა. ის ხაზს უსვამს იმას, რომ ქალი იძულებული არ უნდა იყოს ლუკმა-პური ეძიოს. მისი აზრით, „განათლებულ ქვეყნებში თანდათან იკარგება ბუნებრიობა, ბუნების კანონებისადმი ერთგულება, სალი გონების ბატონობა და ფეხს იკიდებს ხელოვნური კომბინაციები, გამოგონილი არაბუნებრივი შეხედულებები, მოდეები, დიეტები და ფანტასტიკური კომბინაციები:

წამოყენებულია, პირველ რიგში, პირადი „მე“, მისი სიამოვნება და დროსტარება. ყველა სხვა მხარე ცხოვრებისა უკანაა დაყენებული, ამათ შორის მოვალეობა ოჯახის, შთამომავლობის მიმართ. საზოგადოდ ყველა უფლებას ეძებს, მოვალეობას კი - უკუაგდებს.

„ჩვენს პატრიარქ ქართველ ერს არ მართებს აყვეს ავში ამ ხალხებს, რომელნიც - დიდი ხანი არ არის, რაც ისტორიის ასპარეზზე გამოჩნდნენ და მოქროლავენ ცის ქვეშ, საითკენ – თვითონაც არ იციან“ (31,104).

ნოე ჟორდანიას დასკვნით, საქართველო ევროპაში უნდა შევიდეს არა რუსეთთან ერთად, არამედ როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა. მისი აზრით, რუსეთმა ორჯერ აქცია ზურგი ევროპას (პეტრე I-სა და შემდგომ ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის დღიდან), „საქართველო კი მუდამ ევროპისაკენ ისწრაფოდა... საქართველო თავისი ისტორიული, სოციალური ძირითადი შენობით ნაჭერია ევროპის, დასავლეთის კულტურის და მისი შუა გზაზე ძალით, უცხო ხიშტებით გაჩერება, მისთვის არაევროპული ურთიერთობის (რუსული ბოლშევიზმი – ვ. შ.) თავზე მოხვევა იქნება ხალხის სიკვდილი, ერის გადაშენება. რუსეთს არ

მოელის ასეთი გადაშენება, ვინაიდან ის თავის ისტორიულ საფუძველზე დგას — აზიელობა, ბოლოს და ბოლოს, უნდა გათავდეს ევროპიელობით, ეს ბუნებრივი მსვლელობაა. მაგრამ ევროპული ერის — საქართველოს გააზიელება ძალმომრეობით — ეს სრული არევაა ბუნებრივი მსვლელობის, ეს სასიკვდილო ნახტომია. ჩვენი მომავლის რუსეთის მომავალთან გადაბმა ნიშნავს ჩვენს სავსებით განადგურებას არა მარტო პოლიტიკურად და ნაციონალურად, არამედ ფიზიკურადაც... ბოლშევიზმის ხიდან დემოკრატიზმი ვერ ჩამოვარდება - ეს შორეული ეტაპია. ამიტომაც გვინდა, რომ საქართველო ჩამოშორდეს დროულად ამ რუსულ ექსპერიმენტებს, აღადგინოს თავისი სუვერენობა და წინ გასწიოს საკუთარი გზით. ქართველი ერი უნდა შევიდეს საბოლოოდ ევროპის ოჯახში“(28,25).

საბჭოთა რუსეთის მიერ ძალით დაპყრობილი დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დამფუძნებელი კრების დადგენილებით მიდის ემიგრაციაში არა ირან-თურქეთში, სადაც მიდიოდნენ ადრე ჩვენი იძულებით გაქცეული ხელისუფალნი, არამედ ევროპაში.

ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მათ უარყვეს რუსული მარქსიზმის ყველა ძირითადი დებულება, პრაქტიკული საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს ევროპულ ორიენტაციას და ევროპული ფასეულობების, დამკვიდრებას, თანამედროვე ევროპულ სოციალ-დემოკრატიულ იდეებსა და მიმართულებას.

ემიგრაციაში (საფრანგეთში) ყოფნის დროს ნოე ჟორდანიამ თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის დაუღალავმა მებრძოლმა. მისმა სოვეტოლოგიურმა და პოლიტოლოგიურმა ნაშრომებმა, ანალიზმა და დასკვნებმა დიდი აღიარება მოიპოვა ევროპაში. მან ჯერ კიდევ 1920-იანი წლების შუახანებში თითქმის წინასწარმეტყველურად, ზუსტად დაასაბუთა საბჭოთა და კომუნისტური სისტემის კრახის ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური მიზეზები და წანამძღვრები, რაც 30 წლის შემდეგ გააკეთეს პაიპსმა და ბჟეზინსკიმ(აშშ).

ნოე ჟორდანიამ ასევე თავისებურად დაასაბუთა თანამედროვე გლობალური ერის დადგომის აუცილებლობა, როცა დაწერა, რომ

„კაცობრიობა საშინელი სისწრაფით მიისწრაფვის ერთობისკენ. ის შემოზღუდულია ერთი გაღავნით, რომლის საფუძველი ღრმად არის ჩაფლული და ფესვებგადგმული ნივთიერ ურთიერთობებში“. ჩვენ დღეს ამას გლობალიზაციის ხანას ვეძახით.

#### **ლიტერატურა:**

1. მ. მუსხელიშვილი, ქართულ-ევროპული მოძრაობის გამოცემა, 1952, პარიზი.
2. გაზ. ფიგარო 2. 1965.
3. მიშელ მუსხელი, „ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენლის მანდატი“, 1952, სტრასბურგის არქივი.
4. ჟ. „ბედი ქართლისა“ №15, 1953 წლის სექტემბერი.
5. SpiegederSudpfalz, ThemaamSamstag, revolutionfur EuropainSt. Germanshof, Samstag, 5 August, 2006.
6. ჟ. „ბედი ქართლისა“ №21-22, 1956 წლის აპრილი.
7. ჟ. „ბედი ქართლისა“, №28-29, ევროპულ პროფესორთა ასოციაციის კონგრესი, 1958 წლის ივნისი.
8. ჟ. „ბედი ქართლისა“, №10, პროფესორი ალ. ნიკურაძე პარიზში, 1951.
9. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I, თბ.,1991.
10. შუბითიძე ვაჟა ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება,თბ.,სტუ, 2013.
11. ჯაფარიძე ედიშერ ევროინტეგრაციის სათავეებთან, 2019.
12. Sanders Alexander, KAUKASIEN,Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenien, GeorgienGeschichtlicherUmriss. München. Hoheneichen-Verlag.1942.
13. მიხეილ მუსხელიშვილი, საქართველო და ევროპა, საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, თბ.,1995, ტომიII .
14. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტომიVI, თბ., 1981.
15. ვაჟა შუბითიძე, პოლიტოლოგია, თბ., 2006.
16. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად,ტომიII, თბ., 1983.

17. ელბერდ ბატიაშვილი, ილია და საქართველო, თბ., 1998.
18. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ.IV, თბ., 1987.
19. არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ.IV, თბ., 1911.
20. ნანერები სერგეი მესხისა, ტ.I, 1903.
21. ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ.I. თბ., 1927.
22. ქ. ჯიჯეიშვილი, ქართული დემოკრატიის სათავეებთან(ნიკო ნიკოლაძე და არჩილ ჯორჯაძე), თბ., 2002.
23. ნიკო ნიკოლაძე - 150, საიუბილეო კრებული, თბ., 1996.
24. ნოე ჟორდანიას რჩეული, თფილისი, 1920, ტ.II.
25. ნოე ჟორდანიას რჩეული ნაწერები, თფილისი, 1911.
26. ნოე ჟორდანიას ევროპა და კაცობრიობა, რჩეული ნაწერები, თბ., 1990.
27. ვაჟა შუბითიძე, ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი, თბ., 2008.
28. ნოე ჟორდანიას ბრძოლის საკითხები, პარიზი, 1923.
29. სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო ევროპულ სივრცეში“, შრომები, სტუ, თბ., 2011.
30. ვაჟა შუბითიძე, ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებანი, თბ; სტუ, 2003.
31. ნოე ჟორდანიას წიგნი, ოჯახში საკითხავი, თბ., 1989.

## მიხეილ მუსხელიშვილი - ევროინტეგრაციის კონცეფციების შესახებ

საქართველო ევროპის ისტორიის მონაწილეა. ის დასაბამითვე იყო ჩართული კაცობრიობის იმ სულიერ განვითარებაში, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფორმაციათა შექმნაში, რომლებიც ევროპის ცხოვრების არსს გამოხატავს. საქართველო არის საუკუნეთა განმავლობაში წვლილის შემტანი ევროპის შემოქმედებაში. კოლხ-იბერთაგან განეული შრომა, მათი თანადგანლი ელინური მსოფლიოს წარმოშობასა და შექმნაში ქართველ ერსს დღესაც ასაზრდოებს, დღესაც ჰმატებს შინაგან ძალასა და ღონეს და, ამავე დროს, ეს თანადგანლი არის წილი შეტანილი ევროპის კულტურის საძირკვლის ჩაყრასა და მის გაშლაში. ძვ.წ.აღ-ის მეორე ათასწლეულში კავშირები საქართველოსა და ევროპას შორის ასახულია არგონავტების მითში და, ასევე, ძვ.წ. მესამე საუკუნეში ქართლის პირველი მეფეების აზოს და ფარნავაზის მეფობის დროს, სადაც ნათქვამია, რომ მათ კარგი კავშირები ჰქონდათ დასავლეთის სახელმწიფოებთან. ქართველი მეფეები ოდითგანვე ცდილობდნენ შეექმნათ ევროპულ სახელმწიფოებთან კავშირის სისტემა. კერძოდ, ქართველ მეფეებს სამი საუკუნის განმავლობაში ამოძრავებდათ სურვილი, შეექმნათ ევროპის ქრისტიან მეფეთა კავშირის სისტემა, ამ მიზნით, სამცხის მთავარმა ყვარყვარე ათაბაგმა მე-15 საუკუნეში შექმნა კავკასიის ერთა კოალიცია სპარსეთის მფლობელ უზუნ ჰასანთან ერთად და ელჩები წარგზავნა ევროპის მეფეებთან შემდეგი სურვილით, რომ ერთობლივი ძალებით განედევნათ ევროპიდან ოსმალეთი, როცა თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს 1453 წელს. თავის მხრივ, ლუარსაბ პირველიც მიმონერას აწარმოებდა რომის პაპ პავლე მეორესთან (1534-1549) წლებში. თეიმურაზ პირველმა (1605-1648) კი 1625 წელს წარგზავნა ელჩი ნიკოლოზ ირბახი მოსალპარაკებლად რომის პაპ ურბან მერვესთან, გერმანიის იმპერატორთან, ესპანეთის მეფესთან, ფლორენციის მმართველსა და პოლონეთის მეფესთან. ვახტანგ მეექვსემ კი (1703-1724) სულხან - საბა ორბელიანი მიავლინა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ მეთოთხმეტესთან, რომელიც ქართველი მეფის

სახელით საფრანგეთის მეფეს აღუთქვა ფრანგი ვაჭრებისათვის აღმოსავლეთით ინდოეთსადა ჩინეთში მიმავალ გზების დაცვა. ევროპელ მეფეებთან კავშირის დამყარებას ლამობდა აგრეთვე ქართველთა მეფე, ბაგრატიონთა შთამომავალი ერეკლე მეორე (1744-1798) [1]. მართალია, ქართველ მეფეთა იმედები და მოლოდინები ვერ გამართლდა მაშინ, რადგან 1801 წელს რუსეთმა დაარღვია ხელშეკრულება და მოახდინა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია. 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, ქვეყანას კვლავ მიეცა შანსი დასავლურ ოჯახში ინტეგრაციისა. ქართველი დიპლომატების ძალისხმევით საქართველო აღიარებულ იქნა „დე ფაქტო“ და „დე იურედ“ ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მიერ, ოღონდ ისევ რუსეთის აგრესია და თბილისის თავზე აფრიალდა კომუნისტური დროშა, რამაც კიდევ ერთხელ შეაფერხა საქართველოს ინტეგრაცია დასავლურ სამყაროსთან. მიუხედავად ამ ისტორიული ბედ უკუღმართობისა, საქართველოს არასოდეს შეუწყვეტია ბუნებრივი მსვლელობა და სულიერი კავშირი ევროპასთან. რუსული ოკუპაციის შემდეგ საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში წავიდა. ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური ელიტა განაგრძობდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ევროპასთან ინტეგრაციისათვის.

ერთი თავდადებული მებრძოლი, ევროკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლდათ სწორედ ქართველი, სტრასბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო საჯარო სამართლის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის წამყვანი პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი. ის რუსეთის ოკუპაციასთან შეურიგებელი მებრძოლი ემიგრაციაში 1921 წელს წავიდა, როცა მოხდა საქართველოს ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ. იგი ვერ ეგუებოდა არსებულ მდგომარეობას და სრულიად დაუფარავად აკრიტიკებდა მას, საინტერესოა მისი იურიდიული შეფასება, სადაც მან 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატს საქართველოს დამოუკიდებლობის დასასრული უწოდა. რამაც გამოიწვია მ. მუსხელიშვილის პოლიტიკური დევნა ბოლშევიკთა მიერ. ყოველივე ამის მიუხედავად, იგი არ უშინდება არავითარ ხიფათს და აქტიურად მონაწილე

ილეობს ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში როგორც ინსტიტუციური მოწყობის, ისე ევროპეიზაციის სამართლებრივი მიმართულებით, და ეგ ხდება მაშინ, როცა ჟან მონე და რობერტ შუმანი მხოლოდ საუბრობდნენ ევროპის გაერთიანების იდეაზე. დიახ, ამ დროს მიშელ მუსხელი უკვე გამოდიოდა ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივებით ევროპული ქვეყნების გასაერთიანებლად და მსჯელობდა ერთიანი ევროპული სივრცის შექმნის აუცილებლობაზე. თუმცა სანამ უშუალოდ სამართლებრივ ინიციატივებზე გადავიდოდეთ ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მისი შემოქმედების სამ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე, რომლებიც ეხება ევროპაში მნიშვნელოვანი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და რამაც დასაბამი მისცა შემდგომ ევროპის ინსტიტუციურ განვითარებასა და ევროპეიზაციის პროცესს. პირველი - ეს გახლდათ კვლევითი ცენტრის შექმნა, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა. მ. მუსხელმა 1948-1949 წლებში ჩამოაყალიბა სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის (ე.წ. სოციალისტური) სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელსაც 18 წელი ედგა სათავეში და შემდგომ „მუსხელის ცენტრი“ უწოდეს (ახლაც „მუსხელის ცენტრი“ ჰქვია). „მუსხელის ცენტრი“ წარმოადგენდა პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო სამართლის, სოვეტოლოგიის დარგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას საფრანგეთში, სადაც მუშავებოდა ევროინტეგრაციისა და ევროპული საზღვრების მოშლის იდეა. იგი იყო პირველი ქართველი და ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე მსოფლიოში, რომელმაც ევროგაერთიანების და ევროპული საზღვრების აღების იდეა წამოაყენა და დაიცვა [2].

მიშელმ მუსხელი ევროპის საბჭოს შექმნასა და ჩამოყალიბებაში თავიდანვე იღებდა მონაწილეობას. ამ საბჭომ კი სათავე დაუდო ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიას ევროპაში. 1952 წელს მიშელ მუსხელი „ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენლის მანდატის“ მფლობელი ხდება. იგი აქტიურად ერთვება ევროპის საბჭოს საქმიანობაში. ევროპის საბჭო არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 1949 წლის 5 მაისს ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს მიერ შეიქმნა. დღეს

ის ევროპის 47 ქვეყანას აერთიანებს. მისი შტაბ-ბინა სტრასბურგში მდებარეობს. საქართველო 1999 წლის 27 აპრილს გახდა ევროპის საბჭოს წევრი (რიგით 41-ე ქვეყანა). ევროპის საბჭო როგორც ინსტიტუციურად, ისე თავისი დანიშნულების მიხედვით განსხვავდება ევროკავშირის ინსტიტუტების „ევროპული საბჭოსა და ევროკავშირის საბჭოსაგან“. „ევროპის საბჭოს“ მიზნებია ადამიანის უფლებების, პლურალისტული დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა; ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის დონის ამაღლება და ევროპის საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის გზათა ძიება (უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსენოფობია, შეუწყნარებლობა, შიდსი, ნარკოტიკები ორგანიზაციული დანაშაული და სხვ.). ევროპის საბჭოს მიზნებიდან გამომდინარე, მიშელ მუსხელი, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა დამცველი, აქტიურად ერთვება საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის მუშაობაში და აქტიურ პროპაგანდას უწევს და ლობირებს ქართველ ემიგრანტებს. ის ემიგრანტების უფლებების დაცვას ცდილობს ევროპის საერთაშორისო არენაზე, რადგან მათი უფლებები ირღვეოდა როგორც საბჭოთა რუსეთის ქმედებებით, ასევე, იმ პერიოდის რეპრესიული პოლიტიკით[3].

მესამე - ეს გახლდათ „ქართულ ევროპული მოძრაობა“, პირველი აპოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ორიენტირებული იყო დემოკრატიულ ფასეულობებსა და ლიბერალურ ღირებულებებზე. 1953 წლის 10 აგვისტოს სტრასბურგში ოფიციალურად დაარსდა პირველი „ქართულ ევროპული მოძრაობა“. მისი სულისჩამდგმელი და ინიციატორი მიხეილ მუსხელიშვილი გახლდათ. „ქართულ-ევროპული მოძრაობის“ საინიციატივო წრემ ჩამოაყალიბა სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ალ. ჯინჭარაძე, კ. სალია, მ ალშიბაია, ვ. ცხომელიძე. სამდივნო მოძრაობის მუშაობას ყრილობის მოწვევამდე ხელმძღვანელობდა. „ქართულ-ევროპული მოძრაობის“, საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს პროფესორი მიხეილ წერეთელი, ხოლო საპატიო წევრად - გრიგოლ რობაქიძე. „ქართულ-ევროპული მოძრაობას“ საფუძვალად დაედო 1953 წლის 7 აპრილს ქ. მიუნხენში შეკრებილი დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და

დამტკიცებული შემდეგი წესდება: 1) ქართველთა შორის ევროპის სახელმწიფოთა კავშირის და მასში სუვერენული დემოკრატიული საქართველოს შესვლის აუცილებლობის იდეის გავრცელება. 2) გაცნობა უცხოელთათვის, რომ საქართველო სულიერად და კულტურულად მუდამ იყო ნაწილი ევროპისა და სურს გახდეს მისი წევრი. ამ მიზანთა მისაღწევად იგი უკავშირდება კავკასიელ მეზობელთა და ევროპის ერთა ევროპულ მოძრაობებს. მოძრაობის წესდებაში ხაზგასმულია, რომ „ქართულ-ევროპული მოძრაობა“ არ იყო კუთვნილება რომელიმე პარტიისა ან ჯგუფისა. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ ქართველს, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, ვინც კი აღიარებდა საქართველოს სუვერენობას და იზიარებდა ევროპის მთლიანობის იდეას [4].

რაც შეეხება ევროპეიზაციის სამართლებრივ პროცესს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მ. მუსხელის შემდეგი ინიციატივები:

მ. მუსხელმა 1948 წელს ფრანგ კონსტიტუციონალისტ გასტონ სტეფანთან ერთად ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი შეადგინა „Michel Mouskhely, Gaston Stefani, „Draft of a European Federal Constitution“ 1948“, სადაც დეტალურად განერილია პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის პრინციპები, რაც დაფუძნებულია მშვიდობასა და სოციალურ სამართალზე, ფედერაციის ერთიანობასა და ფედერაციული სახელმწიფოების სხვადასხვაობაზე. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ევროპული სამართალი დღესაც საზრდოობს მუსხელიშვილის მიერ ინიცირებული სამართლის პრინციპებით (განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური ნაშრომები ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე).

1950 წლის 6 აგვისტოს სტარსბურგში, ევროკონფერენციის გახსნის წინა დღეს, ევროპის 8 ქვეყნის 300 -ზე მეტმა სტუდენტმა, ევროგაერთიანების მგზნებარე ინიციატორის მიშელ მუსხელისა და სამი სხვა მომხრე პროფესორის წინამძღოლობით მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა „ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ, დიდი ხანძარი ახლა სტარსბურგში უნდა აბრიალდეს, რომ ევრო-

პელთა გულებიც აანთოს“,- თქვა მაშინ მიშელ მუსხელმა [5].

1955 წლის სექტემბერს ქ. ტრიესტში გამართულ ევროპის საუნივერსიტეტთაშორისო ასოციაციის კონგრესზე, რომელსაც ესწრებოდა 18 ქვეყნის 120 წარმომადგენელი, მთავარმა მომხსენებელმა მიშელ მუსხელმა მიმართა ცივილიზებული სამყაროს მესვეურებს: ახლა დადგა დრო ევროპელთა ინტელექტუალური და კულტურული ერთობისა, მათი გაერთიანებისა. ეს მაშინვე გულისხმობდა ერთიანი ევროპული განათლების სისტემის მოდერნიზაციას ინიციატივებს, დღევანდელი ბოლონიის პროცესთან მიახლოებულ პროექტს, ევროპის ინტელექტუალური მასის მობილობასა და ერთმანეთთან დაახლოების პერსპექტივას, ევროპის საგანმანათლებლო პროგრამების ჰარმონიზაციას. აღსანიშნავია, ისიც, რომ ტრიესტის კონგრესის მიზანი იყო ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების მეთოდების ჩამოყალიბება, ევროპის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დაახლოება, გონივრული ურთიერთობების განვითარება. მიშელ მუსხელი უკვე მაშინ გამოდიოდა ინიციატივით, მომხდარიყო ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების საერთო მეთოდების შემუშავება, ევროპის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილობა და გონივრული ურთიერთობების განვითარება [6].

მ. მუსხელი ბრიუსელში გამოდიოდა ინიციატივით, შექმნილიყო საერთაშორისო ერთიანი ევროპული ბაზარი. 1958 წლის 23-27 აპრილს ბრიუსელში მსოფლიო გამოფენის C.E.C.A-ს პავილიონში შედგა ევროპელ პროფესორთა ასოციაციის მორიგი კონგრესი. მისი მუშაობის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: ევროპის საერთო ბაზარი და ევროპის საერთო დაწესებულებები. მოხსენებები ეხებოდა ევროპის ეკონომიკური მთლიანობის იურიდიულ ბუნებას და მის საერთო ასპექტს, ფსიქოლოგიურ მხარეს. მ. მუსხელიშვილმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა ევროპის საერთო ბაზრის შექმნის, მისი ინტეგრაციის (მთლიანობის) შესახებ და მის სამართლებრივ ასპექტებზე. გამოსვლამ დიდი გამოხმაურება პოვა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პუბლიკაციებში. იგი მიიჩნევა,

რომ ევროპის გაერთიანების შემდგომ უნდა მოხდეს ევროპის ბაზრის გაერთიანება, რაც გააადვილებდა სავაჭრო კავშირებს და შექმნიდა ერთიან საბაზრო სისტემას. საერთო ბაზრის სისტემის შექმნა ხელს შეუწყობდა ევროპული ქვეყნების გაერთიანებას და გაერთიანების შემდგომ მისი სიმტკიცის შენარჩუნებას [7, 43-44].

მიხეილ მუსხელიშვილის იდეის ერთგვარი რეალიზაციაა თანამედროვე საქართველოს მიერ დამოუკიდებლობიდან 25 წლის შემდეგ „ვიზალიბერალიზაციის“ მიღება. ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე საქართველომ მიიღო ევროპის ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილების უფლება. რასაც მან საამისოდ ბრიუსელში ჩაუყარა საფუძველი; როცა თეორიულად დაამუშავა ევროპული სამართლის ფუნდამენტური საფუძვლები - ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საკითხები.

2017 წლის 2 თებერვალს საქართველომ მიიღო უვიზოდ გადაადგილების უფლება (ვიზალიბერალიზაცია) შენგენის წევრ ქვეყნებში. ეგ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ ქვეყანაში განხორციელებული წარმატებული რეფორმების შედეგია და ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

მაშასადამე, აქ წარმოდგენილი პოლიტიკური და სამართლებრივი ინიციატივები იმას მოწმობს, რომ ევროპის კავშირის შექმნის იდეის პირველი აპოლოგეტი სწორედ რომ მიშელ მუსხელი იყო. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ: ცნობილი ევროპოლიტიკოსის მიხეილ მუსხელიშვილის შემოქმედების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი ახალი ფაქტები. მათზე დაფუძნებული ჩვენი დასკვნები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ა) 1948 წელს მან ფრანგ კონსტიტუციონალისტ სტეფან გასტონთან ერთად შექმნა ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი, რომლის მნიშვნელოვანი დებულებანი საფუძველად დაედო თანამედროვე ევროკავშირის სამართალს; ბ) მუსხელმა შეიმუშავა ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნისა და ევროგაერთიანების ინსტიტუციების დაარსების იდეა (რაც მერე კიდევაც განხორციელდა

ევროპარლამენტის, ევროკომისიის, ევროკავშირის საბჭოსა და სხვათა შექმნით); გ) მასვე ეკუთვნის ევროპაში საზღვრების მოშლის კონცეფცია (რაც დღეს განხორციელდა ე.წ. შენგენის ვიზის სახით, რამაც ფაქტობრივად ევროკავშირის საზღვრები მოშალა); დ) მისივე ინიციატივით ევროპულ საგანმანათლებლო სივრცის მოდერნიზაცია და ევროპული საგანმანათლებლო სისტემებისა და პროგრამების ჰარმონიზაცია (რაც მერე განხორციელდა ე.წ. „ბოლონიის პროცესის“ სახით და ა.შ); ე) მიხეილ მუსხელიშვილი „ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენლის მანდატს ფლობდა. ის დათარიღებულია 1952 წლით, ხოლო აღნიშნული საბჭო შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს მიერ, და მისი შტაბბინა სტრასბურგში მდებარეობს. ამ საბჭოს ფუნქციონირებასა და მის დაარსებაში ქართველი ევროპოლოგიტოსის სავარადო წვლილი შემდგომი კვლევის საგანია; ვ) 1953 წელს მან შექმნა პირველი „ქართულ-ევროპული მოძრაობა საფრანგეთში. იგი შემდგომში საფუძლად დაედო პირველ აპოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც იმთავითვე ორიენტირებული იყო დემოკრატიულ ფასეულობებსა და ლიბერალურ ღირებულებებზე.

ამრიგად, დღევანდელი ვიზალიბერალიზაციის მიღება ერთგვარად წარმოადგენს მიშელ მუსხელიშვილის იმ ოთხი ძირითადი კონცეფციის ხორცშესხმას. აღნიშნული კონცეფცია იმთავითვე გულისხმობდა ევროპული ქვეყნების გაერთიანებას (ევროპული კავშირი, კონფედერაცია), ევროპის საერთო ბაზრის შექმნას, ევროპის ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლას, ევროპის ერთიანი განათლების სისტემის შექმნასა და ჰარმონიზაციას. აქედან ბოლო ორ მიმართულებაში საქართველო უკვე აქტიურად მონაწილეობს, დანარჩენი კი კვლავ რჩება ქვეყნის მთავარ გამოწვევად.

ვიმედოვნებთ, რომ წარმატებული ღონისძიებების გატარებით საქართველო მალე შეუერთდება ევროპის საერთო ბაზარს და იმავდროულად იგი საბოლოოდ დაბურუნდება ევროპულ ოჯახს.

### **ლიტერატურა:**

1. მ. მუსხელიშვილი, ქართულ-ევროპული მოძრაობის გამოცემა, 1952, პარიზი.
2. გაზ. ფიგარო 2.წწ. 1965.
3. მიშელ მუსხელი, ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენლის მანდატი, 1952. სტრასბურგის არქივი.
4. ჟ. „ბედი ქართლისა“ №15, 1953 წლის სექტემბერი.
5. Spiege der Sudpfalz, Thema am Samstag, revolution fur Europa in St. Germanshof, Samstag, 5 August, 2006.
6. ჟ. „ბედი ქართლისა“ №21-22, 1956 წლის აპრილი.
7. ჟ. „ბედი ქართლისა“, №28-29, ევროპელ პროფესორთა ასოციაციის კონგრესი, 1958 წლის ივნისი.

## სახელმწიფოთა კონფედერაციული და ფედერაციული კავშირი, როგორც ევროკავშირის სამართლის წყაროები

ფედერალიზმი დიდ იმედს გვისახავს. მისი წყალობით  
ევროპა ადამიანთა მინა გახდება,  
დასავლური ცივილიზაცია კი - ახალი ჰუმანიზმის კერა.  
მიშელ მუსხელი

ევროპული თანამეგობრობისა და ერთიანი ევროპული ქვეყნების გაერთიანების იდეა ისეთივე ისტორიული და სიღრმისეულია, როგორც ევროპული იდეა სუვერენული სახელმწიფოებრიობისა. მეოცე საუკუნეში, ევროპის კონტინენტზე საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რაც გამოწვეული იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომებით, განაპირობა საერთაშორისო სამართლის თეორიაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ევროპული თანამშრომლობის იდეა მეორე მსოფლიო ომი შემდგომ გადადის თანაცხოვრების რეჟიმიდან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ინსტიტუციურ დონეზე. ევროპული გაერთიანების დაფუძნებას წინ უსწრებდა ან მის პარალელურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სფეროში ევროპულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარება საერთაშორისო ორგანიზაციების დაფუძნების გზით: კერძოდ, 1948 წელს შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (Organization for European Economic Cooperation) ევროპის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი ფინანსების კოორდინაციის მიზნით; მეორე: 1948 წელს შეიქმნა დასავლეთევროპული გაერთიანება (Western European Union) ევროპის კონტინენტზე საერთო უსაფრთხო სივრცის შექმნის მიზნით და მესამე: 1949 - წელს ევროპის საბჭო (European Council) ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის მიზნით. 1951 წელს პარიზის ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოება, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ექვსი დამფუძნებელი ქვეყანა. ცოტა მოგვიანებით შეიქმნა ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა და 1965

ნლის ხელშეკრულების საფუძველზე დასრულდა სამივე გაერთიანების ე.წ. შერწყმის ხელშეკრულებით (Merger Treaty), თუმცა იმ დროისთვის არსებული საბჭოები და კომისიები სამივე გაერთიანებისთვის საერთო ორგანოდ დარჩნენ. ორგანოების შერწყმას ევროპული გაერთიანებების შერწყმა არ გამოუწვევია და 1993 წლის მასტრიხის ხელშეკრულების საფუძველზე სამი „თანამეგობრობა“ ევროპულ კავშირად გაერთიანდა. ფაქტობრივად მასტრიხის ხელშეკრულება - ესაა ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ, რომელიც მუდმივად განიცდიდა ცვლილებებს, რათა შექმნილიყო ევროკავშირის კონსტიტუცია, თუმცა ევროპული სახელმწიფოების წარუმატებელმა მცდელობამ საბოლოოდ გამოიწვია ლისაბონის ხელშეკრულების ტრანსფორმირება, რომელმაც ძველი ევროპული კავშირი ახალ ევროპულ კავშირად გარდაქმნა. დამფუძნებელი შეთანხმებები და მეორადი კანონმდებლობა ევროპული კავშირის სამართლის მთავარი წყაროა. კერძოდ, ორი ძირითადი შეთანხმება, რომელსაც თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, ესაა ხელშეკრულება ევროკავშირისა და ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ, აღნიშნული შეთანხმებები კი წარმოადგენენ წყაროს ევროპული სამართლისათვის, რომელს შინაარსობრივი დატვირთვა მოიცავს ეკონომიკური და სოციალური ყოველდღიურობის ყველა ასპექტს, მათ შორისაა: ტერიტორიული, სავალუტო, კულტურული, ტურისტული, ჰუმანიტარული, მართლმსაჯულების, საპოლიციო თანამშრომლობის, საგარეო და სამეზობლო პოლიტიკის ფორმატები.

ევროკავშირის სამართალი, რომელიც დღეს წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს ევროკავშირის ფუნქციონირებისა და ინსტიტუტების უფლებამოსილების განმარტაციულ ინსტრუმენტს, ფუნდამენტურად არის დაკავშირებული სტრასბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო საჯარო სამართლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კათედრის სახელოვანი პროფესორისა და მეცნიერის მიხეილ მუსხელიშვილის სახელთან.

1948 წელს მიმეღ მუსხელმა ფრანგ კონსტიტუციონალისტ გასტონ სტიფანთან ერთად ევროპის ფედერალური კონსტიტუ-

ციის პროექტი შეადგინა „ Michel Mouskhely, Gaston Stefani, „Draft of a European Federal Constitution“ (1948), სადაც დეტალურად განერილია პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის პრინციპები, რაც დაფუძნებულია მშვიდობასა და სოციალურ სამართალზე ფედერაციის ერთიანობისა და ფედერაციული სახელმწიფოების სხვადასხვაობის პირობებზე. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ევროპული სამართალი დღესაც საზრდოობს მიხეილ მუსხელიშვილის მიერ ინიცირებული სამართლის პრინციპებით (განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური ნაშრომები. ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე). აღნიშნული ნაშრომი მკვლევარმა მიუძღვნა ევროპის გაერთიანების იდეას, სადაც დეტალურად იყო განერილი გასაერთიანებელი ევროპის ქვეყნების პოლიტიკური მმართველობის ფორმა „ფედერაციის ან კონფედერაციის“ სახით. მასში დასაბუთებულია და გაანალიზებულია პოლიტიკური და სამართლებრივი მხარე, გამყარებულია და ახსნილია მისი იურიდიული ბუნება, რომელიც ეფუძნებოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ისტორიულ გამოცდილებას. დიახ, ეს გახლავთ ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი, ქართველი მეცნიერისა და იურისტის მიერ დაწერილი, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ევროპული ქვეყნების გაერთიანებასა და ევროკავშირის სამართალს, თუმცა არა მისი პირვანდელი, არამედ რანჟირებული სახით. ის ტრანსფორმირდა როგორც ჟან მონესა და რობერტ შუმანის, ასევე, ევროკავშირის სხვა დამფუძნებელი მამების მიერ და მოხდა მათ შრომებთან გაერთიანება, რის შედეგადაც საბოლოო სახით შეიქმნა თანამედროვე ევროკავშირის სამართალი. იგი ეფუძნება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ეს სწორედ ის საერთაშორისო სამართლის პრინციპებია, რომელთა დამკვიდრებისათვის თავის დროზე მიშელ მუსხელი იბრძოდა. აღნიშნულ თემაში მოკლედ განხილულია (ჩვენამდე მოღწეული ნაწილის) მიშელ მუსხელიშვილის მიერ დაწერილი ევროპული კონსტიტუციის პირველ პროექტთან დაკავშირებული ევროკავშირის სამართლის თავისებურებები და კონსტიტუციური დეფინიციები ფედერალიზმისა და კონფედერაციის შესახებ.

მიშელ მუსხელი წერს, რომ უნიტარული სახელმწიფოების რიცხვი მცირდება და ფედერაციული პრინციპი თავისი ორგანიზაციის სიციხოველისა და სხვა უპირატესობათა გამო უფრო და უფრო ვრცელდება. ეს პრინციპი არც ისე ახალია, ჯერ კიდევ ძველმა საბერძნეთმა განახორციელა იგი, თუმცა ცოტა განსხვავებული სახით. მე-18 საუკუნის ბოლოს და მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ფედერაციულმა სახელმწიფომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და მისი განვითარება მთლად არც დამთავრებულა. ფედერაციული სახელმწიფოები არსდებიან და კიდევ ბევრი დაარსდება მომავალში. მეცნიერი სვამს კითხვას რაა ფედერალიზმის სიძლიერე? რა და რა ფორმებს იღებს? როგორ ხორციელდება იგი? ფედერაციულ სახელმწიფოს ფართო მნიშვნელობით ჩვენ ვუნოდებთ ყოველ ფედერაციულ კავშირს, რომელიც ღებულობს ორ განსხვავებულ სახეს: 1) სახელმწიფოთა კონფედერაცია (Staaten Bund), სადაც ფედერაციული კავშირი რბილია და სუსტი. 2) ფედერალური სახელმწიფო (Bundesstaat), სადაც ფედერალური კავშირი უფრო მჭიდროა. რა არის სახელმწიფოთა კონფედერაცია? კონფედერაციაა სუვერენულ სახელმწიფოთა შეთანხმებული კავშირი, სადაც არსებობს ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ პიროვნებას და აღჭურვილია მუდმივი ორგანოებით. კონფედერაცია არის შეთანხმებული კავშირი სუვერენული სახელმწიფოებისა და მისი იურიდიული საფუძველია შეადგენს სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულება განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. კონფედერაცია არ ქმნის ახალ სახელმწიფოს შემავალ სახელმწიფოთაგან, მას არ ეკუთვნის სუვერენობა, არც აქვს სახელმწიფოს ხასიათი, წევრები (შემავალი სახელმწიფოები) იცავენ თავის სუვერენობას, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ყოველ წამს გამოიყენონ თავიანთი სუვერენობა კონფედერაციიდან გამოსასვლელად, ვინაიდან თითოეულმა მათგანმა პატივი უნდა სცეს მოვალეობას, რომელიც იძულების თვინიერ იკისრა და, თუ რომელიმე გავა კონფედერაციიდან, უკანასკნელს უფლება აქვს იარაღით აიძულოს იგი ხელშეკრულება დაიცვას. კონფედერაციის შემავალ სახელმწიფოებს რჩებათ თავიანთი სუვერენობა, არ არსებობს

ერთი ეროვნება, ერთი ქვეშევრდომობა. ცენტრალურ მთავრობას არ შეუძლია რაიმე დამოკიდებულება იქონიოს შემავალ სახელმწიფოების ქვეშევრდომობთან, ამა თუ იმ დადგენილების შესასრულებლად უნდა მიმართოს მონაწილე სახელმწიფოების შუამავლობას, რომელთათვისაც იგი სავალდებულო არაა. ეგ გახლავთ კონფედერაციის სისუსტე. კონფედერალურ ხელშეკრულებას შეუძლია მეტი უფლება მისცეს ცენტრალურ მართველობას და მას მიაწილოს დადგენილებათა შესრულების პირდაპირი ნება, ოღონდაც ასეთი მდგომარეობა გამონაკლისია და საერთო პრინციპი კი მოითხოვს, რომ ცენტრალური ხელისუფლების ყოველი გადაწყვეტილების შესრულებისათვის საჭიროა შემადგენელ სახელმწიფოების დასტური. ცენტრალური ხელისუფლება მაინც მოსილია მეტი უფლებით, რომელიც განსხვავდება ნაწილების უფლებებისაგან, ვინაიდან მას აქვს საკუთარი ნებისყოფა. ამის დამამტკიცებელია ის, რომ დადგენილება გამოაქვს ამ ცენტრალურ ორგანოს. ამის გამოა, რომ იგი აღჭურვილია იურიდიული სახეობით (პიროვნებაა) როგორც საშინაო ისე საგარეო თვალსაზრისით. ცენტრალური ხელისუფლება საზოგადოდ წარმოდგენილია საკანონმდებლო დაწესებულებებით (პარლამენტით), რომელიც შედგება მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში ესაა ერთადერთი ორგანო ცენტრალური ხელისუფლებისა. ჩვენ ზევით ვთქვით, რომ ნაწილებს რჩება მათი სუვერენობა და ყოველივე უფლება, რომელიც აქედან გამომდინარეობს. უდავოა, რომ ფედერალური ხელშეკრულებების დადების დროს მათ უარი თქვეს ზოგიერთ უფლებაზე ცენტრალური ხელისუფლების სასარგებლოდ, რათა უკანასკნელმა შეძლოს თავისი მიზნების შესრულება. სამაგიეროდ, ისინი დიდ მონაწილეობას იღებენ კონფედერალური ნებისყოფის შედგენაში, უწინარეს ყოვლისა შემავალი სახელმწიფოები შეადგენენ კონფედერაციის უმთავრეს ორგანოს-საერთო პარლამენტს, ყოველ ნაწილს აქ წარმომადგენლობის თანასწორი რიცხვი ჰყავს და ამ წარმომადგენლებს იმპერატიული მანდატები აქვთ თავიანთი სახელმწიფოებისაგან. შემდეგ მონაწილეობა გამოიხატება ფედერალური ხელშეკრულების რევიზიის უფლებით.

ხელშეკრულების გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ ყველა წევრის ერთხმობრივი გადაწყვეტილებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების შეცვლა თითქმის შეუძლებელი ხდება, რაც კონფედერაციის მეორე დიდი უხერხულობაა. ხმათა უმრავლესობა (ერთხმოსნობა) მოითხოვს ზოგი სხვა მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრასაც მაგ, ახალი წევრების მიღება და სხვა. ეს გარემოება, უეჭველია, აბრკოლებს სახელმწიფოს ფუნქციებს. დასასრულს, წევრების მონაწილეობა საერთო ნებისყოფაში იმით გამოიხატება, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას თვითონ არ მოეპოვება აღმასრულებელი ორგანოები და მისი დადგენილება უნდა აღასრულოს შემავალი სახელმწიფოებმა, უკანასკნელნი კი დაერიდებიან რისამე ისეთის შესრულებას, რაც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება. მაშასადამე, ორი რამ ახასიათებს კონფედერაციას: ცენტრალური მმართველობის ორგანიზაციის სიმარტივე-ხშირად და მხოლოდ პარლამენტი არსებობს, რომელსაც შეზღუდული უფლებები აქვს და სისუსტე ფედერალურ მმართველობისა, რაც თითქმის აუცილებელია, რამეთუ შემადგენელი სახელმწიფოები მეტად უფრთხილდებიან თავიანთ დამოუკიდებლობას და ცენტრალურ ხელისუფლებას მარტო იმას უთმობენ, რაც აუცილებლად საჭიროა უკანასკნელი მიზნისთვის (მაგ. საგარეო საერთო საფრთხის მოგერიება) და როდესაც შემავალი წევრები საკონფედერაციო ხელშეკრულებას დებენ, ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ თავიანთი სუვერენობა განამტკიცონ და არ შეასუსტონ[1].

ჩვენ განვიხილეთ კონფედერაციის იურიდიული ბუნება და ორგანიზაცია, ახლა ვნახოთ, თუ როგორაა განაწილებული სახელმწიფოებრივი უფლებები ცენტრალურ ხელისუფლებასა და წევრ სახელმწიფოებს შორის. ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ საკითხის ორ მხარეს. პირველია დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოებთან. კონფედერაციის არსებითი დანიშნულება ისაა, რომ მფარველობა გაუნოს უცხოეთის წინაშე კონფედერალურ სახელმწიფოებს. ამ მიზნის ასასრულებლად მას უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ხასიათის უფლებები. ხოლო ეს უფლებები აღმსრულებლობითი არაა. საერთაშორისო პიროვნება აქვთ წევრებსაც, ვინაიდან ისინი არიან

სახელმწიფოები და, მაშასადამე, აღჭურვილნი არიან საერთაშორისო უფლებებითაც. როგორ ხდება ამ უფლებების განაწილება? ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა ძნელია, რადგან კონფედერაცია ხელშეკრულებითი კავშირია და ხელშეკრულების ძალით ნევრთა უფლებების შეზღუდვა სხვადასხვა კონფედერაციაში სხვადასხვანაირია. ფაქტი ერთია: რაკი კონფედერაცია არსდება იმისთვის, რომ მფარველობა გაუწიოს წევრებს უცხოეთის წინაშე, მას უნდა მიეცეს აუცილებელი საშუალება ამ მიზნის მისაღწევად. ამ საზოგადო პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ დასახელებული რთული საკითხის გარჩევის დროს. საერთაშორისო უფლებები უმთავრესად სამია: უფლება ომის, უფლება წარმომადგენლობისა და უფლება ხელშეკრულების დადებისა. ომის უფლება ყველაზე უმძიმესია და იგი აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინიჭებული ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც უამისოდ თავის საქმეს ვერ შეასრულებდა. მაგრამ ხშირად შემადგენელი სახელმწიფოები თავისთვისაც იტოვებენ ამ უფლებას. ასეთი მდგომარეობა იყო შვეიცარიაში 1798-1815 წლებში და შეერთებულ შტატებში 1787 წლამდის. წარმომადგენლობის (ლეგაციის) უფლება ნაკლები მნიშვნელობისაა და იმდენ შეზღუდვას არ იწვევს, უმეტეს შემთხვევაში ბევრი სახელმწიფოი ფლობს ამ უფლებას, მაგრამ ხშირად ცენტრალური მმართველობის წარმომადგენლობა უკეთაა მოწყობილი და უფრო წინ დგას, ვიდრე ცალკე წევრების წარმომადგენლობა. რაც შეეხება ხელშეკრულებათა უფლებას, არ არსებობს ერთი საზომი ყველა ხელშეკრულებისათვის. საერთოდ, ნევრ სახელმწიფოებს აკრძალული აქვთ ისეთი ხელშეკრულების დადება, რომელიც ეხება კონფედერაციის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. სხვაგვარი ხელშეკრულება, მაგ. ეკონომიკური და საპოლიციო თვისებისა, ცალკე სახელმწიფოებს შეუძლიათ დადონ. ხანდახან აქაც საჭიროა ცენტრალური მმართველობის დასტური. ამგვარად, როგორც ვხედავთ, არ არსებობს ერთი პასუხი. არავინ უარყოფს ცენტრის უფლებებს, ხოლო არაა თანხმობა იმის შესახებ, ეს უფლებები მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ეკუთვნის თუ მასთან ერთად ადგილობრივ მმართველობებსაც.

პირველი უმჯობესია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ნევრების სუ-ვერენობაც. მეორე მხრივ, როცა დასახელებული უფლებებით ცენტრთან ერთად შემადგენელი სახელმწიფოებიც სარგებლობს, ეს ასუსტებს კონფედერაციას და ხელს უშლის მიზნის შესრულებაში. მაშასადამე, მოკლედ, სახელმწიფოებრივ უფლებათა განაწილებაზე თვალის ერთი გადავლებაც გვიჩვენებს, რომ ცენტრალური ხელისუფლების უფლებები მეტად შეზღუდულია, საკანონმდებლო უფლება დატოვებული აქვთ ნევრ-სახელმწიფოებს, გარდა ზოგიერთისა, რაც აუცილებლად საჭიროა მთლიანობისთვის, მაგ., ფულის, ბაჟებისა და სხვათა შესახებ. იგივე ხდება აღმასრულებელ და სასამართლო დარგში. უფლებრივად არა ითქმის რა იმის წინააღმდეგ, რომ არსებობდეს ფედერალური სასამართლო, ფედერალური ჯარი, ფინანსური ორგანიზაცია. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. კონფედერაციის უმეტესი ნევრი სახელმწიფოები თავისთვის იტოვებენ სახელმწიფოებრივ უფლებებს და ცენტრალურ ხელისუფლებას განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად უფლებათა მინიმუმს უთმობენ. ვიდრე დავასრულებდეთ კონფედერაციის დახასიათებას, უნდა აღვნიშნოთ კონფედერაციაში შემავალი სახელმწიფოების ორი უფლებაც: ერთია გაუქმების და მეორე გასვლის უფლება, რაც ძალზე ასუსტებს კონფედერაციის აგებულებას. გაუქმების უფლება მდგომარეობს მსჯავრის დადებაში, როცა კონფლიქტი ხდება ცენტრალურსა და ადგილობრივ მთავრობას შორის. როცა ცენტრი მოიმოქმედებს ისეთ რამეს, რომელიც აღემატება ხელშეკრულებით დათმობილ უფლებას, შემავალ სახელმწიფოებს შეუძლიათ აღნიშნულს არ დაემორჩილონ და გამოაცხადონ, რომ ცენტრის აქტი მისთვის სავალდებულო არაა. გასვლის უფლება ნიშნავს იმას, რომ ნევრ სახელმწიფოს შეუძლია გავიდეს კონფედერაციიდან, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევს. ესაა სუვერენობის უკიდურესი განცხადება. ხელშეკრულებაში ამის მოუხსენებლობა ნევრს არ ართმევს გასვლის უფლებას. ზოგიერთი ავტორი, იმასაც კი ამბობს, რომ ასეთ უფლებებზე ნებაყოფლობითი უარის თქმაც ვერ შებოჭავს სახელმწიფოს, რადგან სუვერენობის, საკუთარი არსებობის, დაცვა მისი უპირველესი საქმეა. ყოველივე ზე-

მონათქვამი გვიმტკიცებს, რომ კონფედერაცია არაა მთლად დამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, მისთვის ძნელია განახორციელოს მიზანი, რისთვისაც დაარსდა, ესე იგი, მოუპოვოს კონფედერალურ სახელმწიფოებს გარეგანი და შინაგანი უშიშროება: ცენტრალური ხელისუფლების საკანონმდებლო უფლებები სუსტია და საგრძნობ შედეგებს ვერ მოგვცემს, მის მუშაობას აბრკოლებს ქიშპობა ცენტრალურსა და ადგილობრივ მმართველობას შორის და თვითონ შემადგენელი სახელმწიფოებისა ერთმანეთს შორის. კანონებისა და დადგენილებების შესრულება ხშირად დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების კეთილ ნებაზე. ამ მოსაზრებათა გამო ყოველ კონფედერაციას ისე უნდა ვუყუროთ, როგორც გარდამავალ ფორმას, რომელიც, შესაძლებელია, ხანგრძლივიც გამოდგეს. ბოლოს და ბოლოს, კონფედერაცია ან უნდა დაიშალოს, ან, და ეგ უფრო ხშირი მოვლენაა, უნდა გადაკეთდეს უფრო მჭიდრო კავშირად-ფედერალურ სახელმწიფოდ [2].

ავტორი განიხილავს სახელმწიფოთა კონფედერაციის იურიდიულ ბუნებას და ფედერაციული სახელმწიფოს რაობას, სადაც განზოგადებულია სახელმწიფოს მართველობის ფორმების როგორც სუსტი, ისე ძლიერი მხარეები. მათი შეპირისპირებით ნაჩვენებია სამართლებრივი და ფუნქციური განსხვავებულობა. კონფედერაცია სტრუქტურულად იგივეა, რაც ფედერაცია, ოღონდ, ფედერაციისაგან განსხვავებით, კონფედერაციას უფრო სუსტი ცენტრალური ხელისუფლება ჰყავს. კონფედერაცია თვითონ მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც სუბიექტი, და აქვს საერთაშორისო სამართალ სუბიექტის ნიშნები, მაგრამ შეზღუდული სახით, რასაც ვერ ვიტყვით ფედერალიზმზე.

ფედერალურ სახელმწიფოს ორი რამ ახასიათებს: ერთი მხრივ, იგი წააგავს უნიტარულ სახელმწიფოს და, მეორეს მხრივ, წარმოადგენს სხვადასხვა სახელმწიფოების შეერთებას. უპირველს ყოვლისა, იგი ერთია საერთაშორისო თვალსაზრისით, უცხო სახელმწიფოსათვის ის არსებობს, როგორც მხოლოდ ერთი სახელმწიფო. შემდეგ არის ერთი ქვეშევრდომობა- ფედერალური და ერთი ტერიტორია -ფედერალური. ფედერალური სახელმწიფო უნიტარ-

ულია იმიტომ, რომ სუვერენობა ეკუთვნის ცენტრალურ სახელმწიფოს. ფედერალური სახელმწიფო თვითონ საზღვრავს თავის კომპეტენციას, და ასევე, იმ ერთეულების უფლებებს, რომელთაც შეიცავს; თვითონ წყვეტს, რა შეადგენს მის ხელისუფლებას და რა ეკუთვნის წევრებს. საერთო ინტერესის ფუნქციები ყოველთვის ცენტრალურ მართველობის ხელშია და მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებია დატოვებული შემადგენელი ნაწილები-სათვის. ცენტრალური სახელმწიფოს სუვერენობის მეორე შედეგი ისაა, რომ ფედერალურ კანონებს შეუძლიათ უარყონ ადგილობრივი კანონები, როცა მათ შორის უთანხმოებაა. უკანასკნელნი ყოველთვის უნდა დაემორჩილონ პირველს. გარდა ამისა, როცა შეტაკება ხდება ფედერალურ-ცენტრალურ მმართველობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ან ვერ რიგდებათ თვითონ წევრები ერთმანეთს შორის, გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის ფედერალურ მმართველობას. ერთი სიტყვით. შემადგენელი ნაწილები ემორჩილებიან ცენტრალურ სახელმწიფოს საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სასამართლო სფეროში. ცხადია, რომ ეს გარემოება დიდად სახიფათოა პატარა ერებისთვის, როცა ისინი ფედერალურად უერთდებიან დიდ ერს. დიდი, უფრო მძლავრი ერი ყოველთვის ჩაგრავს პატარა ერებს ფედერალურ სახელმწიფოში. ამიტომ ფედერალური სახელმწიფო უფრო გამოსადეგია იქ, სადაც ძალთა თანაბრობაა შემავალ ერთა შორის. ფედერაციული თვისება ფედერალური სახელმწიფოსი გამოიხატება იმით, რომ ნაწილები მონაწილეობას იღებენ ფედერალური ნებისყოფის შედგენაში. ეს მონაწილეობა შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირველი ნაკლებად მნიშვნელოვანია: ესაა მონაწილეობა პარლამენტში, სადაც ყოველი წევრი აგზავნის თავის წარმომადგენლებს. ზოგან ყოველი ერთეული წარმომადგენელთა თანასწორ რიცხვს აგზავნის (აშშ, შვეიცარია), ზოგან კი ეს თანაბრობა დაცული არაა (გერმანია, ავსტრია). უკანასკნელ შემთხვევაში მონაწილეობა პრაქტიკულად განუხორციელებელი რჩება. არაპირდაპირი მონაწილეობა უფრო ძვირფასია. მისი არსი ისაა, რომ ფედერალური სახელმწიფოს კონსტიტუციის შეცვლა შეუძლებელია წევრების თანხ-

მოზის მიუღებლად. ამის მნიშვნელობა ადვილად გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ეს კონსტიტუცია საზღვრავს ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობათა ფუნქციებს. ზოგ შემთხვევაში ეს გარანტია არაა მტკიცე, როგორც გერმანიაში, ავსტრიაში და სსრ კავშირში იყო. და, საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ შემადგენელი ნაწილები მეტად სუსტად არიან შეიარაღებული ცენტრალური სახელმწიფოს წინააღმდეგ და უკანასკნელის უფლებები თანდათან იზრდება წევრების უფლებათა ხარჯზე[3].

ამრიგად, ფედერალური სახელმწიფო ეს არის ნაწილობრივ თვითმმართველობის უფლებით აღჭურვილი სახელმწიფოების ან რეგიონების კავშირი, რომელთაც აერთიანებს ცენტრალური ხელისუფლება. ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოების სუვერენიტეტის სტატუსი, ჩვეულებრივ, კონსტიტუციურადაა გაფორმებული და მისი შეცვლა შეუძლებელია წევრი სახელმწიფოების თანხმობის უქონლად. ესე იგი, ნმინდა სამართლებრივად, მიშელ მუსხელის აზრით, ფედერაცია არის სახელმწიფო, რომელიც დაყოფილია ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ავტონომიებად და შეზღუდული უფლების მქონე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს წარმოადგენენ, სადაც ფედერაციის სუბიექტებს სეცესიის უფლება არა აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციის სუბიექტებს სუვერენიტეტი არ გააჩნიათ და შეზღუდული თვითმმართველობის პრინციპით სარგებლობენ, სუბიექტებს შეიძლება ჰქონდეთ ისე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, როგორცაა პარლამენტი და სასამართლო, რაც ძალზე მნიშვნელოვანია თვითმმართველი სუბიექტის სწორად გასავითარებლად და მიზნობრივი პოლიტიკის წარმართვისათვის.

ევროკავშირი ევროპის სახელმწიფოთა კონფედერაცია და ევროპულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური, სუპრანაციონალური გაერთიანებაა, რომლის საფუძველზეც კონფედერაციის პირობებში თითოეულ სახელმწიფოს უნარჩუნდება სუვერენიტეტი სადაც წევრ სახელმწიფოებს შორის თანაბრადაა განაწილებული კონფედერაციის უფლება -მოვალეობანი და დაცულია მათი სუვერენიტეტი, სწორედ ამ პრინციპს და კიდევ სხვა რეგულაციებს,

დირექტივებს, ფუნდამენტურ გადანყვეტილებებსა და პრინციპებს (ადამიანის უფლება და თავისუფლება) თანამედროვე ევროპული სამართლისა სწორედ მიშელ მუსხელმა მისცა დასაბამი. ეგ კი დღემდე ნაკლებად იყო ცნობილი.

### **ლიტერატურა:**

1. მიხეილ მუსხელიშვილი, „სახელმწიფოთა კონფედერაციული და ფედერაციული კავშირი“, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ N51, 1930, პარიზი.

2. მიხეილ მუსხელიშვილი, „სახელმწიფოთა კონფედერაცია და ფედერაციული სახელმწიფო“, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ N52, 1930; პარიზი.

3. მიხეილ მუსხელიშვილი, „ფედერალური სახელმწიფო“, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ N56, 1930, პარიზი.

4. მიხეილ მუსხელიშვილი, კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა სუვერენობა, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ N76, 1932, პარიზი.

5. La Taurillon-ევრომოქალაქის ჟურნალი. მიშელ მუსხელი. კონფედერაცია და ფედერაცია: ანტითეზა, 2012, 20 ივნისი. სტატიის ავტორი ჯონათან ლევეგლი.

6. Spiege der Sudpfalz, Thema am Samstag, revolution fur Europa in St. Germanshof, Samstag, 5 August, 2006.

7. Ils'agit de la terminologie de Sir Harold Mackinder, Democratic Ideals and Reality.

8. ჯაბა თებიძე, ევროპული კავშირის ინსტიტუციური სამართალი, 2018.

9. W.G. Friedman (1964). The Changing Structure of International Law. Columbia Univesity press.

10. გიგა გაბრიჩიძე, ევროპული კავშირის სამართალი, 2012.

## ალექსანდრე ნიკურაძე ევროპოლოგისა და კავკასიის კონფედერაციის შესახებ

ალექსანდრე ნიკურაძე იყო პირველი ევროპოლოგი მსოფლიო-ში და ქართულ-ევროპული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მკვლევარი, ფიზიკოსი, ჰიდრაულიკოსი და კონტინენტური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი მიუნხენში.

ალ. ნიკურაძემ კონტინენტური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტის საშუალებით „სანდერსის“ (Al.Sanders) ფსევდონიმით „ევროპული კონტინენტური პოლიტიკის განვითარებანი“-ის სერიიდან გერმანულ ენაზე გამოსცა რამდენიმე ფუნდამენტური გამოკვლევა კონტინენტური ევროპის შესახებ, სადაც საქართველოს ისტორიული ფაქტები და მოვლენები განხილულია ისტორიულ-ფილოსოფიურ ჩრილში, მათ შორისაა:

1. აღმოსავლეთ ევროპა (Osteuropa in Kontinentaleuropaeischer Schau. München.Hoheneichen-Verlag.1942);

2. კავკასია, რომელიც გამოიცა სამჯერ -1938, 1942, 1944 წლებში, (Kukasien, Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenien, Georgien Geschichtlicher Umriss. München. Hoheneichen-Verlag.1942);

3. დიდი ბრიტანეთის მემკვიდრეობის შესახებ (Um die Erbe Grossbritaniens zur Wandlung der Politischen Struktur der Übersee. München. Hoheneichen-Verlag. 1942);

4. გადანწყვეტილებათა მიღების ჟამი (Die Stunden der entscheidung. Kampf um Europa. München 1943);

5. ევროპის ფორმირებისათვის (Um die Gestaltung Europas, München),

6. ოცნებითგან ვიდრე საქმემდე (Vom Traum zur Tat);

7. „იაზონის მემკვიდრეობის გარშემო“;

8. „ხალხთა მიმდინარეობანი აღმოსავლეთ ევროპაში“;

9. „ევროპულ სახელმწიფოთა აღნაგობის საფუძვლები“;

10. „ქართული არქიტექტურის საკითხისათვის შუა საუკუნეების ევროპულ აღმოსავლეთში“;

11. „პატრი მიხეილ თარხნიშვილი (გარდაცვალების გამო)“;

12. „სკანდინავიელები და ქართველები პონტო-ბალტიის სანაპიროზე“;

13. „დოქტორი ოტტო გუნტერ ფონ ვეზენდოკი, როგორც ქართველოლოგი“;

14. „ისტორიოგრაფიული შეხედულებანი ალბანეთის შესახებ“;

15. „დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარალელების ახსნის ცდა“;

16. „დასავლეთ ევროპა და კავკასია პარალელების სახით“;

17. „სუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფლის საკითხისათვის“;

18. „კავკასია, შესაძლოა, პირველი სამშობლოა სუმერთა ლითონის“ და სხვ. [1, 446].

ნაშრომებში მოცემულია ძალიან საინტერესო დებულებანი, როგორც ევროინტეგრაციის იდეის, ისე ევროპეიზაციისა და საქართველოს ისტორიისათვის. ნაშრომები მალევე მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში.

აღ. ნიკურაძე, ფიზიკისა (ფიზიკაში 35 -ზე მეტი ფუნდამენტური ნაშრომი აქვს გამოცემული) და პოლიტიკის გარდა, გატაცებული იყო ჰუმანიტარული სამეცნიერო დარგებით, საქართველოს ისტორიით, ლიტერატურით, არქიტექტურით, არქეოლოგიით, იურისპრუდენციითა და მთარგმნელობითი საქმიანობით. მას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ხშირად ინვესტდენ ლექციების კურსის ნასაკითხავად.

ერთ-ერთი მიწვევის დროს, 1951 წლის სექტემბერში, ა. ნიკურაძემ პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება „ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან“, რომელშიც გამოთქმულია ორიგინალური იდეები ქართულ და ევროპულ ურთიერთობათა შესახებ.

1952 წლის 22-24 სექტემბერს საფრანგეთში, ქ. კომპიენტან, ა. ნიკურაძის ინიციატივით „ლა ბრევიერის“ სასახლეში შედგა ევროპელ მეცნიერთა ყრილობა. მას დაესწრნენ მეცნიერები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, შვეციიდან, ნორვეგიიდან, თურქეთიდან და მრავალი სხვა ქვეყნიდან. კონგრე-

სის საგანი იყო საჭირობოროტო ევროპული საკითხების წინ წამოწევა. კერძოდ, სხვა წინადადებათა შორის კონგრესმა მიიღო პროფესორ ალ. ნიკურაძის აზრი ცნება-ტერმინის „ევროპოლოგიის“ შემოღების თაობაზე. „ევროპოლოგია“ იმთავითვე გულისხმობდა ევროპული სამეცნიერო დარგების თავმოყრასა და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას [2].

ერთ-ერთი კონფერენციის დროს, 1963 წლის 14 მაისს მკვლევარი გამოვიდა ინიციატივით, რომ შექმნილიყო და ჩამოყალიბებულიყო ცალკე დარგი „Volkswirtschaft“ ეკონომიკა, სადაც გაანალიზდებოდა ეკონომიკური სწავლების საკითხები, ვინაიდან თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკის განვითარებას მოაქვს განსხვავებული წინაპირობები ეკონომიკის, ტრანსპორტის და კიდევ სხვა დარგებისათვის [3]. მაშასადამე ევროპოლოგიის, როგორც ცალკე დარგის „European Studies“ და „Volkswirtschaft“ ეკონომიკის, სამეცნიერო სწავლების მიმართულების შემოღება და დამკვიდრება ევროპის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის სახელს უკავშირდება.

ა. ნიკურაძის ამ მნიშვნელოვანმა ინიციატივამ 66 წლის მერე გამოიღო შედეგი, ვინაიდან დღეს მსოფლიოსა და, მათ შორის, ევროპის თითქმის ყველა წამყვან უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება „ევროპისმცოდნეობა“. იგი მაღალი ინტერდისციპლინარულობით ხასიათდება და შეიძლება, მოიცავდეს, სამართალმცოდნეობას, ეკონომიკას, პოლიტიკის მეცნიერებას, ფილოსოფიას, ისტორიას, სოციოლოგიას, კულტუროლოგიას და სხვ. თუმცა განსაკუთრებული ყურადღება მაინც ევროპული ინტეგრაციის საკითხებს ეთმობა. „ევროპისმცოდნეობა“ დღესდღეობით ახლი დარგია და მისი ჩამოყალიბება ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესებმა განაპირობეს. იგი შეისწავლის ევროპულ საზოგადოებას, მისი ისტორიის, ფასეულობების, იდეების, ინსტიტუციური განვითარებისა და სოციალური პროცესების თვალსაზრისით. აღნიშნული დისციპლინა განსაკუთრებით ფასეულია იმიტომ, რომ პროგრამა შეიძლება აიგოს როგორც საერთოევროპული, ისე ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მიდგომებით. ეს პრინციპი საქართველოში დღეს

ძალზე აქტუალურია, ვინაიდან საქართველოს ევროპასთან დაახლოების ფონზე ვითარდება საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ევროგაერთიანებასა და მის წევრ ან ასოცირებულ წევრებთან. ამ ფონზე საქართველოში ისე, როგორც ევროპის დანარჩენ ქვეყნებში, ევროპისმცოდნეობის სწავლება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე წარმატებით ხორციელდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ: ევროპისმცოდნეობის დარგის წარმოშობა და განვითარება ა. ნიკურაძის შრომის შედეგია. ამ დარგს მეცნიერმა წლების წინათ ჩაუყარა საფუძველი, მაშინ, როცა ევროკავშირი ჯერ კიდევ სრულყოფილად ჩამოყალიბებული არ იყო. ფაქტია, რომ ევროპოლოგიის, როგორც ინტერდისციპლინარული დარგის, შექმნის იდეის ერთ-ერთი პირველი (თუ უპირველესი არა), აპოლოგეტი სწორედ მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ნიკურაძეა.

ალექსანდრე ნიკურაძეს, როგორც პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართულ-გერმანული ურთიერთობების განვითარება-გაღრმავებაში. გაცილებით საინტერესოა მისი პოლიტიკური საქმიანობა გერმანიაში, როცა იგი 1934 წლიდან, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, დაუახლოვდა გერმანიის მმართველ ელიტას. ამის შემდგომ კი იგი ჰიტლერის მრჩევლის თანამდებობას იკავებს სამეცნიერო დარგში და აქტიურად ერთვება საერთაშორისო პოლიტიკაში. ა. ნიკურაძე ძალიან გავლენიანი და ავტორიტეტული პიროვნება ხდება. ეს დასტურდება იმით, რომ მასთან ხშირად იყრიდნენ თავს და საუბრობდნენ გერმანიის მთავრობის მაღალი ეშელონების წარმომადგენლები, მათ შორის მისი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი და აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიების მინისტრი ალფრედ როზენბერგი, რომელიც იყო ბალტიური წარმოშობის გერმანელი და რასობრივი თეორიის მტკიცე მიმდევარი, ასევე, Dr. Schimdt-ი, რომელიც გავლენიანი ჟურნალის *Volkische Beobachter*-ის (საყოველთაო დაკვირვება) რედაქტორი გახლდათ. ნიკურაძე ხშირად იყო მიწვეული რაიხსტაგში უზენაეს სახელმწიფო მოხელეებთან მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ თათბირებზე მრჩევლის ან ექსპერტ-

პროფესორის სტატუსით. ასევე, მეცნიერი თანამშრომლობდა და კარგი ურთიერთობები ჰქონდა ცნობილი გერმანიის სელის წარმოების მაგნატ ვიტთან. იგი მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მრჩეველიც იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ა. ნიკურაძე აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს გეოპოლიტიკურ პროცესებში (ე.წ. გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე ახალი ევროპის კონტინენტის შექმნა). მათ შორის აღსანიშნავია კავკასიის კონფედერაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ლიდერად გახდომას კავკასიის რეგიონში, ოღონდ გერმანიის პროტექტორატით. კარლ ჰაუსჰოფერის „ფართო სივრცეების“ თეორიის გავლენას რომ განიცდიდა ალ. ნიკურაძე მუშაობდა ჩანაფიქრზე, კერძოდ, გერმანიის პროტექტორატის ამბიციურ პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავდა, ქართველებს წამყვანი როლი შეესრულებინათ ერთიან კავკასიურ კონფედერაციაში, რაკილა საქართველო იყო გეოგრაფიულად ტრანზიტული და გეოსტრატეგიული ქვეყანა. ასევე, რაკილა, მისი აზრით, ქართველები და გერმანელები წმინდა რასის სისხლს მიეკუთვნებოდნენ, ამიტომ საქართველოს ცენტრალური როლი უნდა შეესრულებინა მთელ კავკასიაში, ისე როგორც გერმანია ასრულებდა დიდ როლს მთელ ევროპაში. ა. ნიკურაძის მიერ დამუშავებული „კავკასიის კონფედერაციის იდეა“, რომელსაც სრულად იზიარებდა ალფრედ როზენბერგი, წარმოადგენდა „პრომეთეს მოძრაობის“ ცნობილი კონცეფციის უშუალო გაგრძელებას, გერმანიის განსაკუთრებული როლის - „პროტექტორატის“ - გამოკლებით. აღნიშნულ თემას ალ. ნიკურაძემ მონოგრაფიაც („კავკასია“) კი მიუძღვნა. ის გერმანიაში სამჯერ გამოიცა.

ა. ნიკურაძის გეოპოლიტიკური იდეებით აღფრთოვანებული და მისი თანამოაზრე ალფრედ როზენბერგი ა. ნიკურაძის გავლენას განიცდის როზენბერგის პროქართული შეხედულებები, იგი ჯერ კიდევ 1927 წლიდან მიიჩნევდა: კავკასია რუსეთისაგან უნდა გამოყოფილიყო, ხოლო 1941 წლის აპრილში წერდა, რომ კავკასიის ხალხებს შორის ქართველები ისტორიულად და პოლიტიკურად წამყვანები იყვნენ და ამიტომ იგი მთავარი ცენტრი უნდა გამხ-

დარიყო. კავკასიური სახელმწიფოების კონფედერაციისა და მისი სუვერენიტეტის დაცვა გერმანიის პრეროგატივა უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, გერმანია ამ პასუხისმგებლობას არ გაექცეოდა, რადგან მიიჩნევდა, რომ ეს სწორი პოლიტიკა იყო.

აღფრედ როზენბერგს იმდენად სჯეროდა ნიკურაძის, რომ 1944 წელს დაავალა, მთელი შტაბით პარიზში გადასულიყო ფრანგ მოაზროვნე საზოგადოებაში როზენბერგის ევროპული იდეების საპროპაგანდოდ, თუმცა ეს იდეა საფუძვლიანად ვერ განხორციელდა, რადგან როზენბერგის პროქართული იდეები აშფოთებდათ სხვა ქვეყნის ემიგრანტებს. როზენბერგის იდეა გახლდათ ასეთი: კავკასიური ფედერაცია თანასწორი პარტნიორი უნდა ყოფილიყო „შავი ზღვისპირთის სახელმწიფოთა გვირგვინში“, რა თქმა უნდა, გერმანიის პროტექტორატი. კავკასია, უკრაინა, რუმინეთი და კაზაკთა ტერიტორია ევროპის „გაგრძელება“ გახდებოდა, როგორც თავის დროზე გოთების სახელმწიფო იყო, მაგრამ რაც უნდა მომხდარიყო მომავალში, მათზე გერმანიის კონტროლი უნდა შენარჩუნებულიყო. რაიხსკომისიარიატის სტატუსი კავკასიისთვის, ისე, როგორც უკრაინის, მოსკოვისა და ბალტიის ქვეყნებისთვის დიდად სახარბიელო არ უნდა ყოფილიყო, რადგან აღმოსავლეთ სამინისტროს (ასე ერქვა შემოკლებით როზენბერგის სამინისტროს) იდეებით არავინ იყო მოხიბლული. კავკასიის რაიხსკომისარიატი ფაშისტური გეგმით, სავარაუდოდ ავტონომიური რეგიონი იქნებოდა, რომელიც საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში ჩამოყალიბდებოდა. ტერიტორია მოიცავდა ომის დაწყებამდე საბჭოთა კავშირის მფლობელობაში არსებულ კავკასიის მიწებს. ცენტრი თბილისი უნდა გამხდარიყო. გერმანელებს კავკასიის მოსახლეობაც არ მიაჩნდათ თანასწორუფლებიან რასად, გამონაკლისების გარდა, მაგრამ გაითვალისწინეს მრავალეთნიკურობის ფაქტორი და ავტონომიური წარმონაქმნები უზურში ჰქონდათ მონიშნული. საქართველო გენერალური კომისარიატი უნდა ყოფილიყო, რომელშიც ერთიანდებოდა 20 საოლქო და 3 საგანგებო კომისარიატი. ამ უაღრესად რთულ ვითარებაში ა. ნიკურაძის ზეგავლენა იმ პირებზე, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობითაც

ყალიბდებოდა გეგმები და იგეგმებოდა მოქმედებები დიდად მნიშვნელოვანი გახლდათ საქართველოს მომავლისათვის.

აღ. ნიკურაძე მუშაობდა აგრეთვე ამიერკავკასიის ეკონომიკაზე, სახავდა მისი განვითარების გზებსა და სამომავლო პერსპექტივებს. იგი ფიქრობდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნების გზა მის ეკონომიკაზე გადის. ჯერ კიდევ მაშინ ა. ნიკურაძე და ცნობილი გერმანელი ეკონომისტები, მათ შორის აღმოსავლეთის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი ახმეტელი, დარწმუნებულები იყვნენ, რომ საქართველო სამომავლოდ გახდებოდა ეკონომიკურად ყველაზე პოტენციური და მნიშვნელოვანი ხიდი ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ტრანზიტული გზებისა. ამის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად საქართველოს გეოგრაფიული და გეოსტრატეგიული მდებარეობა მიიჩნდათ. ე.ი ნიკურაძე მუშაობდა, საქართველოში არსებული ბუნებრივი და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, საქართველოს მძიმე ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლის ფუნდამენტური გზების ძიებაზე.

ა. ნიკურაძე გერმანიის ყველა გავლენიან და უმაღლეს სახელმწიფო მოხელესთან მეგობრობდა და მჭიდრო კავშირები ჰქონდა იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტასთან. მას არასოდეს გამოუყენებია ეგ კავშირები პირადი ინტერესებისათვის, პირიქით, იგი ყოველთვის ცდილობდა, მოეპოვებინა მათი კეთილგანწყობა კავკასიის საკითხების გადასაწყვეტად, რაც უნდა ასახულიყო პოლიტიკურ სიტუაციაზე. მართალია, ჩანაფიქრი ჩაიშალა, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმდროინდელ ქართულ-გერმანულ ურთიერთობებში.

ა. ნიკურაძეს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ქართული განძის გადარჩენის საქმეში, მაშინ, 1921 წელს, როცა მოხდა საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ ძმებმა (ივანე ნიკურაძე მსოფლიოში აღიარებული ფიზიკოსი და ჰიდრავლიკოსი იყო) სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შეძლეს, რადგან საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ღიად ეწოდნენ საქართველოს განთავისუფლები-

